



*საქართველოს საპატრიარქოს ბუიძის ანტონის პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი*

ქართული უნივერსიტეტის II სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის მასალები (2019 წლის 11 ივნისი)

თბილისი 2021

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ქართული უნივერსიტეტის II სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის მასალები (2019 წლის 11 ივნისი)

რედაქტორი: პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
სერგო ვარდოსანიძე

კრებული გამოსაცემად მოამზადეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
დოქტორმა ჯაბა მესხიშვილმა და ისტორიის დოქტორმა ლევან
ჯიქიამ

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 53ა,
საქართველო, 0179

ISBN 978-9941-9737-4-1

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, 2021

Saint Andrew The First-Called Georgian University of
Patriarchate of Georgia

Second Scientific Conference of the Georgian University
Conference Materials (11 June, 2019)

Editor: Professor, Doctor of Sciences in History Sergo
Vardosanidze

The collection for publication was prepared by:
Doctor of letters Jaba Meskhishvili and PhD in History Levan Jikia

Address: Ilia Chavchavadze Ave. 53a; Tbilisi, Georgia; 0179

ISBN 978-9941-9737-4-1

© Publishing House “Georgian University”, Tbilisi 2020

წინასიტყვა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი დაარსდა 2008 წელს უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II ღოცვა-კურთხევით. მისი მიზანი იყო საქართველოში შექმნილიყო უმაღლესი განათლების ახალი კერა, რომელიც დაიცავდა ქართული მეცნიერების ტრადიციებსა და მემკვიდრეობას, იმავდროულად იქნებოდა თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.

ქართული უნივერსიტეტი, თავისი მისიიდან გამომდინარე, სათანადო პირობების შექმნით მუდმივად ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევების განვითარებას. ამ მიზნით ქართულ უნივერსიტეტში პერიოდულად იმართება სხვადასხვა თემატიკის სამეცნიერო ღონისძიება. 2019 წლის 11 ივნისს გაიმართა „ქართული უნივერსიტეტის II სამეცნიერო კონფერენცია“, სადაც წარმოდგენილი მოხსენებათა თეზისები იბეჭდება კრებული სახით. კონფერენცია იყო ინტერდისციპლინარული, მასში მონაწილეობა მიიღეს, როგორც ქართული უნივერსიტეტის, ასევე სხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და დოქტორანტებმა. სამომავლოდ იგეგმება კონფერენციისთვის საერთაშორისო კონფერენციის სახის მიცემა.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

Foreword

St. Andrew the-first called Georgian University of Patriarchate of Georgia was founded in 2008 by blessing of His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos-Patriarchate of all Georgia, Archbishop of Mtskheta-Tbilisi, Metropolitan of Bichvinta and Tskhum-Abkhazeti. The Aim of the University foundation was to establish a new place of higher education, able to preserve Georgian scientific traditions and inheritance, relevant to modern and international standards.

According to its mission, Georgian University with the suitable conditions constantly promotes the development of scientific researches. Due to this, the University holds various thematic Scientific conferences, symposia and etc. permanently. On June 11, 2019, “Georgian University’s II Scientific Conference” was held at Georgian University, presented theses are being printed as a collection. The conference was interdisciplinary and professors, lecturers and PhD students of Georgian University’s and other Universities’ participated in it. It is intended to adapt the conference into an international conference hereafter.

Rector of St. Andrew the-first called Georgian university of Patriarchate of Georgia, Professor Sergo Vardosanidze.

სარჩევი

სესია 1

ვახტანგ გურული. გიორგი XII-ის ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან (1798-1800).....	10
დავით ბასიაშვილი. რეგიონური განვითარების საკითხები.....	25
გვანცა ბურდული. პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ვლადიმერ ბენეშევიჩის მოღვაწეობის შეფასებისათვის. 1917 წელი (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ოქმების მიხედვით)	32
დურმიშხან ლაშხი. რელიგიური კონფლიქტი იერუსალიმში.....	37
ვალერი მოდებაძე. ქართულ-ბერძნული ურთიერთობები და ისტორიულ-კულტურული კავშირები.....	45
გელა ქისტაური. ერთი წინაქრისტიანული მითო - რელიგიური ასპექტის შესახებ წმიდა ნინოს ცხოვრების თხზულებიდან (სეფე ქალი შროშანას პარადიგმული სახის რეკონსტრუქციისათვის)	56
ნინო შიოლაშვილი. „საქართველოს სამხედრო გზის“ ისტორიიდან.....	64
დავით ჭელიძე. საპენსიო რეფორმა საქართველოში.....	71
გურამ ჯოლია. განათლების ოთხგანზომილებიანი მოდელი ჩარლზ ფადელის მიხედვით.....	80
ალექსანდრა ლატარია. თანამედროვე ჩინური ოჯახის ტრანსფორმაცია.....	88
ნინო სეფაშვილი უმაღლესი განათლების სისტემა ირანის ისლამურ სახელმწიფოში.....	93

სესია 2

ტარიელ ფუტკარაძე, იამზე ვაშაკიძე. ქრისტე აღსდგა თუ ქრისტე აღდგა.....	99
თინათინ თურქია. ახალი ესთეტიკური პარადიგმა სანახაობის ენაში.....	129
ნომადი ბართაია ეტიმოლოგიური ძიებანი: დაყვარული, ფეიქარი, ჯალალი.....	134
ტარიელ ფუტკარაძე საქართველოს სახელმწიფო ენის პრესტიჟისა და უმცირესობის დედაენის საკითხი 2018 წლის საპრეზიდენტო და 2019 წლის შუალედური არჩევნების მონაცემების მიხედვით.....	141
მანანა ტაბიძე, ბელა შავხელიშვილი პანკისელი ქისტები (სოციოლინგვისტური ასპექტი).....	144
ეკა დულაშვილი. ქართული კვალი ბიზანტიაში: ტაო პენდელის მონასტერი.....	148
მიხეილ ლაბაძე. ახლად აღმოჩენილი ასომთავრულ-ნუსხური წარწერები მთიანი ჩეჩნეთიდან (წინასწარი ცნობა).....	153
მაგდა ჭიქაბერიძე. ვაჟა-ფშაველა სოფრომ მაგალობლის შვილის მოგონებებში.....	159
მაია ცერცვაძე. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის თემატიკა გიორგი გამყრელიძის პოეზიაში.....	166
მანანა ტაბიძე. თინათინ თურქია მართლწერისა და მართლმეტყველების პრობლემები უმაღლეს სკოლაში.....	176
ტარიელ ფუტკარაძე, მიხეილ ლაბაძე. ტაოდან შუა თურქეთში ქართველთა გადასახლების შესახებ.....	185

Contents

1 session

Vakhtang Guruli. Relations of Giorgi XII with Russian Empire.....	10
David Basiashvili. Regional Development Issues.....	25
Gvantsa Burduli. To the assessment of activity of Vladimir Beneshevich – professor of Petersburg University (1917) (According to the minutes of meetings of temporary administration of Georgian Orthodox church).....	32
Durmishkhan Lashkhi. Religious Conflict in Jerusalem.....	37
Valery Modebadze. Georgian-Greek relations and historical-cultural ties.....	45
Gela Kistauri. About one of the Pre-Christian mythological - religious aspect from the life of Saint Nino (For a paradigmatic reconstruction of the face of court female Shroshana).....	56
Nino Shiolashvili. From the history of The Georgia's Military Road.....	64
Davit Chelidze. Georgian pension reforms.....	71
Guram Jolia. Four-Dimensional Education Model by Charles Fadel.....	80
Aleksandra Lataria. Transformation of Modern Chinese Family.....	88
Nino Sepashvili. High Education System in Islamic Republic of Iran	93

2 Session

Tariel Putkaradze, Iamze Vashakidze. Kriste aḡsdga or Kriste aḡdga? (Christ has risen!).....	99
---	----

Tinatin Turkia. New Esthetic Paradigm in Performance Language.....	129
Nomadi Bartaia. Etymological researches: dakatruli, peikâr, jalâli.....	134
Tariel Putkaradze. The issue of mother tongue of prestige and minority of Georgian state language according to the data of 2018 presidential and 2019 midterm elections.....	141
Manana Tabidze, Bela Shavkhelishvili. Pankisi Kists (Sociolinguistic Aspects).....	144
Eka Dughashvili. Georgian trace in Byzantium: Tao Pendeli Monastery.....	148
Mikheil Labadze. The newly discovered Georgia (Asomtavruli and Nuskhuri) inscriptions from the mountainous Chechnya.....	153
Magda Chikaberidze. Vazha-Pshavela – reference given by Sofrom Mgaloblishvili.....	159
Maia Tsertsvadze. Topic of the conquest of Georgia by Soviet Russia in the Poetry by Giorgi Gamkrelidze.....	166
Manana Tabidze, Tinatin Turkia. Problems of verbal and writing communication in schools of higher education.....	176
Tariel Putkaradze, Mikheil Labadze. About the resettlement of Georgians from Tao to the Middle of Turkey.....	185

გიორგი XII-ის ურთიერთობა რუსეთის იმპერიასთან (1798-1800)

ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა მცირე ხნით შეფერხდა. გიორგი XII-ს დრო სჭირდებოდა იმი-სათვის, რომ ნათლად ჩამოეყალიბებინა, თუ რას ითხოვდა რუსეთისაგან.

1. ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ურ-თიერთობის განახლება. აშკარა იყო, რომ ქართლ-კახეთის სამე-ფოსა და რუსეთის იმპერიის ურთიერთობა, მისი შედეგები გიორგი XII-ს ვერ აკმაყოფილებდა. მიუხედავად ამისა, მეფე რუსეთთან ურთიერთობის გაგრძელებას აპირებდა. 1798 წლის 11 ოქტომბერს მეფე გიორგიმ საგანგებო სიგელით **გარსევან ჭავჭავაძეს** რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის მეფის სრულუფლებიანი წარმომადგენლის (მინისტრის) უფლებამოსილება დაუდასტურა. 11 ოქტომბერსვე ქართლ-კახეთის მეფემ წერილით მიმართა რუსეთის იმპერიის კანცლერ **ალექსანდრ ბეზბოროდკოს**. წერილი მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ გიორგი XII ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე სიმართლეს მოახსენებდა რუსეთის იმპე-რიის კანცლერს. მეფემ მოკლედ, მაგრამ სავსებით ნათლად დაუხ-ასიათა კანცლერს ქართლ-კახეთის სამეფოს მძიმე მდგომარეობა. იგი წერდა, რომ სამეფოს სამი ძლიერი მტერი ჰყავდა: სპარსნი, ოსმალონი და დაღესტნელნი (ლექნი). მეფე გიორგი ალექსანდრ ბეზბოროდკოს პირდაპირ მოახსენებდა, რომ ქართლ-კახეთის სამე-ფოს შეეძლო მორიგეობდა მტერს, მაგრამ სამეფო კარმა ეს გზა არ აირჩია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქრისტიანობას ვერ უღა-

ლატებდა და მეორეც, რომ რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმყოფებოდა. კიდევ უფრო მეტი, რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკით უკმაყოფილო გიორგი XII წერდა: „არას დროს მაგ კარზედ (რუსეთის საიმპერატორო კარზე – ვ.გ.) შემწე და ჩვენთვის მზრუნველი არა გვყოლია. სანატრელს მამა ჩვენს (ერეკლე მეფეს – ვ.გ.) ჰქონდა სასოება დადებული კნიაზ პოტიომკინზედ (თავად გრიგორი პოტიომკინზე – ვ.გ.), მაგრამ ის ჩვენ გვატყუებდა, ის მხოლოდ თავის სახელის განდიდებას ეძებდა და არავის სხვისთვის ზრუნავდა.“ მართალია, გიორგი XII სრულ სიმართლეს მოახსენებდა რუსეთის იმპერიის კანცლერს, მაგრამ ისიც ცხადი იყო, რომ სიმართლის მოსმენა პეტერბურგში არავის ესიამოვნებოდა. წერილის ბოლოს ქართლ-კახეთის მეფე აღნიშნავდა, რომ დიდი ხანია დარწმუნებული იყო ალექსანდრ ბეზბოროდკოს „კაცთმოყვარეობასა“ და „მამულისმოყვარეობაში“. მეფე კანცლერს სთხოვდა, ეშუამდგომლა რუსეთის იმპერატორთან, რათა მას მეფის სათხოვარი პუნქტები დაეკმაყოფილებინა. ქართლ-კახეთის მეფის სათხოვარი კი სულ ორი პუნქტისაგან შედგებოდა:

1. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე გიორგი მეფის დამტკიცება;
2. ტახტის მემკვიდრედ დავით ბატონიშვილის დამტკიცება. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მსგავსი სათხოვარი გიორგი XII-მ 1798 წლის 30 ივნისსაც მიართვა პაველ I-ს, მაგრამ სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში პასუხი ვერ მიიღო.

1798 წლის ოქტომბერში გიორგი XII-მ ვრცელი წერილით მიმართა რუსეთის იმპერატორ პაველ I-ს. წერილის შინაარსი ასეთია: 1. ქართლ-კახეთის მეფე ერთგულებას უდასტურებდა რუსეთის იმპერატორს და სთხოვდა მფარველობა გაეწია მისი ქვეყნისათვის. რუსეთის იმპერიის მუდმივი მფარველობით დაიმედებული მეფე სხვა ქვეყანას აღარ სთხოვდა მფარველობას; 2. ერეკლე მეფე დანმარებისათვის უშუალოდ რუსეთის იმპერატორს კი არა, კავკასიის ხაზის მთავარსარდალს მიმართავდა, რის გამოც რუსეთიდან დანმარების მიღება გვიანდებოდა. ურთიერთობის ასეთ-

მა წესმა გამოიწვია ის, რომ ალა მაჰმად ხანის შემოსევის დროს რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს ვერ დაეხმარა. მომხდარის გათვალისწინებით გიორგი XII პაველ I-ს სთხოვდა, ნება დაერთო პირადად მიემართა მისთვის; 3. ქართლ-კახეთის მეფე რუსეთის იმპერატორს სთხოვდა მის მეფედ, ხოლო დავით ბატონიშვილის ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებას. გიორგი XII ასევე ითხოვდა ქართლ-კახეთის სამეფოში მეფობა არასდროს შეწყვეტილიყო და მის მემკვიდრებს „საუკუნოდ და შეურყევლად“ ემეფათ; 4. რუსეთის იმპერატორისგან მეფე ასევე ითხოვდა სამიათასიან ჯარს ზარბაზნებით, რომლის შენახვის ხარჯები რუსეთს უნდა გაეღო. საინტერესოა, რომ მეფე გიორგი რუსეთის იმპერატორს ჯარს სთხოვდა „უკვდავად და საუკუნოდ, ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“; 5. მეფე რუსეთის იმპერატორს შეახსენებდა ძველ ამბავს: ქართლ-კახეთის სამეფოში რუსეთის ჯარის ყოფნის დროს „ავს კაცებს“ ჯარის მეთაურებთან ენა მიჰქონდათ, რის გამოც ქართველებსა და რუსებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. ამ მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მეფე გიორგი რუსეთის იმპერატორს სთხოვდა, ქართლ-კახეთის სამეფოში გამოსაგზავნი ჯარის მეთაურს უბრძანეთ, ურთიერთობა მხოლოდ ჩემთან ჰქონდესო. მეფე იმპერატორს ასევე სთხოვდა, რომ რუსეთის ჯარის მეთაურს უარი არ ეთქვა ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრების დაცვაზე, ხოლო თუ მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის შეყვანა აუცილებელი გახდებოდა, ამის ნებართვას მეფე საგანგებოდ გამოითხოვდა პეტერბურგიდან; 6. თუ ქართლ-კახეთის სამეფოს მტრის თავდასხმის საშიშროება შეექმნებოდა, კავკასიის ხაზის მთავარსარდალს უფლება უნდა ჰქონოდა პეტერბურგთან შეუთანხმებლად გამოეგზავნა საქართველოში შვიდიათასიანი ჯარი, რომლის შესანახ ხარჯს მეფე გაიღებდა.

2. 1798 წლის 16 დეკემბრის ნოტა. რუსეთის საიმპერატორო კარი რეალურ დახმარებას არ აპირებდა. ამიტომ იყო, რომ 1798 წლის 16 დეკემბერს გარსევან ჭავჭავაძემ ნოტა გადასცა რუსეთის

იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას. ნოტაში ჩამოყალიბებული იყო ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის სათხოვარი, რომელიც 12 პუნქტისაგან შედგებოდა. საგარეო საქმეთა კოლეგიაზე გარსევან ჭავჭავაძის ნოტა 1798 წლის 25 დეკემბერს განუხილავთ იმპერატორ პაველ I-ის ფავორიტს, იმპერიის საგარეო პოლიტიკის პრაქტიკულ ხელმძღვანელს, ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველ გრაფ **ფიოდორ როსტოპჩინს** ნოტის ყველა პუნქტზე თავისი აზრი გამოუთქვამს. გარსევან ჭავჭავაძის მირთმეული ნოტა ასეთი შინაარსისაა:

1. მეფე გიორგი ითხოვდა რუსეთის ჯარის ერთი კორპუსის (3 000 ოფიცერი და ჯარისკაცი) გამოგზავნას, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოში მუდმივად უნდა დარჩენილიყო. ჯარისათვის აუცილებელი პროვიანტი რუსეთის ჯარის მეთაურს თავისი ხარჯით უნდა შეესყიდა იმავე ფასებში, რა ფასებითაც საკვებ პროდუქტს მეფის ქვეშევრდომები ყიდულობდნენ. თუ მტრის თავდასხმის შემთხვევაში რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოში კიდევ უფრო დიდ ჯარს (7 000 ოფიცერსა და ჯარისკაცს) გამოაგზავნიდა, მისი შენახვის ხარჯებს მეფე გაიღებდა. ნოტის პირველ პუნქტზე ფიოდორ როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია: ებრძანოს გენერალ-ლეიტენანტ კისელიოვს საქართველოში გასაგზავნად მოამზადოს ეგერთა ერთი პოლკი.

2. ქართლ-კახეთის სამეფოში ჯარის გამოგზავნასთან ერთად მეფე გიორგი ითხოვდა 1784 წელს ეკატერინა II-ის მიერ ერეკლე მეფისათვის ნაბოძები არტილერიის იმ ნაწილის გამოგზავნას, რომელიც ჩრდილო კავკასიაში იყო ჩარჩენილი. ნოტის მეორე პუნქტს როსტოპჩინის თანხმობის გამომხატველი რეზოლუცია ადევს;

3. მეფე გიორგი ითხოვდა ყარაბაღის სახანოდან ქართლ-კახეთის სამეფოში სომეხი მელიქების გადმოსახლებაში მხარდაჭერას. ნოტის მესამე პუნქტზე როსტოპჩინის მიერ დადებული რეზოლუცია გვაუწყებს, რომ საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო რუსეთის იმპერიის კანცლერის მოხსენების მესამე პუნქტის თანახ-

მად (კანცლერის რომელ მოხსენებაზეა საუბარი, მითითებული არ არის – ვ. გ.);

4. მეფე გიორგი ითხოვდა, რომ ქართლ-კახეთის მეფის იმ თავადებისა და აზნაურების გარდა, რომლებიც მოხსენებულნი იყვნენ გეორგიევსკის ტრაქტატში, რუსეთის საიმპერატორო კარმა თავადად და აზნაურად არავინ ცნოს, თუ მეფის სიგელით არ დასტურდებოდა მათი წოდება. ნოტის მეოთხე პუნქტზე როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია: საკითხი გადაწყვეტილია კანცლერის მოხსენების მეოთხე პუნქტის ძალით (კანცლერის რომელ მოხსენებაზეა საუბარი, აქაც მითითებული არ არის – ვ. გ.);

5. მეფე გიორგი ითხოვდა ურმიელი სომხებისა და სირიელების ქართლ-კახეთის სამეფოში გადმოსახლების უფლებას. ნოტის მეხუთე პუნქტზე როსტოპჩინს ასე წაუწერია: გადაწყდეს კანცლერის მოხსენების თანახმად (გაურკვეველია, კანცლერის რომელი მოხსენება იგულისხმება, – ვ. გ.);

6. მეფე გიორგი მადლობას უხდიდა რუსეთის საიმპერატორო კარს იმის გამო, რომ რუსეთმა ირანის შაჰს მოსთხოვა არ შეჭრილიყო რუსეთის ვასალის, ქართლ-კახეთის სამეფოს, საზღვრებში. ნოტის მეექვსე პუნქტზე როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია: ეს საკითხი კანცლერის მოხსენებაში იყო განხილული (კანცლერის რომელ მოხსენებას გულისხმობს, აქაც გაურკვეველია, – ვ. გ.);

7. მეფე გიორგის ცნობა მიუღია, რომ ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი რუსეთის იმპერატორმა წმინდა ანას ორდენით დააჯილდოვა. ამასთან დაკავშირებით მეფეს შემდეგი სათხოვარი ჰქონდა: მე როცა ტახტის მემკვიდრე ვიყავი, რუსეთის იმპერატორმა წმინდა ალექსანდრ ნეველის ორდენით დამაჯილდოვაო, იქნებ ინებოს იმპერატორმა და ტახტის მემკვიდრეს წმინდა ალექსანდრ ნეველის ორდენი უბოძოსო. მეფე ასევე ითხოვდა იოანე ბატონიშვილის წმინდა ანას ორდენით დაჯილდოვებას. ნოტის მეშვიდე პუნქტზე როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია:

ეს საკითხი გადაწყვეტილია კანცლერის მოხსენების პირველი პუნქტის მიხედვით (კანცლერის რომელ მოხსენებაზეა საუბარი, მითითებული არ არის – ვ. გ.);

8. მეფე გიორგი ითხოვდა დედოფალ მარიამისათვის წმინდა ეკატერინეს ორდენს. ნოტის მერვე პუნქტზე როსტოპჩინს ასეთი გადაწყვეტილება მიუღია: აღიძრას შუამდგომლობა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე;

9. მეფე გიორგი აცხადებდა, რომ რუსეთში გავრცელებული ხმები, თითქოს თბილისში შავი ჭირი მძვინვარებდა, სინამდვილეს არ შეეფერებოდა (მეცხრე პუნქტზე როსტოპჩინს რეზოლუცია არ დაუდია);

10. მეფე ითხოვდა საქართველოდან გატანილი წმინდა ნინოს ჯვრის დაბრუნებას, რომელიც იმხანად რუსეთში იყო დაცული. ნოტის მეათე პუნქტზე როსტოპჩინს ასეთი რეზოლუცია დაუდია: გაარკვიეთ, სად ინახება ამჟამად ეს ჯვარი და მომახსენეთ;

11. მეფე გიორგის სურდა გაეგო, როდის განიხილებოდა და გადაწყდებოდა ნოტაში დასმული საკითხები. ნოტის მეთერთმეტე პუნქტზე როსტოპჩინს კონკრეტული პასუხი არ გაუცია.

3. 1800 წლის 24 ივნისის ნოტა. 1799 წლის 7 სექტემბერს გიორგი XII-მ ხელი მოაწერა რწმუნების სიგელს, რომლის მიხედვითაც რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის მეფის წარმომადგენლებს **გარსევან ჭავჭავაძეს, გიორგი ავალიშვილს და ელიზბარ ფალავანდიშვილს** მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინათ რუსეთის ხელისუფლებასთან. 1800 წლის 24 ივნისს თბილისში შედგა ნოტა, რომელიც შეიცავდა გიორგი XII-ის სათხოვარ პუნქტებს რუსეთის იმპერატორისადმი. ეს ნოტა ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს (ელჩებს): გარსევან ჭავჭავაძეს, გიორგი ავალიშვილსა და ელიზბარ ფალავანდიშვილს – უნდა წარედგინათ რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში. გიორგი XII-ის ელჩები პეტერბურგში 1800 წლის ნოემბერში ჩავიდნენ და 1800 წლის 24 ივნისის ნოტა გადასცეს რუ-

სეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას. ცხადია, ნოტა თბილისში გიორგი XII-ის უშუალო მონაწილეობით შედგებოდა, არ არის გამორიცხული, რომ მის შედგენაში პიოტრ კოვალენსკიც და ივანე ლაზარევიც მონაწილეობდნენ, თუმცა ნოტას ხელს გიორგი ავალიშვილი და ელიზბარ ფალავანდიშვილი აწერდნენ (გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგში იმყოფებოდა და, როგორც ჩანს, ნოტის დედანს და რუსულ თარგმანს მან პეტერბურგში მოაწერა ხელი). ნოტა, ცხადია, ქართულ ენაზე შედგა, ხოლო რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში მისი რუსული თარგმანი იქნა წარდგენილი. ნოტის რუსულ თარგმანსაც ქართლ-კახეთის მეფის სრულფელებიანი წარმომადგენლები აწერდნენ ხელს. ჩვენ ციტირებას რუსული თარგმანიდან მოვახდენთ, რადგან პეტერბურგში ნოტის შინაარსზე სწორედ რუსული თარგმანის მიხედვით მსჯელობდნენ. ნოტაში აღნიშნულია, რომ გიორგი XII-ს ჯერ კიდევ მამის, მეფე ერეკლეს, სიცოცხლეშივე ჰქონდა გაუმჟღავნებელი (საიდუმლოდ დაცული) სურვილი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მონარქის „სრულ დამოკიდებულებაში და ქვეშევრდომობაში“ შესვლის შესახებ (რუსულ თარგმანში: „вполную зависимость и подданство“). ამ შესავლის შემდეგ ნოტაში ჩამოყალიბებულია ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტები“:

1. მეფე გიორგის მემკვიდრეებთან, სამღვდელეობასთან, დიდებულებთან და ყველა თავის ქვეშევრდომთან ერთად სურდა, რომ სამუდამოდ მიეღო რუსეთის იმპერიის **ქვეშევრდომობა** (რუსულ თარგმანში: „навсегда принять подданство Всероссийской Империи“). მეფე გიორგი პირობას დებდა, რომ პირადად იგი და მისი ქვეშევრდომები სრულად შეასრულებდნენ ყველა იმ მოვალეობას, რაც რუსეთის ქვეშევრდომებს ეკისრებოდათ, დაიცავდნენ რუსეთის იმპერიის ყველა კანონს და შეასრულებდნენ რუსეთის იმპერატორის ყველა ბრძანებას, რადგან რუსეთის იმპერატორს მიიჩნევდნენ თავიანთ ხელმწიფედ და თვითმპყრობელად (რუსულ

თარგმანში: „обещаясь свято исполнять все то, что исполняют Россияне, и не отказываясь ни от каких законов и повелении, по принятому обычаю в его царстве и народе, что только будет повеленно по благоусмотрению Всероссийского Императора как наследственного (природного) своего государя и самодержца”);

2. მეფე გიორგი ითხოვდა, რომ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლის შემდეგ, რადგან ქართლ-კახეთის სამეფო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში, მისთვის შეენარჩუნებინათ მეფობა (რუსულ თარგმანში: “чтобы вместе с принятием его царства был поставлен царем”), ხოლო მის შემდეგ მისი მემკვიდრეები დაემტკიცებინათ მეფებად (რუსულ თარგმანში: „... а после него и наследники его навсегда на престоле с утверждением в царском звании”). გიორგი XII ასევე ითხოვდა, რომ მეფეებს ქართლ-კახეთის სამეფოში ჰქონოდათ უმაღლესი (უპირველესი) ხელისუფლება (რუსულ თარგმანში: „и чтобы цари те имели первенствующую власть в своих царствах”);

3. მეფე გიორგი, როგორც ეს აღნიშნული იყო ქართლ-კახეთის სრულუფლებიანი წარმომადგენლებისათვის 1799 წლის 7 სექტემბერს მიცემულ რწმუნების სიგელში, ითხოვდა რუსეთის იმპერატორისაგან ჯამაგირის დანიშვნას და რუსეთში სოფლების ბოძებას;

4. მეფე გიორგი ითხოვდა, რომ მისი სათხოვარი პუნქტების განხილვამდე, იმპერატორის მიერ მათ დამტკიცებამდე და ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ახალი ხელშეკრულების დადებამდე გაზრდილიყო ქართლ-კახეთის სამეფოში მყოფი რუსეთის ჯარის რაოდენობა, რათა მტერს სამეფოზე თავდასხმის სურვილი არ გასჩენოდა;

5. მეფე გიორგი რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიას სთხოვდა სასწრაფოდ განეხილა ნოტაში ჩამოყალიბებული სათხოვარი პუნქტები და წარედგინა იგი იმპერატორისათვის;

6. ქართლ-კახეთის მეფეს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კიდევ ჰქონდა სათხოვარი, რომელიც რუსულ მხარეს გადაეცემოდა მას შემდეგ, რაც ნოტაში ჩამოყალიბებული სათხოვარი პუნქტები განიხილებოდა და იმპერატორი დაამტკიცებდა.

1800 წლის 24 ივნისის ნოტაში ჩამოყალიბებული გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წლის 24 ივლისი) პირობებიდან პრინციპულ უკანდახევას წარმოადგენდა. ერეკლე II რუსეთის იმპერატორის **მფარველობაში** შევიდა, ხოლო გიორგი XII რუსეთის იმპერატორის **ქვეშევრდომობას** ითხოვდა. **მფარველობა (Покравительство)** და **ქვეშევრდომობა (Подданство)** ორი განსხვავებული ცნებაა. მფარველობა ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტის შენარჩუნების შესაძლებლობას იძლეოდა, თუმცა, გარკვეული შეზღუდვებით. **ქვეშევრდომობა** ძირითად სუვერენულ უფლებებზე ხელის აღებას ნიშნავდა და ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ნაწილი ხდებოდა. ყურადღებას იმსახურებს ერთი არც-თუ უმნიშვნელო დეტალი. გიორგი XII ქვეშევრდომობას ითხოვდა. რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში **ქვეშევრდომობა** ითარგმნებოდა **Подданство**-დ, თუმცა ხშირად ქვეშევრდომობა ითარგმნებოდა არა როგორც **Подданство**, არამედ, როგორც **Владычество**. რუსეთის საიმპერატორო კარზე ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა, მათ შორის გარსევან ჭავჭავაძემ, შეიძლება არც კი იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა ქართულად **Владычество**. ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში **Владычество** რამდენიმე ქართული შესატყვისით არის წარმოდგენილი: **მეფეობა, უფლება, სუფევა, მთავრობა, მფლობელობა, სამფლობელო**. რუსი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები

Владычество-ს სწორედ მფლობელობის და სამფლობელოს მნიშვნელობით იყენებდნენ, ისინი მიიჩნევდნენ, რომ გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერატორის მფლობელობაში გადასვლას, რუსეთის იმპერატორის სამფლობელოდ გადაქცევას გულისხმობდა.

რატომ გადაწყვიტა გიორგი XII-მ ქვეყნისათვის დამლუპველი ნაბიჯის გადადგმა? — ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ურთულესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით — ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის, ოსმალეთისა და კავკასიის მთიელების შემოსევებისაგან თავის დაცვა აღარ შეეძლო. ამას ემატებოდა სამეფო სახლის წევრებს შორის გააფთრებული დაპირისპირება — ბრძოლა სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებისათვის. სამეფო სახლის ორად გაყოფამ თავადებისა და სამღვდელოების ზედაფენის ორად გაყოფა გამოიწვია, მთელი ქვეყანა შინააშლილობაში აღმოჩნდა ჩათრეული. სიცოცხლის ბოლო თვეების განმავლობაში გიორგი XII პიოტრ კოვალენსკისა და ივანე ლაზარევთან ერთადერთი სათხოვარი ჰქონდა: მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე დავით ბატონიშვილის აყვანა. მართალია, დავით ბატონიშვილი პაველ I-ის მიერ ტახტის მემკვიდრედ ოფიციალურად იყო დამტკიცებული, მაგრამ ავადმყოფ მეფეს ეს დამშვიდების საშუალებას არ აძლევდა. ბოლოს მეფე გიორგი იმ დასკანამდე მივიდა, რომ დავით ბატონიშვილის ტახტზე ასვლა სამეფოს შინააშლილობისაგან ვერ იხსნიდა, დაპირისპირება სამეფო სახლის წევრებს შორის ისევ ძველებურად გაგრძელდებოდა. უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი, დიპლემატის რთული ფორმით დაავადებული, დედინაცვლისა და ნახევარძმების დაუსრულებელი ინტრიგებით თავმოებზრებული გიორგი XII, სრულიად ბუნებრივია, რომ გამოსავალს ეძებდა. სამეფოსათვის საბედისწერო ჟამს მეფის გვერდით არათუ თანამოაზრეთა ჯგუფი, არამედ ერთი მეტ-ნაკლებად კომპეტენტური მრჩეველიც კი არ იდგა. მეფესთან იშვიათად შედიოდნენ ბატონიშვილი დავითი და თავადი სოლომონ

ლიონიძე, სამაგიეროდ, მეფის საწოლში ხშირად იმყოფებოდნენ: ქართლ-კახეთის სამეფოს კარზე რუსეთის იმპერიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი (მინისტრი) **პიოტრ კოვალენსკი**, საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარის მეთაური გენერალ-მაიორი **ივან ლაზარევი**, რუსეთის ჯარის ეგერთა პოლკის მეთაური გენერალ-მაიორი **ვასილი გულიაკოვი** და მეფის მიერ დაქირავებული ლეკთა რაზმის მეთაურები. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ რუსების აქტიური მონაწილეობით იქნა შედგენილი გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტები. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ დავით ბატონიშვილმა სათხოვარი პუნქტების შინაარსი არ იცოდა.

4. 1800 წლის 24 ივნისის ნოტის (გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების) განხილვა რუსეთის მთავრობაში და მისი შედეგები. რუსეთის საიმპერატორო კარმა პოლიტიკური და სამხედრო ელიტის რჩევის საფუძველზე გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების დაკმაყოფილება გადაწყვიტა. იმხანად არც არავის დაუმაღავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისათვის ძირითად მოტივს წარმოადგენდა არა ქართლ-კახეთის სამეფოს გადარჩენა, არამედ რუსეთის იმპერიის მისწრაფება სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებისაკენ. ყურადღება მახვილდებოდა ოთხ მთავარ ფაქტორზე:

1. ჩრდილო კავკასიაში არსებული გამაგრებული ხაზი (კავკასიის ხაზი) ვერ უზრუნველყოფდა მთიელთა წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლას. თუ ასეთივე ხაზი სამხრეთ კავკასიაშიც (საქართველოშიც) შეიქმნებოდა, მთიელები ორმხრივი დარტყმის ქვეშ მოექცეოდნენ. თუ მთიელები მაინც არ დანებდებოდნენ, მაშინ მორჩილებას მათ შიმშილით აიძულებდნენ. იმ დროისათვის კავკასიის მთიელები კავებისათვის აუცილებელ პროდუქტს ან ჩრდილო კავკასიაში (ძირითადად მოზდოკში) ან საქართველოში (ძირითადად თბილისში) ყიდულობდნენ.

2. საქართველო მდიდარი იყო წიაღისეულით, რომლის დამუშავება რუსეთისათვის ეკონომიკურად მეტად ხელსაყრელი იყო;

3. ქართლ-კახეთის სამეფო ირანისა და ინდოეთისაკენ მიმავალ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და ამდენად, ამ რეგიონში ფეხის მოკიდებით რუსეთი დიდ მოგებას ნახავდა;

4. ოსმალეთთან ომის შემთხვევაში შავი ზღვის სამხედრო ფლოტით, მცირე აზიის სანაპიროზე ჯარის გადასხმასთან ერთად, ქართლ-კახეთის სამეფოდან რუსეთის ჯარები შეიძლებოდა შეჭრილიყვნენ ოსმალეთის ჩრდილოეთ პროვინციაში და დაეკავებინათ ანატოლია, რითაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებდნენ ოსმალეთს. პირიქით, თუ ოსმალეთი მოახერხებდა საქართველოს ტერიტორიის და მათ შორის ქართლ-კახეთის ტერიტორიის დაკავებას, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა კავკასიის ხაზი, შესუსტდებოდა რუსეთის პოზიციები ყირიმში.

ამ მოსაზრებებს გაუწია ანგარიში რუსეთის საიმპერატორო კარმა, როდესაც გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტების დაკმაყოფილება გადაწყვიტა.

ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარს გათვალისწინებული ჰქონდა ისიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში (მფლობელობაში) გადასვლას შეიძლება გართულებები მოჰყოლოდა. რუსებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ გართულების შემთხვევაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა კავკასიის ხაზიდან (გეორგიევსკიდან, მოზდოკიდან) თბილისისაკენ მომავალი გზის დაცვას, რათა რუსეთის ჯარის მოძრაობა არ შეფერხებულიყო. ამ გზის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი არავის ხეობაში ვახტანგ ბატონიშვილის საუფლისწულოზე გადიოდა. რუსეთის საიმპერატორო კარს იმედი ჰქონდა, რომ გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგ ბატონიშვილის მიმხრობას შეძლებდნენ.

5. მოლაპარაკება პეტერბურგში. 1800 წლის 24 ივნისის ნოტით (გიორგი XII-ის სათხოვარი პუნქტებით) პეტერბურგში ჩასულ ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლების გიორგი ავალიშვილისა და ელიზბარ ფალავანდიშვილის,

ასევე პეტერბურგში მყოფი **გარსევან ჭავჭავაძის** მიღება და მათთან მოლაპარაკების წარმოება დაევალა იმპერატორ პაველ I-ის ფავორიტს, რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ფაქტობრივ ხელმძღვანელ **ფიოდორ როსტოპჩინს** და პაველ I-თან დაახლოებული პირს, ცნობილ დიპლომატს, საიდუმლო მრჩეველ **სერგეი ლაშკარეცს**. შეხვედრა შედგა 1800 წლის 14 ნოემბერს. ფიოდორ როსტოპჩინმა ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იმპერატორი პაველ I თანახმა იყო მეფე გიორგი XII და მისი ხალხი მიეღო **ქვეშევრდომობაში**. ქვეშევრდომობაში მიღებისათვის იმპერატორმა ერთი პირობის შესრულება მოითხოვა: **ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლებიდან ერთ-ერთი თბილისში უნდა დაბრუნებულიყო და მეფისა და ხალხისათვის უნდა ეცნობებინა პაველ I-ის თანხმობის შესახებ**. თუ ამის შემდეგ გიორგი XII და მისი ხალხი მეორედ ითხოვდნენ ქვეშევრდომობაში მიღებას და საგანგებო სიგელსაც მოაწერდნენ ხელს, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის **ქვეშევრდომობაში იქნებოდა მიღებული**.

პარალელურად რუსეთის საიმპერატორო კარმა შეკითხვა გაუგზავნა კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-ლეიტენანტ კარლ კნორინგს. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა გაერკვია, დამატებით რა რაოდენობის ჯარი უნდა გაეგზავნათ ქართლ-კახეთის სამეფოში: 1. მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხების თავდასხმისაგან სამეფოს დასაცავად; 2. სამეფოში შინაგანი წესრიგის დასაცავად და ახალი მმართველობის დასამყარებლად.

1800 წლის ნოემბრის შუა ხანებისათვის რუსეთის საიმპერატორო კარზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. გიორგი XII-ს სიკვდილამდე შეუნარჩუნდეს მეფობის უფლება;

2. გიორგი XII-ის სიკვდილის შემდეგ მისი უფროსი ვაჟი, რუსეთის იმპერატორის მიერ ტახტის მემკვიდრედ ცნობილი დავითი, დამტკიცდეს საქართველოს (ქართლ-კახეთის სამეფოს – ვ.

გ.) გენერალ-გუბერნატორად და ამასთან ერთად შეუნარჩუნდეს მეფის ტიტული (დავით გიორგის ძის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნა დიდ სირთულედ არ იქნა მიჩნეული, რადგან დავითი რუსეთის იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა, მინიჭებული ჰქონდა გენერლის სამხედრო წოდება და ერთხანს მსახურობდა რუსეთის ჯარში);

3. ქართლ-კახეთის სამეფო მიემატოს რუსეთის იმპერიის გუბერნიების რიცხვს „საქართველოს სამეფოს“ სახელით.

თავდაპირველად რუსეთის საიმპერატორო კარს არ სურდა ქართლ-კახეთის სამეფოს შინაურ მმართველობაში ჩარეულიყო. გადაწყდა თბილისში გაგზავნილიყო ერთი რუსი მოხელე, რომელიც გიორგი XII-ს დაეხმარებოდა სამეფოში წესრიგის დამყარებაში და თვალყურს ადევნებდა მართლმსაჯულებას. პაველ I ქართველებს პირდებოდა, რომ ყველა თანამდებობა (სამოხელეო, სასამართლო, საეკლესიო) შენარჩუნებული იქნებოდა, რუსეთის ჯარი კი მეზობელი სახელმწიფოებისა და ხალხებისგან სამეფოს დაცვას უზრუნველყოფდა. რუსეთის იმპერატორმა ასევე გადაწყვიტა: გიორგი XII-ს და მის ოჯახს, ასევე სამეფო სახლის წევრებს ჯამაგირი ქართლ-კახეთის სამეფოს შემოსავლებიდან უნდა მიეღოთ. თუ სამეფო სახლის წევრები საცხოვრებლად რუსეთში გადავიდოდნენ, მათ უბოძებდნენ მამულებს და მათი ღირსების შესაფერის წოდებებს.

გიორგი XII-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებისა და მეფის მოსალოდნელი გარდაცვალების გამო რუსეთის საიმპერატორო კარმა მოქმედების საგანგებო გეგმა შეიმუშავა. 1800 წლის 15 ნოემბერს კავკასიის ხაზის მთავარსარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა კარლ კნორინგმა პაველ I-ის რესკრიპტი მიიღო, თუ როგორ უნდა ემოქმედა მეფის გარდაცვალების შემთხვევაში. კავკასიის ხაზის მთავარსარდალს ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობისათვის უნდა გამოეცხადებინა, რომ მას პეტერბურგიდან ტახტის მემკვიდრის, დავ-

ით გიორგის ძის მეფედ გამოცხადების ბრძანება არ ჰქონდა მიღებული. 1800 წლის 15 ნოემბერს კარლ კნორინგმა იმპერატორის მეორე რესკრიპტიც მიიღო. პაველ I კავკასიის ხაზის მთავარსარდალს უბრძანებდა ქართლ-კახეთის სამეფოში დამატებით გაეგზავნა ღრაგუნთა ერთი და ქვეითთა სამი პოლკი. კნორინგს ასევე ებრძანა ახალი რესკრიპტის მიღებისთანავე თვითონაც გამგზავრებულიყო ქართლ-კახეთის სამეფოში ან გაეგზავნა ერთი გენერალი. იმპერატორი კნორინგს წერდა, რომ მას „პატივი ექნებოდა რუსეთისათვის შეეერთებინა ტერიტორია (რუსულ დედანში: **“Область”**)”, რომელსაც ემუქრებოდა ყველა მეზობელი ხალხი“. როსტოპჩინი კნორინგს სწერდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის შემდეგ „ბოლო მოეღებოდა მთიელთა თვითნებობას და კასპიისპირეთის მფლობელთა შფოტოს“.

Vakhtang Guruli

Professor of St. Andrew The First-Called Georgian University Of
The Patriarchate of Georgia

Relations of Giorgi XII with Russian Empire (1798-1800)

Resume

By the time of death of Erekle II (1798) Russia was ready for abolishing Kartl-Kakheti Kingdom. For Russia the process of abolishing was eased by illness of Giorgi XII and conflicts between the members of Kartl-Kakheti Royal House. Giorgi XII was trying to sign a new treaty with Russian Empire which will replace Georgievski Tractate (1783). The King was assuming that the new treaty would help him to secure his position. According to the treaty after Giorgi XII his son David should become King. Giorgi XII died in December of 1800 before he could sign a treaty with Russian Empire.

რეგიონური განვითარების საკითხები

საქართველოს რეგიონებს და თვით რეგიონებს შიგნით არსებულ მუნიციპალიტეტებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი ეკონომიკური უთანაბრობა, გამოწვევული, როგორც ეკონომიკის მიღწეული განვითარების დონით, ასევე ეკონომიკის ზრდის ტემპითაც.

მიზეზი კი არის ის, რომ არ არსებობს სახელმწიფოებრივი გეგმა ან მიდგომა ჰორიზონტალური ეკონომიკური უთანაბრობის და მთლიანად რეგიონალური ეკონომიკური ჩამორჩენილობის დასაძლევად.

რეგიონალური განვითარების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული მთავრობის საქმიანობასთან და არის ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი.¹

სახელმწიფო დონეზე მხოლოდ ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს მუნიციპალიტეტებს შორის არსებული ფინანსური შემოსავლების გამოთანაბრებას, ვინაიდან გამოთანაბრებითი ფორმულა ითვალისწინებს არსებულ უთანაბრობას მხოლოდ შემოსავლების მიხედვით, მაშინ, როდესაც რეგიონების განვითარებას განსაზღვრავენ ისეთი მამოძრავებელი ფაქტორები, როგორიცაა:

- განათლება და უნარ-შესაძლებლობები
- საწარმოები
- ინოვაცია
- ინვესტიციები – კერძო და სახელმწიფო
- დასაქმება
- რეგიონალური განვითარების სააგენტოები

¹ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1292, 2018 წლის 11 ივნისი, ქ. თბილისი, 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ.

განათლება და უნარ-შესაძლებლობა

იმისათვის, რომ გააზრებული იყოს, თუ როგორ უწყობს ხელს განათლება და შესაძლებლობა რეგიონალურ განვითარებას, ამისათვის საჭიროა განსაზღვრულ იქნას უპირველეს ყოვლისა, თუ როგორ იქნება გაზომილი ადგილობრივი განათლების დონე და უნარ-შესაძლებლობები და როგორი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია განათლების დონეს და უნარ-შესაძლებლობებს რეგიონალური განვითარების სხვა ინსტრუმენტებზე. რისთვისაც საჭიროა ისეთი ინფორმაციის ქონა, როგორიცაა - განათლების მქონე ადამიანთა არსებული რიცხოვნობა.

რეგიონალური ეკონომიკური შედეგების მისაღწევად განათლებას და უნარ-შესაძლებლობებს და სხვა ძირითად ინსტრუმენტებს შორის არის მჭიდრო კავშირები. ეს კავშირები არის მნიშვნელოვანი, რათა გაგებულ იქნას ერთი მხრივ, განათლებისა და უნარ-ჩვევების ინსტრუმენტის როლი ეკონომიკური ზრდისათვის და მეორე მხრივ, რეგიონალური უთანაბრობის პოტენციური მიზეზები გამოწვევული როგორც განათლებისა და უნარ-ჩვევების ფაქტორით, ასევე სხვა ფაქტორებით. ნებისმიერი ფირმის წარმატება კონკრეტულ რეგიონში განპირობებულია რეგიონის მოსახლეობის განათლების და კვალიფიკაციის დონეზე. იმავე დროულად ინოვაციის ან ინვესტიციის განხორციელება რეგიონში დამოკიდებულია განათლების და კვალიფიკაციის დონეზე.²

საწარმოები

საწარმოები და ფირმები განიხილება როგორც ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორი რეგიონალური განვითარების და მათი კონცენტრაცია განსაზღვრავს რეგიონების განვითარების დონეს. საწარმოების რაოდენობა რეგიონების ზრდაზე კავშირშია ისეთ ინსტრუ-

² Frontier Economics, Regional Growth, A REPORT PREPARED FOR THE ODPM, HM TREASURY AND DTI, September 2004. p. 5-17.

მენტებთან როგორცაა: განათლება და ინოვაციები. არსებობს სხვადასხვა განზომილობები, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონის განვითარების დონეს საწარმოთა და ფირმების ფაქტორების გათვალისწინებით.

რეგიონში ინვესტიციების დროს შეიძლება გამოიკვეთოს ინვესტორის მხრიდან პრობლემა, რომელიც განაპირობებს ინვესტიციას. კერძოდ, ეს შეეხება დაგეგმარებას და რეგიონის შესაძლებლობების შეფასებას. დაგეგმარებამ უნდა განაპირობოს რეგიონის ეკონომიკური ზრდა და თუ რა შედეგს გამოიღებს ინვესტიცია რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის.

დაგეგმარების ანალიზისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ თავად სწორი დაგეგმარება არის რეგიონის ეკონომიკური ზრდის ფაქტორი. რეგიონალური დაგეგმარება არის ერთადერთი ინსტრუმენტი, რომელმაც ერთი მხრივ, უნდა წარმოაჩინოს რეგიონებს შორის უთანაბრობის სიდიდე და ამ სიდიდეებით გამოწვეული მიზეზები და მეორე მხრივ, დასახოს გზები ეკონომიკური უთანაბრობის დასაძლევად. სახელმწიფოს მხრიდან რეგიონალური დაგეგმვის არარსებობა არის ის ძირითადი მიზეზი, რომელიც აფერხებს არა თუ რეგიონის ეკონომიკურ ზრდას, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასაც. დღევანდელი ვითარებიდან აქტიური ხდება რეგიონის განვითარების სტრატეგიული ხანგრძლივი გეგმების შემუშავება, რომელთა განახლება მოხდება პერიოდულად.³

ინოვაცია

ინოვაციის ფაქტორის გამოყენება, რეგიონის განვითარებაზე - ეს ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ინოვაცია განიხილება, როგორც

³ Frontier Economics, Regional Growth, A REPORT PREPARED FOR THE ODPM, HM TREASURY AND DTI, September 2004. p. 22-23.

ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს რეგიონის დინამიურ და ხანგრძლივ განვითარებას. ინოვაციის განსაზღვრა და მისი ზეგავლენა რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე შეიძლება განიხილოს მრავალმხრივად. კერძოდ:

ცოდნის გადატანა ინოვაციაში გულისხმობს ახალი იდეის განვითარებას. ეს უმთავრესად დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან. იმას შემდეგ, რაც მოხდება ცოდნის გადატანა ინოვაციაში, ის გამოყენებულ უნდა იქნეს ფირმების მიერ ახალი პროდუქციის შესაქმნელად. ეს საქმიანობა ხორციელდება ფირმების მიერ კვლევით დაწესებულებებთან ერთად, რათა გამოყენებულ იქნეს ცოდნა ახლად შექმნილ სასაქონლო პროდუქციაში ან მომსახურებაში.

ინვესტიცია

რეგიონალური უთანაბრობის აღმოსაფხვრის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია ინვესტიცია. რეგიონში ინვესტიციების განხილვის დროს ცალ-ცალკე უნდ განვიხილოთ ინვესტიციები განხორციელებული კერძო სექტორის და სახელმწიფო სექტორის მიერ. მათი როლი რეგიონალურ უთანაბრობაზე სხვადასხვაა. სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციებს განსაკუთრებული როლი ენიჭება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში რეგიონალური უთანაბრობის აღმოსაფხვრელად. სახელმწიფო ინვესტიცია ძირითადად არის ორიენტირებული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

სახელმწიფოს მხრიდან რეგიონალური დაგეგმვის არარსებობა არის ის ძირითადი მიზეზი, რომელიც აფერხებს არა თუ რეგიონის ეკონომიკურ ზრდას, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასაც. დღევანდელი ვითარებიდან აქტიური ხდება რეგიონის განვითარების სტრატეგიული ხანგრძლივი გეგმების შემუშავება, რომელთა განახლება მოხდება პერიოდულად.

რეგიონალური დადგეგმვის სისტემის განახლება ქვეყანაში განაპირობებს მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებლიანობას საზოგადოებისათვის, ვინაიდან დადგეგმვის სისტემა აერთიანებს, როგორც საზოგადოებისათვის კეთილდღეობებს, ისე ამ კეთილდღეობის მიღწევის საჭირო ღირებულებებს ფულად გამოსახულებაში და ესა თუ ის პროექტი, რელიზაციას ჰპოვებს იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების მიერ შესაძლო მისაღები სარგებელი აღემატება მისი მიღწევის ღირებულებას.

დასაქმება

დასაქმება არის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, რეგიონალური განვითარებისათვის. როდესაც განვიხილავთ რეგიონის უთანაბრობას დასაქმების კუთხით, მნიშვნელოვანია არა მარტო განხილულ იქნეს დასაქმება რეგიონების მიხედვით, ასევე საჭიროა განხილულ იქნეს უმუშევრობის სიდიდე და როგორია უმუშევრობით გამოწვეული რეგიონალური უთანაბრობა. ეს აუცილებელია ვინაიდან უმუშევრობის სიდიდე გავლენას ახდენს რეგიონალურ პოლიტიკაზე. რეგიონალური უთანაბრობის გაზომვადობისათვის დასაქმების კუთხით აქვს მრავალმხრივი ახსნა, რისთვისაც ანალიზი უნდა გაუკეთდეს საშუალო ძალის მიწოდებას და საშუალო ძალაზე მოთხოვნას რეგიონების მიხედვით.⁴

რეგიონალური განვითარების სააგენტოები

საჭიროა განისაზღვროს რეგიონალური განვითარების სააგენტოების როლი და შეფასდეს, თუ რა ზეგავლენას ახდენს იგი რეგიონის ეკონომიკური განვითარების საქმეში. სააგენტოები უნდა იყვნენ ინიციატორები რეგიონალური პროგრამების შემუშავების კოორდინაციის და განხორციელების საქმეში. თითქმის ყველა

⁴ Frontier Economics, Regional Growth, A REPORT PREPARED FOR THE ODPM, HM TREASURY AND DTI, September 2004. p.54.

ქვეყანაში არსებობს ასეთი რეგიონალური სააგენტოები და მათი როლი იზრდება თანდათან რეგიონის ეკონომიკურ პოტენციურ ზრდაში, ვინაიდან ისინი უკეთ ფლობენ რეგიონში სიტუაციას, არიან უფრო ეფექტური და თავისუფალნი რეგიონალური ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებაში. იმისათვის, რომ გავი-აზროთ რეგიონალური განვითარების სააგენტოების როლი, როგორც მამოძრავებელი ფაქტორი რეგიონის ეკონომიკური განვი-თარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განხილულ იქნეს, რეგიონის სააგენტოს საქმიანობის კავშირი სხვა მამოძრავებელ ფაქტორებთან რეგიონალური სააგენტოს მიზნებთან კონტექსტში.⁵

David Basiashvili
Doctor in Economics

Regional Development Issues

Resume

The issue of regional development is closely linked to government activities and is one of the priorities of the country. At the state level only the Ministry of Finance is implementing equalization of financial revenues between municipalities. Since the equilibrium formula envisages the current equality only by revenue. While the develop-ment of the regions is determined by the driving factors such as:

- Education and skills
- Enterprises
- Innovation
- Investments - private and state
- Employment
- Regional Development Agencies

⁵ Realising the Potential of All Our Regions: the story so far. (London, 2015), p. 9-10.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა;
2. Frontier Economics, Regional Growth, A REPORT PREPARED FOR THE ODPM, HM TREASURY AND DTI, September 2004;
3. Realising the Potential of All Our Regions: the story so far. (London, 2015).

**პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის
ვლადიმერ ბენეშევიჩის მოღვაწეობის
შეფასებისათვის. 1917 წელი**

(საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი
მმართველობის სხდომის ოქმების მიხედვით)

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917 წლის 12 მარტი) ქართველი სამღვდელობის წინაშე მთავარი საკითხი იყო გადასაჭრელი - ერთის მხრივ საქართველოს ეკლესიას უნდა მიეღწია მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ ავტოკეფალიის ცნობისათვის და მეორეს მხრივ, არამართლმადიდებელ ქრისტიანულ კონფენსიებს ოფიციალურად უნდა ეცნოთ 1917 წლის 12(25) მარტის სვეტიცხოვლის დამოუკიდებლობის აქტი. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის კომიტეტმა, პირველ ყოვლისა, სცადა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის მოწესრიგება, რაც დაკავშირებული იყო საეკლესიო ქონების გაყოფასთან, ეკლესია-მონასტრების, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის პრობლემებთან.

რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობის მოგვარების მიზნით საქართველოში 1917 წლის 10 აპრილიდან 4 ივნისის ჩათვლით იმყოფებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომებში იღებდა მონაწილეობას.

პროფესორ ვლადიმერ ბენეშევიჩის საქართველოში ჩამოსვლის და აღნიშნულ სხდომებში მონაწილეობის საკითხი ჯერ კიდევ დროებითი მმართველობის 1917 წლის 1 აპრილის სხდომაზე განხილვობდა. საქართველოს ეკლესიაში მრავალი საკითხი იყო

მოსაგვარებელი და როგორც ჩანს დროებითი მმართველობის წევრებს გარკვეული იმედებიც ჰქონდათ, რომ სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში მათ ვლადიმერ ბენეშევიჩიც დაეხმარებოდათ. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის ყველა წევრს აღნიშნული საკითხისადმი ერთნაირი დამოკიდებულება არ ჰქონდათ. სხდომის ზოგიერთი წევრის აზრით, გასარკვევი იყო ვლადიმერ ბენეშევიჩის ჩამოსვლის მიზანშეწონილობა და დროებითი მმართველობის სხდომებში მისი ჩართვა. პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი ამ პროცესებში ჩართული მაინც აღმოჩნდა.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის 14 სხდომაზე შეკრებილმა საზოგადოებამ საჭიროდ სცნო შეკრებილიყო კომისია, რომელიც შეიმუშავებდა იმ საკითხებს, რომელსაც ბენეშევიჩის წინაშე წარადგენდნენ. აღნიშულმა სხდომამ პროფესორ ბენეშევიჩთან წარსადგენი კომისიის შემადგენლობა შემდეგნაირად შეარჩია: დეკანოზი კორ[ნელი] კეკელიძე, დეკანოზი ნიკ[იტა] თალაქვაძე, დეკანოზი კალ[ისტრატე] ცინცაძე, ბატონი ს[ერგი] გორგაძე და ეპისკოპოსი ანტონი. კომისიის წევრებს დაევალებათ - პროფესორ ბენეშევიჩთან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის დაცვა იმ სახით, როგორც ეს საჭიროდ სცნო კრებამ. როგორც სხდომის ოქმებიდან ირკვევა პროფესორ ბენეშევიჩთან აღნიშნული კომისიის შეხვედრა შედგა, რომელიც არც თუ ისე სასიამოვნო შედეგებით დასრულდა. 1917 წლის 14 აპრილის საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის 18-ე სხდომაზე ამ შეხვედრის დეტალები იქნა განხილული. მომხსენებელი გახლდათ დეკანოზი კორნელი კეკელიძე, რომელმაც სხდომის წევრებს გააცნო ვლადიმერ ბენეშევიჩთან საუბრის შედეგები, კერძოდ: კომისიის წევრებს აინტერესებდათ „ვის ხელთ უნდა ყოფილიყო საქმეების მართვა-გამგებლობა იმის შემდეგ, რაც დროებითი მთავრობის დეკლარაციით საექსარხოსო გაუქმდა? ბენეშევიჩის აზრით ყოველივე, სანამ ავტოკეფალიის გარშემო

აღძრული საკითხები გაირკვევოდა, უნდა დარჩენილიყო იმ სახით, როგორც მანამდე იყო. კომისია კი საწინააღმდეგოს უმტკიცებდა.¹ კომისიის წევრებმა რუს პროფესორთან მთავარ და მნიშვნელოვან საკითხზე ავტოკეფალიაზე ისაუბრეს. მათ განუცხადეს ბენეშევიჩს, რომ თუ არ ტერიტორიალური, სხვა სახით ავტოკეფალიას არ ვთხოვლობთო. პროფესორმა ბენეშევიჩმა „აქ ძალიან წინააღმდეგობა იჩინა, ბევრი ლაპარაკის და დასაბუთების შემდეგ ისლა გვიპასუხა, რომ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ჩვენი სურვილი და თვით საკითხს არჩევს არა ისე, როგორც კანონისტი, არამედ როგორც მთავრობისაგან გამოგზავნილი მოხელე, აგენტი. ეროვნული უნდა მიიღოთ, არაფერი საიმისო გარჩევა არ იქნება. ყველა ცალკე აღებული სამრევლო ავტოკეფალური იქნება და შემდეგში პრაქტიკულად ტერიტორიალურად გადაიქცევა. დაამთავრა თავისი განცხადება იმით, რომ ტერიტორიალური ავტოკეფალიის აღდგენა ამ ჟამად მას არ ძალუძს და ამისათვის, სთქვა ბენეშევიჩმა, მე მსურს თქვენ ღროებით მმართველობას თვითონვე მოველაპარაკო და თუ არ დათანხმდება ეროვნულს, მაშინ სხვა არაფერი დამრჩენია, უნდა ავიღო ბარგი და წავიდეთ“.² აღნიშნული საკითხის მოგვარება კომისიის წევრებისთვის არც თუ ისე ადვილი იყო. მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მთელი ღროებითი მმართველობის წევრების სახელით ისინი გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ. საჭირო იყო კიდევ მსჯელობა და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე სამოქმედო გეგმის დასახვა.

საქართველოს ეკლესიის ღროებითი მმართველობის სხდომებიდან ერთი რამ ცხადი იყო - ღროებითი მმართველობის წევ-

¹ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ. თბილისი. 2016, გვ. 66.

² საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი-14 სექტემბერი)... გვ. 74.

რებისთვის პროფესორ ვლადიმერ ბენეშევიჩთან ურთიერთობის დროს უმთავრესი მაინც ის იყო, რომ ვლადიმერ ბენეშევიჩის დახმარებით მათ უნდა მიეღწიათ იმ ძრითადი დებულებების დამტკიცების შესახებ, რომელიც განსაზღვრავდა საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობას რუსეთის სახელმწიფოში. აღნიშნული დებულების შესახებ კომისიის წევრებს რუს პროფესორთან საუბარი უკვე ჰქონდათ.

საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებს ვლადიმერ ბენეშევიჩმა მრავალჯერ გაუცრუა იმედი. თითქმის არ დარჩენილა განსახილველი საკითხი, სადაც ისინი წინააღმდეგობას არ წააწყდნენ რუსი პროფესორის სახით. კომისიის სხდომაზე და შეხვედრებზე ვლადიმერ ბენეშევიჩი სიტყვიერად თითქოს ეთანხმებოდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრებს, მაგრამ შემხვედრი ნაბიჯი მის მიერ არ გადადგმულა. ვლადიმერ ბენეშევიჩის საქციელმა არაერთხელ გამოიწვია დიდი უკმაყოფილება. ზოგიერთი წევრის აზრით, მისთვის სრული უნდობლობა უნდა გამოეცხადებინათ და მოესპოთ ბენეშევიჩთან ყოველგვარი კავშირი. სხვებმა საჭიროდ სცნეს საპროტესტო დეპეშის გაგზავნა პეტროგრადში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან და ობერპროკურორთან თხოვნით, რომ დაუყოვნებლივ დაინიშნათ საქმეების დასამთავრებლად სხვა, უფრო მტკიცე ხასიათისა და მართლმსაჯული კაცი.

რუსი პროფესორი, რომელიც საქართველოში საეკლესიო საქმეების მოგვარების მიზნით ჩამოვიდა, აღმოჩნდა, რომ დაბრკოლებას ქმინდა დროებითი მმართველობის წევრებისთვის. მისი ორთვიანი მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიისთვის უნაყოფო აღმოჩნდა.³

³ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები... გვ. 74

**To the assessment of activity of Vladimir Beneshevich –
professor of Petersburg University (1917) (According to the
minutes of meetings of temporary administration of Georgian
Orthodox church)**

Resume

After restoration of the autocephaly of Georgian Orthodox apostolic church (March 12, 1917) the Georgian clergy faced the main problem that needed to be solved – on the one hand, the Georgian church needed to reach the recognition of its autocephaly by the world Orthodox churches and on the other, not-Orthodox Christian confessions had to officially recognize the March 12(25), 1917 Svetitskhoveli Act of independence. The temporary administration committee of the Georgian church first of all tried to put in order its relations with Russian Orthodox church that was related to division of church property, and jurisdiction problems of church and monasteries, and Georgian Orthodox church in general.

In order to regulate the relations with Russian church Vladimir Beneshevich, professor of Petersburg University, attended Georgia from April 10 to June 4, 1917, and took part in the meetings of temporary administration of Georgian Orthodox church. The goal of the work is to highlight the role of professor Beneshevich in the recognition of autocephaly of the Georgian church.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომის ჟურნალები (1917 წლის 13 მარტი - 14 სექტემბერი). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ. (თბილისი, 2016).

რელიგიური კონფლიქტი იერუსალიმში

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარება.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები ერთი შეხედვით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ აღნიშნულ რეგიონში მშვიდობამ დაისადგუროს, კონფლიქტი მაინც მოუგვარებელია. ბუნებრივია, დაიბადება კითხვა, თუ რა უშლის ხელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხს?

მიზეზად ბევრი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს, მაგალითად: ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ბუნებრივი წიაღისეულის მრავალფეროვნება (განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ნავთობის არსებობა), მოსახლეობის სიჭრელე, მათი კულტურული დონის სხვაობა, დიდი სახელმწიფოების განსაკუთრებული ინტერესი (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, ირანი) და სხვა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, უმთავრეს მიზეზად, ალბათ, მაინც უნდა დასახელდეს რელიგიური სიჭრელე, რაც კონფლიქტის მოგვარების საკითხს უფრო ართულებს.

ახლო აღმოსავლეთი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სამი დიდი რელიგიის-იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის ნავსაყუდელს. ახლო აღმოსავლეთის რელიგიურ-პოლიტიკური დაპირისპირება გამძაფრდა მას შემდეგ, რაც ამ სამ რელიგიას გაუჩნდა პრეტენზია ახლო აღმოსავლეთის ცენტრზე, იერუსალიმზე.

სამართლიანად შენიშნავს რევაზ გაჩეჩილაძე, როდესაც თავის წიგნში „ახლო აღმოსავლეთი, სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“ წერს: „იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი, ტრადიციულად წმინდაა ერთი რელიგიისთვის, პოლიტიკური პრობლემები მინიმალურია“¹ მაგრამ, სამწუხაროდ, იერუსალიმში სამი დიდი რელიგიის ინტერესები გადაიკვეთა და მათ შორის პირველობისათვის ბრძოლამ დაუნდობელი ხასიათი მიიღო, რამაც ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ კონფლიქტს რელიგიური ელფერიც შესძინა, ყოველივე ეს აღნიშნული კონფლიქტის მოგვარებას მეტად ართულებს, რადგანაც იმ კონფლიქტის გადაწყვეტა, სადაც რელიგიური ფაქტორი გადამწყვეტია, რთულად მოსაგვარებელია.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მთავარ ცენტრს ქალაქი იერუსალიმი წარმოადგენს, სადაც პირველობისათვის ერთმანეთს ექიშებიან იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი. თავისთავად ჩნდება კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სამართლიანია ამ რელიგიების პრეტენზია ქალაქ იერუსალიმზე?

იმისათვის, რომ დასმულ შეკითხვაზე პასუხი მივიღოთ, საჭიროა, განვიხილოთ იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის რელიგიური კავშირი წმინდა ქალაქ იერუსალიმთან.

ებრაელთა რელიგიის (იუდაიზმი) მიხედვით, მთელი იერუსალიმი წმინდაა, ამ იდეას ებრაელები ამყარებენ თორას მიხედვით, თუმცა, გადაჭრით ძნელია იმის თქმა, რომ სწორედ თორაა ის წმინდა წიგნი ებრაელებისათვის, საიდანაც მათ ეუწყათ, რომ იერუსალიმი ღმერთმა მათ უწყალობა, რადგანაც თორაში (მოსეს ხუთწიგნეული) ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. თორაში ნახსენებია სიტყვა შალეში, რასაც ებრაელები იერუსალიმის სინონიმად თვლიან.

¹ რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, (გამომცემლობა ბაკურ სულაკაური, თბილისი, 2008), გვ. 491.

ებრაელი ერის ისრაელში შესვლასა და მათი ღმერთის მიერ რჩეულ ერად გამოცხადების შესახებ ცნობას გვაწვდის ძველი აღთქმა, სადაც გადმოცემულია ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყვანა ებრაელი ერი ეგვიპტელთა ტყვეობიდან მეფე დავითმა და როგორ მოახდინა მან იებუსეველების დამარცხება და ქალაქ იერუსალიმის აღება, რის შემდეგაც ებრაელებმა დაიკავეს ქალაქი ისრაელი.

მას შემდეგ, რაც ებრაელები დამკვიდრდნენ ისრაელში (იერუსალიმში), მათ იქ მიეცათ არაერთი ადგილი, რაც მათთვის დღემდე წარმოადგენს განსაკუთრებულ სიწმინდეს. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ტაძრის მთა (ჰარ-ჰა ბაითი) და მისი ჩრდილოეთი კედელი კოტელ-ჰა-მარავი, სადაც ებრაელები ღოცულობენ.

იუდეველთა მეორე ტაძრის ნაწილად ითვლება მხოლოდ მისი საძირკველის საყრდენი ჰა-კოტელ-ჰა მარავი, დასავლეთის კედელი, იგივე გოდების კედელი. ის, რომ ებრაელებისათვის ჰარ-ჰა-ბაითი (ტაძრის მთა) განსაკუთრებული სიწმინდის მატარებელია, იქიდანაც ჩანს, რომ დღეს ებრაელებს ეკრძალებათ ამ მთაზე ასვლა, რადგანაც მათ უცაბედად არ შეურაცხყონ ფეხის დადგმით ტაძრის საკურთხეველი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოცი საუკუნის წინ მდგარი ტაძრის წმიდათაწმიდაში შედიოდა მხოლოდ პირველი მოძღვარი, წელიწადში მხოლოდ ერთხელ, იომ-ქიფურის დღეს (განკითხვის დღე).

თანამედროვე ებრაელებს დღემდე სწამთ, რომ ტაძარი მესამედაც აიგება, მას შემდეგ, რაც მოვა მაშხია (მხსნელი) და ებრაელებს აუგებს ტაძარს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ებრაულ საზოგადოებაში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მესიის მოსვლას არ ელოდებიან და მოითხოვენ, რომ მათ მიერ იქნება აღდგენილი ტაძარი, რაც პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგანაც ამ ტაძრის ნანგრევებზე აღმართულია მუსლიმების მეჩეთი, ეგრეთწოდებული კლდის გუმბათი. ბუნებრივია, მუსლიმები ებრაელებს არ მისცემენ იმის უფლებას, რომ მათი მეჩეთი დაან-

გრიონ და იქ იუდეველების ტაძარი აღადგინონ, ამიტომაცაა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას და თავად ებრაელ პოლიტ-ელიტას კარგად აქვთ გაცნობიერებული მოსალოდნელი საფრთხე, რაც შეიძლება მოჰყვეს ტაძრის აღდგენას.

იერუსალიმის ტერიტორიაზე პირველი მსოფლიო რელიგიის სახით წარმოდგენილია ქრისტიანობა, რომელსაც ყველა სხვა (იუდაიზმი, ისლამი) რელიგიებისაგან განსხვავებით უნდა ჰქონდეს სამართლიანად ლიდერობაზე პრეტენზია, რადგანაც ქრისტიანებისათვის ყველაფერი ის, რაც მაცხოვრის ამქვეყნიურ მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებული სიწმინდის მატარებელია.

მაცხოვრის ამქვეყნიური მოღვაწეობა დაკავშირებულია ძველი პალესტინის ტერიტორიასთან, რომელიც დღეს წარმოადგენს ისრაელის სახელმწიფოსა და პალესტინის ადმინისტრაციას, გამოდინარე აქედან, ადვილი გასაგებია, თუ რატომაა ისრაელის ტერიტორია ქრისტიანებისათვის განსაკუთრებული სიწმინდის მატარებელი, მაგრამ ქრისტიანებს, განსხვავებით იუდეველებისა და მუსლიმებისაგან, იერუსალიმზე შედარებით ნაკლები პრეტენზია აქვთ, რადგანაც ყველა ქრისტიანისათვის მთავარია ზეციური იერუსალიმი და არა ამქვეყნიური იერუსალიმი (ებრაელებისათვის მთავარია ამქვეყნიური იერუსალიმი და არა ზეციური იერუსალიმი. იუდაიზმის ამ მოთხოვნამ ებრაელი ერის გადარჩენაში გადამწყვეტი როლი ითამაშა და ებრაელ ერს, მიუხედავად მათი დევნილობისა და ტანჯვისა, შეანარჩუნებინა თვითმყოფადობა და მისწრაფება იმისაკენ, რომ ისინი უნდა დაბრუნებულიყვნენ იერუსალიმში).

დღესდღეობით წმინდა ქალაქ იერუსალიმზე ქრისტიანულ სამყაროს არ აქვს პოლიტიკურ კონტროლზე პრეტენზია, სამართლიანად შენიშნავს რევაზ გაჩეჩილაძე, როდესაც წერს: „მსოფლიო პოლიტიკისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ იერუსალიმში ქრისტიანობის არცერთი მიმართულება არ ედავება

კონკრეტულ წმინდა ადგილს, არც იუდაიზმს და არც ისლამს“² ალბათ, ეს განაპირობა იმან, რომ დასავლეთ ევროპის ქრისტიანული სამყარო განვითარდა სხვაგვარად, კერძოდ: დასავლეთში მიმდინარე ეგრეთწოდებულმა პროტესტანტიზმმა ღიდად შეუწყო ხელი სეკულარული იდეების პროპაგანდას, რამაც დასავლეთ ევროპა მიიყვანა დემოკრატიის განვითარებამდე და ევროპის სახელმწიფოები სეკულარულ სახელმწიფოებად ჩამოაყალიბა, რაც თავისთავად ნიშნავდა ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან გამოიჯვანას.

მეორე მსოფლიო რელიგიას იერუსალიმში წარმოადგენს ისლამი. მუსლიმებისათვის ყველაზე წმინდა ადგილია მექა და მედინა, ყველა მუსლიმის ვალია, ერთხელ მაინც მოილოცოს მათთვის ყველაზე წმინდა ადგილი.

სავსებით გასაგებია ის, რომ მექა და მედინა მუსლიმებისათვის წარმოადგენს ღიდა სიწმინდის მატარებელ ადგილს, რადგანაც მუჰამედის მოღვაწეობა სწორედ ამ ქალაქებთანაა დაკავშირებული. მაგრამ გაურკვეველია, იერუსალიმთან რა აკავშირებდა მუსლიმებს ისეთი, რამაც ისინი ასე მჭიდროდ დააკავშირა იერუსალიმთან (ცნობილია, რომ მუჰამედს საერთოდ ფეხიც არ დაუდგამს იერუსალიმში). თავად მუსლიმების წმინდა წიგნი ყურანიც არაფერს საუბრობს მუჰამედის კავშირზე ქალაქ იერუსალიმთან, თუ არ ჩავთვლით ყურანის მე-17 სურას, სადაც ვკითხულობთ: „დიდება იმას, ვინც ღამით გადაიყვანა თავისი მონა ალ-მასჯიდ ალ-ჰარამიდან ალ-მასჯიდ ალ-აქსამდე, რომლის გარშემოც ვაკურთხეთ, რათა გვეჩვენებინა მისთვის ზოგი ჩვენი სასწაული. ჭეშმარიტად იგი ყოვლის გამგონეა“.³

² რ. გაჩეჩილაძე. *ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ზღვრი და პოლიტიკა...* გვ. 498.

³ ყურანი. (კავკასიის სახლი, თბილისი, 2006), გვ. 218.

ყურანის მე-17 სურაში აღნიშნულ ამ სიტყვებში იგულისხმება სწორედ მუჰამედის სასწაულებრივი მოგზაურობა ღამით მექიდან იერუსალიმში (ალ-ისრა) და ასევე ცად ასვლა „ალ-მი რაჯი“.

მას შემდეგ, რაც არაბები აღმოჩნდნენ პალესტინის ტერიტორიაზე (დღევანდელი იერუსალიმი), მათ მორწმუნე არაბი მოსახლეობა უნდა დაერწმუნებინათ იმაში, რომ აღნიშნული ტერიტორიები მუსლიმებისთვის წარმოადგენდა განსაკუთრებული სიწმინდის მქონე ადგილს, ამიტომ მათ ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ იმისათვის, რომ ეს ადგილი დაეპყროთ. ასე გაჩნდა იერუსალიმის ტერიტორიაზე მუსლიმებისათვის ერთ-ერთ ყველაზე წმინდა ადგილად ალ-კუბბათ ას -სახრა (კლდის გუმბათი), რომელიც აგებულია იუდეველების წმინდა ტაძრის მთაზე, სადაც ოდესღაც იყო აღმართული იუდეველების ტაძარი, ასევე, ქალაქი ალ-ხალილი (იუდეველებისათვის ქალაქი ხებრონი) - პატრიარქთა სამარე, სადაც დაკრძალულია, მუსლიმური გადმოცემით, არაბთა მამამთავარი იბრაჰიმი, (იუდეველებისათვის პატრიარქი აბრაამი). VII ს-ში ამ ადგილზე მუსლიმებმა ააგეს მიზგიდი ალ-ჰარამ ალ-ხალილი.

მუსლიმებისათვის იერუსალიმის წმინდა ქალაქად გამოცხადების შესახებ ელუარდ ცაბაძემ გამოთქვა მოსაზრება, მისი აზრით, ქალაქი იერუსალიმი განსაკუთრებული სიწმინდის მატარებელი გახდა XII საუკუნის შუა ხანებში, მას შემდეგ, რაც ის სულთანმა სალაჰ ად-დინმა გაათავისუფლა ჯვაროსნებისაგან.

ელუარდ ცაბაძე წერს: „სტატუსი იერუსალიმისა, როგორც წმინდა ქალაქისა, ხშირად ეჭვქვეშ დგებოდა მუსლიმი თეოლოგების მსჯელობაში, რომლებიც, ძირითადად, მედინელები იყვნენ. ამიტომ XI საუკუნემდე ქალაქს განსაკუთრებული ადგილი არ ეკავა მაჰმადიანების ცხოვრებაში. საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეიცვალა XII საუკუნის შუა ხანებში, როდესაც სულთანმა სალაჰ ად-დინმა ჯიჰადის (წმინდა ომი) იდეა ჯვაროსნების წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის ძირითად მამოძრავებელ წყაროდ აქცია.

ამის შემდეგ იერუსალიმი ისლამურ სამყაროში მყარად მკვიდრდება, როგორც საყოველთაოდ აღიარებული წმინდა ქალაქი“.⁴

ელჟარდ ცაბადის ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, რადგანაც იერუსალიმი განსაკუთრებული სიწმინდის მატარებელი ჯერ კიდევ მაშინ გახდა მუსლიმებისათვის, როდესაც მუსლიმმა თეოლოგებმა ყურანის მე-17 სურაში ჩაწერეს მუჰამედის მოგზაურობის ისტორია ზეცაში და მისი შეჩერება იერუსალიმში, რითაც მათ პირდაპირ დაუკავშირეს სამუდამოდ წმინდა ქალაქ იერუსალიმს. მუსლიმი თეოლოგების მსგავსად, პირველი მართლმორწმუნე არაბი ხალიფებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არაბი მუსლიმი მოსახლეობისათვის წმინდა ადგილად ექციათ იერუსალიმი, სწორედ ამ იდეის განხორციელებას ემსახურებოდა 638 წელს ხალიფა ომარის მიერ ნატაძრალის ტერიტორიის გაწმენდა და მისი წმინდა ადგილად გამოცხადება.

ზემო განხილული რელიგიების ინტერესი იერუსალიმში არის ის მიზეზი, რამაც წმინდა ქალაქში წარმოქმნა რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტი, რომლის მოგვარება ძალიან რთულია, რადგანაც რელიგია არის ის სენსიტიური საკითხი თითოეული ადამიანისათვის, რომლის შეხება და ხელყოფა წარმოადგენს დიდ სულიერ იარაგს ნებისმიერი მორწმუნესათვის, განსაკუთრებით ეს საკითხი მაშინ მძაფრდება, როდესაც რელიგიური მოღვაწენი (ეს იქნება იმამი, რაბინი თუ მღვდელი) ყველანაირად ცდილობენ, რომ მათი რელიგია წმინდა წიგნის მეშვეობით დაუკავშირონ კონკრეტულ ადგილს (ამ შემთხვევაში, იერუსალიმს). მაგალითად, ალაჰის მოციქულის და წინასწარმეტყველის-მუჰამედის ზეცაში მოგზაურობის სცენა უკავშირდება ქალაქ იერუსალიმს, რაც საკმარისია იმისათვის, რომ იერუსალიმი გამხდარიყო წმინდა ქალაქი მუსლიმებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას იუდეველებსა და ქრისტიანებზე.

⁴ **ელჟარდ ცაბადე.** იერუსალიმი-სამყაროს „ოქროს ჭიბი“, ჟურნალი *ადმოსავლეტი*, №3, 2002, გვ. 18.

Religious Conflict in Jerusalem

Resume

One of the main challenges of the modern World is the peaceful solution of the political crisis in the Middle East.

In spite of the utmost effort of the most powerful states to achieve peace in the mentioned region, conflict remains unsolved. What is the basic obstacle that impedes the solution of the conflict in the Middle East? A number of factors could be named. These are: geographical location, diversity of natural resources (especially oil), variety of population and variety of their cultures, particular interests of powerful states in this region, etc.

The reason that deepens and complicates the tension in the region is the religious diversity. For centuries three great confessions were the dominating religions: Judaism, Christianity and Islam.

Religious and political confrontation was further dramatized when the three religions proclaimed their domination over Jerusalem- the center of the Middle East.

Not one religious and political attempt could be named throughout history in order to conquer Jerusalem. Political situation in Jerusalem has become even more severe since 1948. This is the year when the Jews established the State. The above mentioned fact gave birth to a new phase of conflict that exists and continues in the Middle East at present.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია. (საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989);
2. რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, (გამომცემლობა ბაკურ სულაკაური, თბილისი, 2008);
3. ელუარდ ცაბაძე. იერუსალიმი-სამყაროს „ოქროს ჭიბი“, ჟურნალი აღმოსავლეთი, №3, 2002.
4. ყურანი. (კავკასიის სახლი, თბილისი, 2006);

ქართულ-ბერძნული ურთიერთობები და ისტორიულ-კულტურული კავშირები

ქართულ-ბერძნული ურთიერთობები ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში

ქართულ-ბერძნული ურთიერთობები სათავეს შორეული წარსულიდან იღებს. ეს ურთიერთობები ჯერ კიდევ ძვ.წ.აღ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში იწყება და ინტენსიურად გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ქართულ სამეფოებიდან განსაკუთრებით კოლხეთს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა საბერძნეთთან. ბერძნულ-ქართულმა ურთიერთობებმა ასახვა ჰპოვა ქართულ მითოლოგიაში. ერთ-ერთი ასეთი მითი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მიაჯაჭვა ბერძენთა უზენაესმა ღმერთმა ზევსმა თავგასული პრომეთე კავკასიონის მთაზე და სამუდამო ტანჯვით გასწირა, იმის გამო რომ მან ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და კაცობრიობას აჩუქა. ქართულ-ბერძნული ურთიერთობების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის მითი არგონავტების შესახებ, რომლებმაც კოლხეთში იმოგზაურეს, კოლხეთის მეფე აიეტს ოქროს საწმისი წაართვეს, მისი გრძნეული ქალიშვილი მედეაც მოსტაცეს და საბერძნეთში წაიყვანეს.

ქართულ-ბერძნული ურთიერთობები განსაკუთრებით ინტენსიური გახდა დიდი ბერძნული კოლონიზაციის დროიდან მოყოლებული. დიდი ბერძნული კოლონიზაცია იწყება მას შემდეგ, რაც მოსახლეობის რაოდენობა საბერძნეთში მკვეთრად გაიზარდა ძვ.წ.აღ. IX – VIII საუკუნეებში. მცირემიწიანობის გამო ბერძნები იწყებენ ახალი ტერიტორიების ათვისებას და ქალაქ-სახელმწიფოების დაარსებას. საკოლონიზაციო მოძრაობა

რამოდენიმე მიმართულებით გაიშალა და საკმაოდ დიდი ტერიტორია მოიცვა: დასავლეთით - სამხრეთ იტალია, სიცილია, სამხრეთ გალია და ესპანეთი, ჩრდილოეთით - თრაკიული სანაპირო და შავი ზღვის მისადგომები, სამხრეთით - ეგვიპტე და ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირო, აღმოსავლეთით - მცირე აზია.¹



ძვ.წ.აღ. VII –VI საუკუნეებში ბერძნებმა დაიწყეს შავი ზღვის სანაპიროს კოლონიზაცია და არაერთი ქალაქ-სახელწიფო დააარსეს კოლხეთის ტერიტორიაზე (დიოსკურია, პიტიუნტი, ფაზისი, გიენოსი) არქელოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ბერძნული დასახლება არსებობდა ასევე ქობულეთის მახლობლად. ამ ბერძნული ახალშენების მეშვეობით ქართველი ხალხის ურთიერთობა ბერძნებთან ინტენსიურ ხასიათს იღებდა. ჩვენი ერის კულტურა მდიდრდებოდა და იხვეწებოდა ბერძნულ

¹ რისმაგ ვორდუზიანი. *ბერძნული ცივილიზაცია*, (მერანი, თბილისი, 1988).

ახალშენებთან და ბერძნულ კულტურასთან ურთიერთობის შედეგად.²

ქალაქ ფაზისში არსებობდა აკადემია სადაც ქართველი და ბერძენი ფილოსოფოსები, საზოგადო მოღვაწეები ეუფლებოდნენ ორატორობის ხელოვნებას. ამ აკადემიაში უსწავლიათ ევგენიოსს და მის შვილს თემისტეს, იბერიის უფლისწულ ბაკურს, პეტრე იბერს და. ა. შ. ქრისტეს მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა ფაზისში იქადაგა ქრისტიანობა.

ყველაზე მნიშვნელოვან და გავლენიან ქალაქ-სახელმწიფოდ ითვლებოდა ფაზისი. ქალაქ ფაზისი მაღალგანვითარებული ქალაქი იყო და წარმოადგენდა ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრს. ქალაქ ფაზისში ხდებოდა ლეგენდარული ვერცხლის მონეტების მოჭრა, რომელიც კოლხური თეთრის სახელით არის ცნობილი. ამ ქალაქს მჭიდრო ეკონომიკური, კომერციული და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა ბერძნულ სამყაროსთან.³ ფაზისის დაწინაურებას ასევე ხელს უწყობდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა. იგი დიდი აბრეშუმის სავაჭრო გზაზე მდებარეობდა და დიდ როლს ასრულებდა საერთაშორისო სატრანზიტო ვაჭრობაში. ფაზისის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ძველი ბერძენი ისტორიკოსები სტრაბონი, ჰეროდოტე, ჰერაკლიდე, ჰეკატეოს მილეტელი. კარგი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ფაზისი მალევე გამდიდრებულა და სტუმართმოყვარე ქალაქის სახელი მოუხვეჭია. როგორც ჰერაკლიდე გადმოგვცემს: „ფაზისი დააარსეს მილეტელებმა. ისინი სტუმართმოყვარენი არიან, ისე რომ

² რისმაგ გორდენიანი. ძველი საბერძნეთი და ჩვენ, ჟურნალი *ჩემი სამყარო*, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2013, <https://www.gfsis.org/files/my-world/1/saberdzneti.pdf>.

³ Gocha R. Tetskhladze. Greek Colonization of the Eastern Black Sea Littoral (Colchis) https://www.persee.fr/doc/dha_0755-7256_1992_num_18_2_2026.

ამარაგებენ მათ, ვისაც გემი ელუპებათ. 3 მნას (300 დრაჰმას) აძლევენ“.⁴

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მოსახლეობა ეთნიკურად შერეული იყო, რაც არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. ბერძნული კოლონიები დიდ გავლენას ახდენდნენ კოლხეთის კულტურასა და ადამიანურ წესებზე. ბერძნული კოლონიების საშუალებით კოლხეთი უკავშირდებოდა ბერძნულ სამყაროს, რომელიც იმ დროს ყველაზე მაღალგანვითარებული იყო. ძველი სამყაროს ქვეყნებთან კოლხეთი აწარმოებდა როგორც საქონლის ექსპორტს, ასევე იმპორტს. ელინისტური საბერძნეთი ზღვისპირა ქალაქ-სახელმწიფოების მეშვეობით ამყარებდა კულტურულ - ეკონომიკურ ურთიერთობებს კოლხეთთან. რაც შეეხება ელინიზაციას ის შეეხო განსაკუთრებით ზღვისპირა მოსახლეობას და შავი ზღვისპირეთს, კოლხეთის დანარჩენმა ნაწილმა შეძლო ეთნიკური იდენტობის და განსხვავებული კულტურის შენარჩუნება.

ამრიგად, ანტიკურ და შუა საუკუნეებში ქართული სამეფოები განიცდიდნენ ბერძნული კულტურის დიდ ზეგავლენას. ტერმინი ბერძენი მომდინარეობს ქართული სიტყვიდან „ბრძენი“, ხოლო საბერძნეთი სიტყვასიტყვით ბრძენი ხალხის ქვეყანას ნიშნავს.

ქართველები გაჭირვების ჟამს მხარში ედგნენ ბერძნებს და მათ როგორც მორალურ, ასევე სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას უწევდნენ. ისტორიიდან შესაძლებელია არაერთი მაგალითის მოყვანა, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია თორნიკე ერისთავის თავდადება, რომელმაც 979 წელს დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და ბიზანტიის სამეფო კარს დიდი დახმარება აღმოუჩინა, ბასილ მეორეს ტახტი შეუწარმოა. მეორე მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ 1204 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, რომელიც შეიქმნა საქართველოს სამეფო კარის ინიციატივითა და

⁴ ჟნა მურგულია. „დიდი ბერძნული კოლონიზაცია“ და კოლხეთის სამეფო. http://umurgulia82.blogspot.com/2017/07/blog-post_26.html.

დახმარებით. თამარ მეფის ბრძანებით დიდი ჯარი იქნა გაგზავნილი სამხრეთით. ქართულმა ჯარმა დაიკავა ვრცელი ტერიტორია ჭანეთი, ტრაპიზონი, ლიმანი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა, ამასტრისი, ჰერაკლეა, პაფლაგონიისა და პონტოს სხვა ადგილები და ამ ტერიტორიაზე ქართული სამეფო კარის ინიციატივით დაარსდა ბერძნული სახელმწიფო - ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კომნენოსების დინასტია. თამარმა გადაწყვიტა, რომ ტრაპიზონის იმპერიის ტახტზე თავისი ნათესავები, ძმები ალექსი და დავით კომნენოსები დაესვა, რომლებიც წარმომავლობით ბერძნები იყვნენ. ალექსი და დავით კომნენოსები თამარ მეფის დისშვილები იყვნენ, რომლებიც საქართველოს სამეფო კარზე იზრდებოდნენ. ისინი საქართველოში მას შემდეგ აღმოჩნდნენ, რაც კონსტანტინეპოლში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და კომნენოსებმა ძალაუფლება დაკარგეს. მათ საქართველოს შეაფარეს თავი და თამარ მეფის დახმარებით ტრაპიზონის იმპერატორები გახდნენ.

ბიზანტიის იმპერიის და ტრაპიზონის იმპერიის დაცემის შედეგ, ამ იმპერიების ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძნების ნაწილმა საქართველოს შეაფარა თავი და აქ დასახლდა. რელიგიური და ეთნიკური იდენტობის შესარჩუნების მიზნით ოსმალეთის იმპერიიდან დევნილი პონტოელი ბერძნები საქართველოს აფარებენ თავს და საქართველოს შავიზღვისპირეთში სახლდებიან. ბერძნების მიგრაცია საქართველოში საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა, განსაკუთრებით რუსეთ-თურქეთის ომების შემდეგ. ასე გაჩნდა საქართველოში პონტოელი ბერძნების კომპაქტური დასახლებები XVIII - XIX საუკუნეებში. ბერძნების ყველაზე დიდი ნაკადი საქართველოში XIX საუკუნეში შემოვიდა და დასახლდა.⁵

⁵ **თონა აბულაძე.** აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების თავისებურებანი (სოციოკულტურული ასპექტები), ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ბათუმი, 2008, https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10299_1.pdf;

ქართულ-ბერძნული ურთიერთობები XX და XXI საუკუნეებში

1921 წელი არის ერთ-ერთი შავი ფურცელი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საბჭოთა რეჟიმი დამყარდა საქართველოში. მას შემდეგ რაც დამყარდა საბჭოთა წყობილება საქართველოში, ბოლშევიკურმა რეჟიმმა ბერძნების დისკრიმინაციას მიჰყო ხელი და სტალინის ბრძანებით დიდი რაოდენობით ბერძნები იქნა გადასახლებული საქართველოდან. მიუხედავად ამისა, ბერძნული დიასპორა საქართველოში მაინც შემორჩა. 1989 წელს ბერძნების საერთო რაოდენობა საქართველოში დაახლოებით 100 ათასს შეადგენდა. 1991 წლიდან სამწუხაროდ დაიწყო ბერძნული მოსახლეობის გადინება საქართველოდან და თანდათანობით შემცირება. 2002 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში ცხოვრობდა 15.166 ბერძენი. ბერძნების უმეტესობა საქართველოს სამხრეთ რაიონებში წალკაში ცხოვრობს, რომლებიც თურქულ ენაზე - ეგრეთ წოდებულ ურუმულ ენაზე საუბრობენ. სხვათა შორის ისინი გამონაკლისს არ წარმოადგენენ, ვინაიდან 1920-იან წლებში თურქეთიდან გადასახლებული ბერძნული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი თურქოფონი იყო.

საბჭოთა პერიოდში ბერძნული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი სოხუმი. როდესაც ომი დაიწყო აფხაზეთში, ქვეყანაში კვლავ ცხოვრობდა დაახლოებით 15.000 პონტოელი ბერძენი. 1991 წელს ადგილობრივმა ბერძნებმა დაიწყეს სოხუმიდან მიგრაცია. მათ უკვე მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი სამშობლოში დაბრუნება. 1993 წელს საბერძნეთის მთავრობამ განახორციელა ოპერაცია „ოქროს საწმისი“ და მოახდინა აფხაზეთში დარჩენილი ბერძნული მოსახლეობის ევაკუაცია. 2011 წლის აღწერის მონაცემებით მხოლოდ 1380 ბერძენი ცხოვრობს აფხაზეთში.⁶

⁶ **ალექსი დავითაშვილი.** ოპერაცია „ოქროს საწმისი“ – ნაკლებად ცნობილი ისტორიის ქრონიკა, 2018, <https://nostal.ge/2018/05/08/operacia-oqros-sawmisi/>;

საბერძნეთი ევროკავშირში მყოფი ქართული დიასპორის უდიდესი მასშინძელია. რაც შეეხება საბერძნეთში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას, არაოფიციალური მონაცემებით 200.000 საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს საბერძნეთში. მათი უმეტესობა ემიგრაციაში წავიდა უმუშევრობის გამო. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ დაახლოებით 100.000 ეთნიკურმა ბერძენმა ეკონომიკური კრიზისის გამო დატოვა საქართველო და საბერძნეთში სამუდამოდ გადავიდა საცხოვრებლად. საბერძნეთი საქართველოს ფულადი გზავნილების მთლიან მოცულობაში მეორე ადგილს იკავებს რუსეთის შემდეგ. მარტო 2014 წელს საბერძნეთიდან საქართველოში 205 მილიონი დოლარი გამოიგზავნა. საბერძნეთიდან გამოგზავნილი ფული ხშირ შემთხვევაში შემოსავლის ერთადერთი წყაროა ათასობით ქართველი ოჯახისათვის.

ბოლო წლებში ქართულ-ბერძნული ურთიერთობები სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს. პრემიერ მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, კახი კალაძესთან და მიხეილ ჯანელიძესთან ერთად საბერძნეთში იმყოფებოდა 2016 წელს და ტრანს-ადრიატიკის მილსადენის მშენებლობის დაწყების ცერემონიას ესწრებოდა. ტრანს-ადრიატიკის გაზსადენის ამუშავება 2019 წლისთვის არის დაგეგმილი. მისი გაშტარობა ყოველწლიურად 10 მილიარდი კუბური მეტრი გაზი იქნება. პროექტს ევროპაში განიხილავენ, როგორც რუსეთის მიერ დაფინანსებული სამხრეთის ნაკადის პროექტის საპირწონედ. „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტი ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ემსახურება და ითვალისწინებს აზერბაიჯანის ბუნებრივი აირის ევროპის ბაზარზე მიწოდებას. ევროპას სურს რუსეთზე ენერგოაძოკიდებულების შემცირება, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას. აღნიშნული პროექტის განხორციელება კიდევ უფრო აძლიერებს როგორც საბერძნეთის, ასევე საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას და ხელს უწყობს საქართველოს და საბერძნეთის სატრანზიტო როლის

გაზრდას რეგიონში. საქართველო ტრანზიტის საფასურად ყოველწლიურად დაახლოებით 1 მილიარდამდე კუბურ მეტრ გაზს მიიღებს. 2017 წელს საბერძნეთის პრემიერ მინისტრმა ციპრასმა უმასპინძლა ქართულ დელეგაციას და მიულოცა ქართველ ხალხს უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან. ციპრასმა კვირიკაშვილს განუცხადა: „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება საბერძნეთში. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პირველი მოქალაქეა, რომელიც ეწვია შენგენის სივრცეს ვიზალიბერალიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ და მან სიმბოლურად აირჩია, რომ ეს ქვეყანა ყოფილიყო საბერძნეთი, რაც ჩვენთვის დიდი პატივია. საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ვიზის გარეშე იმოგზაურონ საბერძნეთში, რომელიც შენგენის წევრი ქვეყანაა. ეს ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებასა და რა თქმა უნდა, ეს არის დიდი მიღწევა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში. პრემიერ-მინისტრთან ვისაუბრეთ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებზე. ჩვენ სტაბილურად ყოველთვის დავუჭერთ მხარს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს და ვითამაშებთ მნიშვნელოვან როლს ამ მიმართულებით.“⁷

როგორც კვირიკაშვილმა საბერძნეთში ვიზიტისას განაცხადა, საბერძნეთს საქართველოსთვის სიმბოლური ღირებულება აქვს. საბერძნეთი არის ევროპული ცივილიზაციის აკვანი და ქართველი ხალხიც თვლის, რომ საქართველოს ევროპული ცივილიზაციის ნაწილია. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება საბერძნეთის პრეზიდენტობის დროს გაფორმდა და საბერძნეთი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას. უვიზო მიმოსვლა მართლაც წინ გადადგმული ნაბიჯია ორი მოძმე ერის

⁷ საქართველოს ახალი ამბების სააგენტო (GHN). *საქართველოს პრემიერმა უვიზოდ მოგზაურობისთვის საბერძნეთი აირჩია, რაც ჩვენთვის დიდი პატივია - ალექსის ციპრასი.* <http://ghn.ge/news/172372>.

დასახლოებლად. ეს შეუწყობს ქართველებს რომ უკეთ გაეცნონ ევროპულ და ბერძნულ ცივილიზაციას.

დასკვნა

ქართულ-ბერძნულ ურთიერთობებს ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნია და ანტიკური ხანიდან იღებს დასაბამს, როდესაც ბერძნებმა დაიწყეს შავი ზღვის სანაპიროებზე ქალაქ სახელმწიფოების დაარსება. ქართული კულტურა მდიდრდებოდა და ვითარდებოდა ბერძნულ ცივილიზაციასთან ურთიერთობების საფუძველზე. ქართულ - ბერძნულ ურთიერთობებში განსაკუთრებით ტრაგიკული პერიოდია ბიზანტიის და ტრაპიზონის იმპერიის დაცემა, როდესაც გაწყდა კავშირი არა მარტო ბერძნულ ცივილიზაციასთან, არამედ ასევე ევროპასთან. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ საქართველოში სახლდებიან ოსმალეთის იმპერიიდან დევნილი ბერძნების გარკვეული ნაწილი. ჩნდება დიდი რაოდენობით ბერძნული დასახლებები საქართველოში. თუმცა მეოცე საუკუნეში დაიწყო ბერძნების მასიური გადინება საქართველოდან, რაც საბჭოთა კავშირის დისკრიმინატორული პოლიტიკით იყო გამოწვეული. მიგრაციული პროცესების შედეგად რადიკალურად შემცირდა ბერძნული მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში.

ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იწყებს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირების დამყარებას საბერძნეთთან. განსაკუთრებით ინტენსიური გახდა ეს ურთიერთობები ბოლო წლებში. საქართველოს მიზანის წარმოადგენს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის წევრ ქვეყანასთან - საბერძნეთთან ურთიერთობების გაღრმავებას.

Georgian-Greek relations and cultural-historical ties

Resume

The purpose of this article is to describe Georgian-Greek relations from antique times up to now. The article describes both political, economic, commercial and cultural relations between the two brotherly nations. Greek culture and civilization had great influence on Georgian culture, so it is very important to analyze this relationship in the historical context.

In the antiquity, this relations became especially intense when Greeks started to establish city-states on the Black Sea coast. The Greek city-states had intensive relations with the Georgian tribes and the Kingdom of Colchis, which is evidenced by archaeological excavations. The Greek colonies influenced Colchis culture and customs. Through the Greek colonies, Colchis established relations with the Greek world, which was the most developed at that time. In the antique and medieval periods the Georgian kingdoms had been influenced by the Greek culture. After the fall of the Byzantine Empire, a large number of Greeks escaped to Georgia and settled down here. Greek migration continued for centuries in Georgia and was particularly intensive in the aftermath of the Russian-Turkish wars. After the establishment of the Bolshevik regime in Georgia, the Soviet Union began the discrimination of Greeks and forced them to leave the country and as a result many Greeks returned to their historical homeland. Due to the above mentioned reasons, the Greek population has decreased significantly in Georgia. However, the Greek diaspora still remains in Georgia. In 1989, the total number of Greeks in Georgia was about 100 000. The outflow of the Greek population continued from Georgia in the early 1990s when the war was raging in Abkhazia and Samachablo.

In recent years, Georgian-Greek relations are becoming increasingly intense. It is planned to implement joint energy projects that will bring great economic benefit to both Georgia and Greece. Europe wants to reduce energy dependence on Russia, so it is of great importance for both nations to implement such projects. For Georgia, whose goal is to join the Euro-Atlantic structures, it is of great importance to deepen links with the EU member states.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ალექსი დავითაშვილი.** ოპერაცია „ოქროს საწმისი“ – ნაკლებად ცნობილი ისტორიის ქრონიკა, 2018, <https://nostal.ge/2018/05/08/operacia-oqros-sawmisi/>;
2. **თეონა აბულაძე.** აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების თავისებურებანი (სოციოკულტურული ასპექტები), ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ბათუმი, 2008, https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_10299_1.pdf;
3. **რისმაგ გორდეზიანი.** ბერძნული ცივილიზაცია, (მერანი, თბილისი, 1988);
4. **რისმაგ გორდეზიანი.** ძველი საბერძნეთი და ჩვენ, ჟურნალი ჩემი სამყარო, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2013, <https://www.gfsis.org/files/my-world/1/saberdzneti.pdf>;
5. საქართველოს ახალი ამბების სააგენტო (GHN). საქართველოს პრემიერმა უეიზოდ მოგზაურობისთვის საბერძნეთი აირჩია, რაც ჩვენთვის დიდი პატივია - ალექსის ციპრასი. <http://ghn.ge/news/172372>;
6. **უჩა მურგულია.** „დიდი ბერძნული კოლონიზაცია“ და კოლხეთის სამეფო. http://umurgulia82.blogspot.com/2017/07/blog-post_26.html;
7. **Gocha R. Tetskhladze.** Greek Colonization of the Eastern Black Sea Littoral (Colchis) https://www.persee.fr/doc/dha_0755-7256_1992_num_18_2_2026;

**მართი წინაქრისტიანული მითო - რელიგიური
ასკაპიტის შესახებ ფიქსი ნინოს ცხოვრების
თხზულებიდან**

(სეფე ქალი შრომანას პარადიგმული სახის რეკონსტრუქციისათვის)

ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში მრავლად მოიპოვება წინაქრისტიანული ხანის სააზროვნო სისტემის ელემენტები. მაგრამ მიუხედავად მათი სიმრავლისა, წინაქრისტიანული კულტურის წიაღიდან და ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში ჩაშენებული, სხვადასხვა შინაარსის მქონე რელიქტის შესახებ დიდი ინფორმაცია არ დევს, მაგრამ ამ შინაარსის მქონე პასაჟებს, ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებში, ჩვენ, ეთნო - მითოლოგიური სახის ცნობების მოშველიებით თუ ჩავეძიებით, აღმოჩნდება, რომ მათში მრავლად მოიპოვება ქრისტიანობამდელი ცნობიერების ელემენტები, რომლებიც ნებისთინ უნებლიედ, რელიქტის სახით თავს იჩენენ აღნიშნული ჟანრის თხზულებებში.¹ ბატონ რევაზ სირაძის დაკვირვებით, ამგვარი რელიქტური შინაარსის მასალა ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს, ქართული პარადიგმული სახეების რეკონსტრუქციისათვის.²

ქრისტიანობამდელი ქართული რელიგიური სააზროვნო ცნობიერების ელემენტები განსაკუთრებით მრავლად მოიპოვება ფიქსი „ნინოს ცხოვრების“ ამსახველ თხზულებაში.

¹ გელა ქისტაური. წარმართული რელიქტი $V - X$ საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობასა და ხალხურ ქრისტიანობაში, (გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2014), გვ. 139.

² რევაზ სირაძე. ქართული აგიოგრაფია, (გამომცემლობა ნაკადული, თბილისი, 1987), გვ. 81-82.

რ. სირაძის კვლევის თანახმად: წმ. ნინოს ცხოვრების თხზულების პასაჟებში შეიძლება ამოკითხული იქნას რელიგიათა პირველსაწყისებიც. ამიტომ „ნინოს ცხოვრებაში“ მხოლოდ სიახლენი კი არ იძებნებიან, არამედ ბევრი სიძველის ამოკითხვაც შეიძლება.³

დასახელებულ თხზულებაში, ხშირია მითოსური ნაკადის ქრისტიანული მოდელირებით ასახვა. ამიტომ, ჩვენ ეს ნაწარმოები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ქართული პარადიგმული სახეების მითოსური ფუნქცია და შინაარსი.⁴

„წმ. ნინოს თხზულების“ მითო - რელიგიური კუთხით კვლევისას, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა პასაჟმა, კერძოდ კი, სადაც ნახსენებია წმ. ნინოს ვინაობის, მისი სადაურობისა და საქართველოში მოსვლის მიზნის, პირველი გამომკითხველი ქართველი დიდგვაროვანი ქალი - „სეფე ქალი შროშანა“: „მაშინ მოვიდა დაღ ესე ჩემი შროშანა, სეფექალი, მიხილა და მოიყვანა ბერძლ-მეტყუელი დედაკაცი და მკითხა ყოველი გზაღ ჩემი“.⁵

წარმოდგენილ პასაჟში მოხსენიებული „სეფე ქალი შროშანა“ არის ის პიროვნება, რომელიც მცხეთელი საზოგადოებიდან პირველი ინტერესდება წმ. ნინოს ვინაობის გარკვევით. ამ ერთი შეხედვით, ძალიან მცირე ინფორმაციის მომთხრობელი სიუჟეტის შესახებ, თითქოს ყველაფერი ნათელი და გასაგებია, მაგრამ, ჩვენი აზრით, წარმოდგენილ პასაჟში, მოხსენიებულ „სეფე ქალ შროშანას“ სახით, წინაქრისტიანული ქართული რელიგიური აზროვნება გვიმზერს, რომელსაც კარზე მიდგომია ახალი ქრისტიანული რელიგიური მოძღვრება.

³ რ. სირაძე. *ქართული აგიოგრაფია...* გვ. 86.

⁴ რ. სირაძე. *ქართული აგიოგრაფია...* გვ. 81.

⁵ მოქცევაღ ქართლისაღ, ძველი ქართული აგიოგრაფილი ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V -X სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963), გვ. 122.

წმ. ნინოს ცხოვრების არც შატბერდულ, ჭელიშურ და არც ლეონტი პროველის მიერ შედგენილ წმ. ნინოს ცხოვრების ამსახველ ტექსტში, არსად მდებრობითი სქესის ადამიანი „ქალის“ სახელით არ არის მოხსენიებული, გარდა ზემოთ წარმოდგენილი პასაჟისა, რომელშიც მდებრობითი სქესის დიდგვაროვან ქალბატონ „შროშანა“ -ს ეწოდება „ქალი“.

წმ. ნინოს ცხოვრების შატბერდულ და ჭელიშურ ტექსტებში, მდებრობითი სქესის წარმომადგენელი ადამიანები ძირითადად მოხსენიებულნი არიან „დედაკაცის“ სახელით (იშვიათად - „დედოფლის“, „დედანის“ და „დედათას“ სახელწოდებით).

აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი ფიქრობს, რომ ქართულ ლექსიკაში დამკვიდრებული „ქალი“, როგორც „მდებრობითი სქესის ადამიანის - დედაკაცის“ აღმნიშვნელი სახელი, ინდური ქალღმერთის სახელიდან მომდინარეობს.⁶

სიტყვა „ქალის“, ინდური წარმომავლობისკენ, ბატონ ლ. ჭილაშვილს უბიძგებს, ინდურ წმიდა სამებაში (ბრაჰმა, ვიშნუ, შივა) შემავალი ღმერთის „შივას“ ქალ - ღმერთი ცოლი „ქალი“, რომელსაც საპატივსაცემოდ ადამიანებს სწირავდნენ.⁷

ლ. ჭილაშვილის კვლევის თანახმად, როგორც ჩანს, ინდური დედა - ღვთაება „ქალის“ კულტი საქართველოშიც შემოსულა და დამკვიდრებულა. კერძოდ კი, კახეთში, ნეკრესის ნაქალაქარის დასავლეთით, სოფ. შილდასა და ნაქალაქარს შორის, მდებარე მაღალ კლდოვან სერზე მდებარეობს „ქალიაყვანის“ სამლოცველო, რომელიც შინაარსობრივად პარალელს პოვებს ინდურ „ქალის“ ღვთაებასთან.⁸

ინდური ღმერთ - „ქალის“ -ადმი მიძღვნილი რიტუალის ერთ - ერთი ნაწილი იყო გოჭის ან ტახის მსხვერპლად შეწირვა,

⁶ ლევან ჭილაშვილი. *ნეკრესის წარმართული სამლოცველოები*, (თბილისი, 2000), გვ. 36.

⁷ ლ. ჭილაშვილი. *ნეკრესის წარმართული სამლოცველოები...* გვ. 30.

⁸ ლ. ჭილაშვილი. *ნეკრესის წარმართული სამლოცველოები...* გვ. 32.

რომელიც, ასევე, ნეკრესში შობის ღამეს სრულდებოდა, კერძოდ კი საშობაო რიტუალის დროს. ღორების მსხვერპლშეწირვა სწორედ „ქალიაყვანის“ სალოცავის დაბლა კლდის ძირში იწყებოდა და ის მიმდინარეობას აგრძელებდა ნეკრესის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ვიდრე ქრისტიანული ეკლესიის კომპლექსამდე.

ლ. ჭილაშვილის აზრით, საქართველოში ქალღმერთი „ქალის“ კულტის შემოსვლა, დაკავშირებული უნდა იყოს არიული მოდგმის ხალხის გადაადგილებასთან და წინ უნდა უსწრებდეს მითრიაზმისა და მაზდეიანობის საქართველოში შემოსვლას და ამ ფაქტის ანარეკლი უნდა ჩანდეს, ქართული წერილობითი წყაროს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თხზულებაში მოხსენიებულ არიან - ქართლის შორეულ ამბებში.⁹

როგორც უკვე ვთქვით, ლ. ჭილაშვილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ქართულ ლექსიკაში დამკვიდრებული „ქალი“, ინდური ქალღმერთის სახელიდან მომდინარეობს და რადგანაც უძველეს ქართულ ლიტერატურულ წყაროებში („შუმანიკის წამება“; ევსტათი მცხეთელის წამება“ და სხვ.) სიტყვა „ქალი“ არ ფიქსირდება, ეს იმიტომ, რომ V–VI საუკუნეებში, საქართველოში ამ სიტყვას ისევ წარმართული ქალღვთაების მნიშვნელობა ჰქონდა და „ქალის“, როგორც მღვდრობითი სქესის ადამიანის ამსახველი ტერმინისა, შედარებით გვიან უნდა იყოს მომხდარი.¹⁰

ჩვენ არ ვიცით, ბატონმა ლევან ჭილაშვილმა, ყველაზე ადრეულ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში - წმ. ნინოს ცხოვრების ამსახველ თხზულებაში არსებულ იმ პასაჟს, სადაც მოხსენიებულია ტერმინი „ქალი“, რის გამო არ მიაქცია ყურადღება, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ტერმინი, დასახელებულ თხზულებაში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები და ამის მეტი ამ ტერმინის

⁹ ლ. ჭილაშვილი. *ნეკრესის წარმართული საძლოცველოები...* გვ. 37.

¹⁰ ლ. ჭილაშვილი. *ნეკრესის წარმართული საძლოცველოები...* გვ. 36.

ხსენება კლასიკური ხანის ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში არსად არ გვხვდება.

ჩვენი აზრით, „სეფე ქალ შროშანას“ სახით საქმე გვაქვს იმ დროინდელი ქართლის, წინაქრისტიანული რელიგიის ტაძრის მსახურ, მდებარებითი სქესის ქურუმთან// ტაძრის მსახურთან. მცხეთელებიდან წმიდა ნინოს ვინაობით ყველაზე ადრე „ქალი შროშანა“ დაინტერესებულა. ამ უკანასკნელს, ისიც სცოდნია, რომ წმ. ნინოსთან საუბრისთვის, ბერძნული ენის მცოდნე დასჭირდებოდა, რაზეც უზრუნია კიდეც და წმ. ნინოსთან ბერძნული ენის მცოდნესთან ერთად მისულა. შროშანასთან საუბრისას წმ. ნინო თავს ტყვეს უწოდებს: „რამეთუ ტყუელ უთხრა თავი თჳსი“.¹¹

სეფე ქალ შროშანას თუ წინაქრისტიანული ტაძრის მსახურად მივიჩნევთ (მზის; მთვარის; ზადენის ან არმაზის), მაშინ ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ერთმანეთს შეხვდა ძველი ქართული ტრადიციული რელიგიისა და ახალი ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელი. თუ ჩვენი ეს მოსაზრება სინამდვილესთან ახლოა, მაშინ გამოდის, რომ სეფე ქალი შროშანაც ტყვეა, ოღონდ წინაქრისტიანული ქართული რელიგიის. აქედან გამომდინარე, წმ. ნინომაც დიდი ალბათობით იცოდა შროშანას ტყვეობის ამბავი და თვით წმ. ნინოც ეუბნება მას, რომ ისიც (ნინო) ტყვეა, ოღონდ ქრისტეს ტყვე. ანუ წმ. ნინო შროშანას ესაუბრება ლაკონურად, იმ ტერმინოლოგიით, რომელიც ამ უკანასკნელისთვის სრულიად ცნობილი და გასაგებია.

წინაქრისტიანულ საქართველოში, როგორც ჩანს, საკმაოდ გავრცელებული და მტკიცედ ყოფილა დამკვიდრებული ადამიანის ღვთაებისადმი და რელიგიური ტაძრის ტყვე-

¹¹ **ლეონტი მროველი.** *ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, (გამომცემლობა სახელგამი, თბილისი, 1955), გვ. 93.

ობის//მორჩილების//მონობის ტრადიცია, თან ისე ძლიერად ჰქონია ამ ტრადიციას ხალხის ცნობიერებაში ფეხი მოკიდებული, რომ ეს აზროვნება, ხატის მონობის ინსტიტუტით, დღემდე მრავლად ფიქსირდება სინკრეტული შინაარსის რელიგიურ ტაძრებსა და მათ დღესასწაულებში.

ნინო აბაკელიას 1976 – 1977 წლებში, კახეთში საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციების შედეგად, მოპოვებული ცოცხალი ხალხური რელიგიური ყოფის ამსახველი მასალების მიხედვით, დაფიქსირებული აქვს ქალების „ხატის მონად“ ყოფნის ფაქტები. რომელიც დამახასიათებელი იყო ქრისტიანობამდელი ქართული რელიგიური სააზროვნო სისტემისთვის.¹²

მდედრობითი სქესის წარმომადგენლების, წარმართული ტაძრის ქადაგად ყოფნის შესახებ სტრაბონიც ხომ გვაწვდის ცნობებს! რომლის მიხედვითაც, იბერია, ალბანეთის მიჯნაზე ყოფილა მთვარის ტაძარი, რომლის მსახური ქადაგი ქალები, ხალხს მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და აქვე ლა „ღმერთქალის“ სამსხვერპლოც, სადაც ადამიანების მსხვერპლშეწირვის რიტუალი ტარდებოდა.¹³

ყოველივე ამ ცნობების და გამოთქმული მოსაზრებების შედეგად, საერთო გეოგრაფიულ სივრცეში და რელიგიურ აზროვნებაში თავსდება: ლ. ჭილაშვილის მიერ კახეთში მიკვლეული „ქალიაყვანის“ სამლოცველო, რომელსაც მეცნიერი არიანული წარმოშობის ხალხის მოტანილ - ინდური ქალ - ღვთაება „ქალის“ სამლოცველოს არსებობის დამადასტურებელ ფაქტად მიიჩნევს; იბერია - ალბანეთის საზღვარზე არსებული მთვარის ტაძარი, რომელიც ასევე წარმართული „ქალღვთა-

¹² ნინო აბაკელია. „ხატის მონობის“ ინსტიტუტი კახეთში, საქართველოს ისტორიის საკითხები, (თბილისი, 1982), გვ. 126.

¹³ თინათინ ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, ცნებები საქართველოს შესახებ, (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957), გვ. 134.

ების“ ტაძარს წარმოადგენდა; კახეთში არსებული ხატის მონობის ინსტიტუტი, რომელიც ძირითადად მთვარის თაყვანისცემიდან მომდინარეობს და ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ წმ. ნინოს ცხოვრების „სეფე ქალ შროშანას“ სახის მიღმა, კერძოდ კი ტერმინ „ქალში“ დავინახოთ იბერიის სამეფოში არსებული „ქალ - ღვთაების“, „ქალ - ღმერთის“, „ქალის“ კულტი და ამ კულტის ტაძრის მსახური მღვდლობითი სქესის წარმომადგენელი, თანამედროვე გაგებით - ქალი.

დარწმუნებით იმის თქმა, რომ მაშინდელ მცხეთაში, ან მის შემოგარენში, განცალკევებით, ნამდვილად არსებობდა „ქალის“ ან „მთვარის“ ტაძარი, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შინაარსით და ფუნქციით თითქმის ერთმანეთის იდენტურნი იყვნენ, თუცა, იმის თქმა კი ნამდვილად შეგვიძლია, რომ არმაზის პოლითეისტურ ღვთაებას, ალბათ ჰქონდა „ქალ“//„მთვარის“ - რელიგიური კულტის ნიშან - თვისებებიც შერწყმული და აქედან გამომდინარე „სეფე ქალი შროშანაც,“ ჩვენ შეიძლება არმაზის ღვთაების ტაძრის მსახურად მივიჩნიოთ.

Gela Kistauri

Doctor in History

St. Andrew the First Called Georgian University of the Georgian
Patriarchate. Invited Specialist

**About one of the Pre-Christian mythological - religious aspect
from the life of Saint Nino (For a paradigmatic reconstruction of
the face of court female Shroshana)**

Resume

In this work there is represented one passage depicting the earliest Georgian mythological - religious thinking of the early Georgian Hagiography Monument - "Mokcevai Kartlisai". Namely, the historical and theoretical research analyzes the mythological and Christian aspects of the term "woman".

Christian Georgian religious thought and Christian Georgian hagiography genre works of the study suggested, according to which the term „woman" means only the female representative who served the pagan temple, which is why, in the early Georgian hagiography works, with the one exception, female representatives by this term are not mentioned.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გელა ქისტაური. წარმართული რელიქტი V–X სს ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობასა და ხალხურ ქრისტიანობაში, (უნივერსალი, თბილისი, 2014);
2. თინათინ ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, ცნებები საქართველოს შესახებ, (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957);
3. ლეონტი მროველი. ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, (სახელგამი, თბილისი, 1955);
4. ლევან ჭილაშვილი. ნეკრესის წარმართული სამლოცველოები, (თბილისი, 2000);
5. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, (V -X სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963);
6. ნინო აბაკელია. „ხატის მონობის“ ინსტიტუტი კახეთში, საქართველოს ისტორიის საკითხები, (თბილისი, 1982);
7. რევაზ სირაძე. ქართული აგიოგრაფია, (გამომცემლობა ნაკადული, თბილისი, 1987).

აკლვეა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „მთიულეთის სინკრეტული რელიგიის ისტორიულ - ეთნოლოგიური ნარკვევი“ - ს ფარგლებში. საგრანტო ხელშეკრულების № YS17–63

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

„საქართველოს სამხედრო გზის“ ისტორიიდან

„საქართველოს სამხედრო გზის“ ერთ-ერთი რთული რელიეფის მქონე მონაკვეთი – დარიალის ხეობა – ძველ ქართულ და უცხოურ წერილობით წყაროებში „კავკასიის კარის“, „დარიალანის“ (ოვსთა კარი), „დარიელას“, „არაგვის“, „იბერიის“, „კავკასიისა“ თუ „სარმატიის კარის“ სახელწოდებით იხსენიება.¹ აქ გადიოდა XIX საუკუნიდან „საქართველოს სამხედრო გზად“ წოდებული ჩრდილოეთის გზა. ქართული სახელმწიფოსათვის მას განსაკუთრებული პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი საშუალებით ერთმანეთს უკავშირდებოდა ამიერ და იმიერკავკასიის, ჩრდილოეთისა თუ სამხრეთის ქვეყნები.

დარიალის კარის ფლობა საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრების უსაფრთხოებას ნიშნავდა. დარიალის კარის მეშვეობით საქართველო ძლიერ პოლიტიკურ, კულტურულ და სარწმუნოებრივ გავლენას ახდენდა ჩრდილო-კავკასიელ ხალხებზე. დარიალი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე საქართველოს ყველა დამპყრობელის ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთის საიმპერატორო კარზე დარიალის გზისადმი ინტერესი გაიზარდა. აღნიშნული გზის განვითარებისა და კეთილმოწყობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო მიზნების განხორციელება საქართველოში და, ზოგადად, ამიერკავკასიაში.

¹ ბაგრატიონი ვახუშტი. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, (თბილისი, 1973), გვ. 453.

1769 წელს დარიალის გზით საქართველოში პირველად შემოვიდა 480 კაციანი რუსეთის საექსპედიციო კორპუსი გენერალ გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენის მეთაურობით. ეს იყო იმპერიის შეიარაღებული ძალების პირველი სამხედრო ექსპედიცია საქართველოს ტერიტორიაზე ექსპანსიის წინ. ტოტლებენმა კარგად შეისწავლა დარიალის გზის მნიშვნელობა და 1770 წლის 1 თებერვალს იმპერატორ ეკატერინე II-ს შესაბამისი მოხსენება წარუდგინა: „ღვთის შეწევნით, დავძლიე რა, ასე ვთქვათ, ყველა სტიქია, და გადავლახე კავკასიის კლდოვანი მთები, სადაც ჯერ კიდევ არ ყოფილა არც ერთი ევროპელი, მაშინვე დავრწმუნდი, რომ ქვეყნიერების ამ ნაწილში ვერავითარ ზომებს ვერ მივიღებთ მტრების წინააღმდეგ მანამ, სანამ საქართველო, ნებით თუ ძალით, დამორჩილებული არ იქნება თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობისადმი, რამეთუ ამ ქვეყანაში შესასვლელი გზა ისეა გამაგრებული ბუნებისა და სტიქიისაგან, რომ ადამიანთა მცირე რაოდენობას შეუძლია წინ აღუდგეს დიდი არმიის მსვლელობას.“²

რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ დარიალის გზისადმი ინტერესი ერთი-ორად გაიზარდა, გზამ სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა. სწორედ რუსეთის მიერ სამხედრო მიზნების განხორციელებიდან გამომდინარე აღნიშნულ გზას – ქ. ვლადიკავკაზიდან თბილისამდე – თავდაპირველად, იმპერატორის პატივსაცემად, „ალექსანდრეს გზა“, ხოლო შემდგომ „საქართველოს სამხედრო გზა“ ეწოდა.

ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი და საქართველოს გუბერნიის მთავარსარდალი პავლე ციციანოვი თავისი მმართველობის დასაწყისშივე კავკასიის რუსეთთან საიმედო კავშირის უზრუნველსაყოფად „საქართველოს სამხედრო გზის“ მოწყობას ისახავდა მიზნად. ამ მიზნით, 1803 წლის 26 თებერვალს რესკრიპტი

² *Акты собранные Кавказкою Археологическою коммисиею*, Ред. Ад. Берже, т. II, (Тифлис. 1868). ст. 546.

გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს აღნიშნული გზის მოწყობის თაობაზე.³

ციციანოვს სურდა გზა გაეყვანა კავკასიაში, კაიშაურის გავლით – ღუშეთამდე. მაგრამ მას არ ჰყავდა სპეციალისტები – სამთო ინჟინრები. მიუხედავად სპეციალისტების არ არსებობისა, ციციანოვს იმედი ჰქონდა ამ ჩანაფიქრის განხორციელებისა.

კავკასიის სამხედრო ხაზის საქართველოსთან შემაერთებელი გზის – ვლადიკავკაზი-თბილისის – მოწყობაზე ზრუნვა და ახალი გაფართოებული გზის მშენებლობა იმპერატორ ალექსანდრე I-ის განკარგულებით 1803 წელს დაიწყო, გზის მშენებლობის მთელი სიმიძე მთის მოსახლეობას დააწვა ტვირთად. სამხედრო-საგზაო და სახელმწიფო ბეგარით გლეხობას უნდა უზრუნველყო მოქმედი ჯარის ტვირთის ტრანსპორტირება, ჯარისათვის სურსათის მიწოდება, ახალ ადგილზე გადასვლისას მისი დაბინავება და ა.შ. ყოველივე ეს გლეხობაში დიდ უკმაყოფილებას ბადებდა, რაც ზოგჯერ შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზრდებოდა ხოლმე. სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი მთიულეთის 1804 წლის აჯანყების დაწყებისა.

„საქართველოს სამხედრო გზა“ 1810 წლამდე მთლიანად საქართველოს მთავარმართებლის დაქვემდებარებაში იყო. 1810 წლიდან კი გზათა მიმოსვლის სამმართველომ ჩამოაყალიბა IV ოლქი, რომლის გამგებლობაშიც გადავიდა აღნიშნული გზა. საბოლოოდ კი „საქართველოს სამხედრო გზის“ მშენებლობას გზათა მიმოსვლის VIII ოლქის II განყოფილება კურიერბდა.⁴

1811 წლის 19 მარტს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დაამტკიცა კავკასიის ხაზის საქართველოსთან დამაკავშირებელი საიმედო და უსაფრთხო სამხედრო გზის მოწყობის მშენებლობის საკითხი.

³ Акты... ст. 579.

⁴ Акты... ст. 623.

ჯერ კიდევ 1808 წელს დარიალის ხეობაში აიგო ქვის ხიდი. 1812 წლის თებერვალში დარიალში სამუშაოების საწარმოებლად გაიგზავნა ინჟინერ-პოლკოვნიკები: გრამბერგი და ცუნდლერი.

გზის კეთილმოწყობასთან ერთად დარიალის ხეობის მონაკვეთში შენდებოდა სიმაგრეებიც, რომელთა დანიშნულება მგზავრთათვის ადგილობრივი ოსი და ქისტი მოსახლეობის თავდასხმებისგან თავის არიდება წარმოადგენდა. სწორედ მგზავრთა უსაფრთხოებისა და სიმაგრეების უფრო ხელსაყრელი განლაგების მიზნით, „საქართველოს სამხედრო გზა“ დარიალის მონაკვეთში მდინარე თერგის მარჯვენა სანაპიროს მიუყვებოდა. თუმცა უშიშროების თვალსაზრისით ამ ღონისძიებამ ბევრი ვერაფერი სარგებლობა მოიტანა: ძლიერი სამხედრო დაცვის გარეშე ამ გზაზე მოძრაობა შეუძლებელი იყო. საბოლოოდ კი სამხედრო გზის ამ მონაკვეთზე 1872-1875 წლებში გზა თერგის მარჯვენა ნაპირიდან მდინარის მარცხენა მხარეს გაიყვანეს.

„საქართველოს სამხედრო გზის“ გაყვანასთან ერთად გზებზე შენდებოდა საფოსტო სადგურები. ასეთი შენობები განთავსებული იყო ყოველი 20-25 ვერსის დაცილებით საფოსტო და სამგზავრო ცხენების შესანაცვლებლად და მგზავრთა დასასვენებლად. დროთა განმავლობაში იცვლებოდა გზის მიმართულება, რაც გამოწვეული იყო რელიეფის სირთულისა და გზის გაუმჯობესების საჭიროებით.

შედგენილ იქნა „საქართველოს სამხედრო გზის“ მოწყობის პროექტის რამდენიმე ვარიანტი:

პირველი პროექტის თანახმად „საქართველოს სამხედრო გზა“ ჯვრის უღელტეხილის გავლით კაიშაურის ხეობაზე გაივლიდა, მიუყვებოდა დიდველს და პირდაპირ ქვეშეთში ჩადიოდა.

1816 წელს შეადგინეს უმოკლესი გზის გაყვანის სხვა პროექტიც, რომლის მიხედვითაც, ყაზბეგიდან გამოსული გზა 3-4 ვერსის შემდეგ აუხვევდა მარცხნივ, ლუღუშაურისა⁵ და გუდამაყრის

⁵ დღევანდელი სნოს ხეობა (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი).

ხეობებით გაემართებოდა ფასანაურისაკენ და მარჯვნივ მოიტოვებდა სიონი-კობი-ჯვრის უღელტეხილი-ქვეშეთი-ფასანაურის გზას.

ღუღუშაურის და გუდამაყრის ხეობებით გზის მშენებლობა 1831-1838 წლებში მიმდინარეობდა. თუმცა ამ გზის მშენებლობის განხორციელებას დიდი სიძნელეები შეხვდა. აღნიშნული ხეობებით გზის მოწყობის პროექტი 1855 წელს გზათა მიმოსვლის VIII ოლქის II განყოფილების სამმართველოს უფროსის ინჟინერ-კაპიტან ბოლესლავ სტატკოვსკის მიერ დაწუნებულ იქნა. ხსენებული გზის მონაკვეთის, ბურსაჭირის საუღელტეხილო გზის რთული რელიეფიდან გამომდინარე უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვდა.

ღუღუშაური-გუდამაყრის ხეობებში გზის სამუშაოები ფაქტიურად მაშინ შეწყვიტეს, როცა ზვავმა 1854 წელს ცხენოსანთა დიდი რაზმი იმსხვერპლა, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის ფრონტზე მიემართებოდა.

„საქართველოს სამხედრო გზაზე“ სამი შადრევანი მოაწყვეს. ერთი შადრევანი – დარიალ-გველეთის მონაკვეთში; ხოლო, ბოლო ორი – მღეთის აღმართზე. ამ შადრევნებიდან მხოლოდ ერთია შემორჩენილი, მღეთის აღმართის მეორე სერპანტინზე, „გრიგოლ ორბელიანის შადრევანი“. შადრევნის რეკონსტრუქცია 1870 წელს დამთავრდა.⁶

„საქართველოს სამხედრო გზის“ თბილისი-ვლადიკავკაზის მონაკვეთი 1899 წელს გაიხსნა. „საქართველოს სამხედრო გზის“ მაგისტრალი, რომლის მშენებლობაც ფაქტიურად 1803 წლიდან დაიწყო და თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე გაგრძელდა, უნიკალური იყო იმით, რომ ურთულეს უღელტეხილზე გადადიოდა

⁶ Григорий Георгиевич Москвич. *Иллюстрированный Практический Путеводитель По Кавказу*, (Одесса 1902), ст. 137.

და კვეთდა ღარიალის ბუნებრივ საშიშ, ვიწრო ხეობას. გზამ XX-XXI საუკუნეებში კიდევ უფრო მეტი დატვირთა შეიძინა, დღეისათვის იგი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ საუღელტეხილო მაგისტრალს წამოადგენს.

Nino Shiolashvili

Professor of St. Andrew The First-Called
Georgian University Of The Patriarchate of Georgia

From the history of The Georgia's Military Road

Resume

Movement of the Caucasian people from the North to the South and from the South to the North was carried out through natural mountain pass roads and paths. These routes were the only way of cultural-economic and political relations among these people. The main connecting road between Georgia and the North Caucasian people was Dariali Gorge, protection of which was the responsibility of servants, subordinated to Georgian royal court and local highlanders.

Russian Empire was interested in arrangement of the road of Dariali Gorge since the very beginning. The Russians were very well aware, that, without organization of the mentioned road their political plans would fail not only in Georgia, but in the Caucasus in general.

After formalization of Treaty of Georgievsk in the 1783, Military Road obtained more significance and status. It turned into one of the priority ways of political, economic and cultural relations between Russia and Georgia. "Georgian Military Road" became, substantially, the single option. After construction of the road, the number of travelers increased in Georgia.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტომი II, გერმანულიდან ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, (თბილისი, 1964);
2. **ვახუშტი ბაგრატიონი**. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, (თბილისი, 1973);
3. **თეიმურაზ ბატონიშვილი**. *„ისტორია ივერიისა“*, (სპბ. 1848);
4. **ნიკო კვეზერელი-კობაძე**. *საქართველოს საგზაო მშენებლობა*, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1978);
5. **ჯონდი გვასალია**. *არაგვის კარი (დარიალანი)*, კრ. „ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, (თბილისი. 1976);
6. **ჯონდი გვასალია**. *საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის*, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია“, №2, 1972;
7. *Акты собранные Кавказкою Археологическою коммисиею*, Ред. Ад. Берже, т. II, Тифлис. 1868;
8. **Григорий Георгиевич Москвич**. *Иллюстрированный Практический Путеводитель По Кавказу*, (Одесса, 1902);

საპენსიო რეფორმა საქართველოში

2019 წლის პირველ იანვრამდე საქართველოში უალტერნატივოდ მოქმედი სოციალური საპენსიო სისტემის ერთ-ერთ ძირითად ნაკლოვანებად მისი არასამართლიანი ხასიათი უნდა იქნეს მიჩნეული. საქმე ისაა, რომ სამუშაო სტაჟისა და მუშაობის პროცესში გადახდილი საპენსიო შენატან(ებ)ის (ჩვენს შემთხვევაში, საშემომოსავლო გადასახადის) გაუთვალისწინებლად, პენსიის თითქმის ყველასათვის თანაბარი ოდენობით დანიშვნის დამკვიდრებული პრაქტიკა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის უფრო მტკიცენულ მოვლენად აღიქმება, ვიდრე პენსიის ოდენობის მინიმალური სამომხმარებლო კალათის ღირებულებასთან სრული შეუსაბამობის საკითხი.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, სოციალური საპენსიო სისტემის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებად მისი ეკონომიკური დანაშაულის მაპროვოცირებელი ბუნება მიიჩნევა. საქმე ისაა, რომ აღნიშნული სისტემის საშემოსავლო გადასახადის მეშვეობით ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმი, როგორც დამქირავებლის, ისე დაქირავებულისათვის დამატებითი ფინანსური ტვირთის მატარებელ მოვლენას წარმოადგენს და ობიექტურად განაპირობებს მისგან თავის დაღწევის ტენდენციებს. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში მოქმედი საპენსიო სისტემის კარდინალური რეორგანიზების აუცილებლობა სრულიად ლოგიკურ გადაწყვეტილებად უნდა იქნეს მიჩნეული, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის 21 ივლისს მიღებული „დაგროვებადი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვის აქტუალობას.

როგორც ცნობილია, ნებიმიერი მოვლენის (განსაკუთრებით, ეკონომიკური რეფორმის) წარმატებული რეალიზება სხვა ფაქტო-

რებთან ერთად, მისი გახორციელების ისტორიულ ეტაპზე მოქმედ ეკონომიკურ პროცესებთან თანხვედრის ხარისხზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, დაგროვებადი საპენსიო სისტემისათვის დამახასიათებელი მრავალი პოზიტივის მიუხედავად, სადღეისოდ მისი კანონით გათვალისწინებული ფორმით ფუნქციონირება, ჩვენი აზრით, საკმაოდ საკამათო საკითხად უნდა მივიჩნიოთ.

აღნიშნულს ადასტურებს დაგროვებითი პენსიის შესახებ ჯერ კიდევ კანონპროექტის განმარტებითი ბარათით წარმოდგენილი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უკანასკნელ წლებში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის (მათ შორის დაგროვებითი საპენციო სისტემის ფუნქციონირების მრავალწლიანი გამოცდილების მქონე), სოციალური უზრუნველყოფის სფეროში წარმოქმილი: - „პრობლემების საპასუხოდ, საპენსიო რეფორმები ორი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს: იზრდება პენსიაზე გასვლის ასაკი ან/და ხდება ქალისა და მამაკაცის საპენსიო ასაკის გათანაგრება...“.¹

ზემოაღნიშნულიდან აბსოლუტურად ცხადია, რომ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიდგომები არ წარმოადგენენ ქვეყნის მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრის უტყუარ გარანტს, რაც ლოგიკურად ბადებს კითხვას იმის თაობაზე, თუ რამდენად გამართლებულია, ქვეყნის მძიმე ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით, კერძოდ უაღრესად დაბალი ეკონომიკური პოტენციალის მქონე მეწარმეთა ფუნქციონირების ადაპტირებული მექანიზმის მნიშვნელოვანი ტრანსფორმირებისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის, საკმაოდ მასშტაბური რყევების მაპროვოცირებელი გადაწყვეტილებების მიღება.

¹ განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, გვ. 1.

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/171961?h>.

აღნიშნულს განსაკუთრებულ დატვირთვას ჰმატებს ის გარემოება, რომ უკანასკნელ (2010 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე) პერიოდში ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის 20 743,4 მლნ. ლარიდან 28 380,9 მლნ ლარამდე, ანუ 37% პროცენტული ერთეულით ზრდის პირობებში,² სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა, 2010 წლის ბოლოსათვის განსაზღვრული 8 809,1 მლნ. ლარიდან, 2018 წლის დასაწყისისათვის 15 909,4 მლნ. ლარამდე, ანუ 80,6%-ით (მათ შორის, სახელმწიფო საშინაო ვალი 103%-ით, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალი 74,9%-ით) არის გაზრდილი,³ რაც განსაკუთრებით აქტუალურს ხდის მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია შექმნილ სიტუაციაში დაგროვებითი საპენსიო შენატანის სახით მობილიზებული თანხების ოდენობით, ერთი მხრივ, მეწარმეთა ფინანსური პოტენციალის შემცირების, ხოლო მეორე მხრივ, პრაქტიკულად სახელმწიფო ვალის პერმანენტული ზრდის (მათ შორის პროფიციტული ბიუჯეტის პირობებში) პროცესის დაკანონება.

საქართველოს სახელმწიფო ვალის ზრდის მაპროგოცირებელ ნებისმიერ გადაწყვეტილებას (მათ შორის, განსახილველი კანონით გათვალისწინებულს) კიდევ უფრო პრობლემატურს ხდის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონებში დაფიქსირებულ მონაცემებზე ბევრად საგანგაშო, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ „საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამ-

² საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2018 (წინასწარი მონაცემები) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/.

³ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2010-18 წლების საქართველოს კანონები, https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit.

ისობაში“ მოყვანილი ის მონაცემები,⁴ რომელთა თანახმადაც, 2018 წლის პირველი იანვრისათვის ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის ოდენობამ 17 262,3 მლნ. აშშ დოლარი, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დადგენილი კურსით, (1 აშშ დოლარი 2,5 ლარი), 43 155,8 მლნ. ლარი, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 114,1%-ი შეადგინა და 54,1% პროცენტული ერთეულით გადაამეტა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2019 წლის პირველ იანვარმდე მოქმედი რედაქციით, სახელმწიფო (საშინაო და საგარეო) ვალის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის 60%-ის ოდენობით დადგენილ ზღვრულ მაჩვენებელს. შექმნილი სიტუაციის სიმძიმეს არსებითად ვერ ცვლის ზემოაღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების „ა“ ქვეპუნქტების ახალი, 2018 წლის 14 დეკემბრის რედაქციით, „სახელმწიფო ვალის“, „მთავრობის ვალით“ ჩანაცვლებისა და მთავრობის ვალის ოდენობაში ეროვნული ბანკის ვალდებულებების არ აღრიცხვის საკანონმდებლო „ეკვილიბრისტიკა“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის პარალელურად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებებს, რომ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შედეგად, ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის ისედაც დაბალი გადახდისუნარიანი მოთხოვნა, საპენსიო შენატანის სახით მობილიზებული ფინანსური სახსრების ოდენობით პერმანენტული შემცირების არასასურველი წნეხის ქვეშ ექცევა, ზოლო ჩვენი ეკონომიკისათვის საკმაოდ სოლიდური ფინანსური სახსრები, ქვეყნის სამამხმარებლო ბაზრის ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებისა და ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის სანაცვლოდ, აქტივების მმართველი არარეზიდენტი

⁴ საქართველოს ეროვნული ბანკი სტატისტიკის ED-5 საგარეო ვალი გვ. 6, (BPM-5). <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>.

კომპანი(ებ)ის მეშვეობით და მათთვის საკომისოს გადახდით, სავსებით შესძლებელია არარეზიდენტი იურიდიული პირების ფასიან ქაღალდებში იქნენ განთავსებულნი, კანონით გათვალისწინებული მიდგომებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება სრულიად ლოგიკურ პოზიციად უნდა იქნეს მიჩნეული.

შექმნილი სიტუაციის დაძლევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის პრაქტიკულად საყოველთად სავალდებულო წესი შეცვლილი იქნეს ნებაყოფლობითობის პრინციპით, რაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს რეალურად შიდა სახელმწიფო ვალის პერმანენტული (მათ შორის, საბიუჯეტო პროფიციტის პირობებშიც) ზრდისა და ქვეყნის სამამხმარებლო ბაზრის გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირების უალტერნატივო პროცესის საშიშ ტენდენციებს.

ამასთან ერთად, ეროვნული ვალუტის კურსზე არასასურველი ზეწოლის უარყოფითი ეფექტის შესამცირებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საპენსიო ფონდის თანხების უცხოურ ფასიან ქაღალდებში განთავსების პროცესი (გარდა პირველადი განთავსებისა), განხორციელებული იქნეს მხოლოდ ადრე შეძენილი ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული სარგებლის რეფინანსირების გზით, ანუ უცხოურ ფასიან ქაღალდებში განთავსებული აქტივების მიმდინარე ანგარიშების დადებითი სალდოს ოდენობით.

დაგროვებითი საპენსიო სქემის ფარგლებში მობილიზებული ფინანსური სახსრების საპენსიო სქემის მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად, მართვა-განკარგვის ურთულესი პროცესის სათანადოდ წარმართვისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს საპენსიო შენატანების სახით მობილიზებული სახსრების არაკომპეტენტური ინვესტირების, მოხელეთა კორუფციისა და სხვა რისკებისაგან დაცვის ეფექტური მექანიზმის ამოქმედება. აქედან გამომდინარე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის დებულება, რომლის თანახმადაც, ეროვნული ბანკის მიერ სპეციალური ადმინისტრირების დროებითი რეჟიმის შემოღების საფუძველად: „საპენსიო აქტივების

ინვესტირების და მასთან დაკავშირებული საქმიანობის შედეგად მიღებული საპენსიო აქტივების 1%-ზე მეტი დანაკარგი,...“-ს არსებობაა მიჩნეული, ჩვენი აზრით, კორექტირებას მოითხოვს.

საქმე ისაა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემების შესაბამისად, საპენსიო ფონდში აკუმულირებული შენატანების საპროგნოზო მოცულობა მხოლოდ 2020 წლისათვის 1200 მლნ. ლარს გაუტოლდება.⁵ აქედან გამომდინარე, ფონდში მობილიზებული თუნდაც შენატანების და არა საპენსიო აქტივების (სავარაუდოდ უფრო დიდი თანხის) ერთი პროცენტის მეტად სოლიდური ოდენობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ეროვნული ბანკის მიერ სპეციალური ადმინისტრირების რეჟიმის შემოღების წინაპირობად არა კანონით გათვალისწინებული საპენსიო აქტივების ერთ პროცენტზე მეტი დანაკარგის, არამედ სააგენტოს ანგარიშებზე ყოველ წინა წელს მობილიზებული საპენსიო შენატანების 1%-იანი დანაკარგის არსებობა იქნეს მიჩნეული.

როგორც ცნობილია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, აუცილებელ, არაეკვივალენტურ და უსასყიდლო ფულად შენატან(ებ)ს გადასახად(ებ)ი ეწოდება. აქედან გამომდინარე, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით, დამსაქმებლისათვის დაკისრებული ვალდებულება თავისი ეკონომიკური არსით დამსაქმებლისათვის დაწესებულ გადასახადს წარმოადგენს. ამდენად აღნიშნული ვალდებულების შემოღება, გარდა იმისა, რომ საკამათოს ხდის, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, 2018 წლის 5 სექტემბრის იმ შესწორების მართლზომი-

⁵ „საქართველოს საპენსიო რეფორმა“ არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში 2016 წელი, გვ. 38.

ერებას, რომლის თანახმადაც, საპენსიო და სადაზღვეო შენატანები: „არ წარმოადგენს გადასახადებს და მოსაკრებლებს“, მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის ამავე კანონით ხელსაყრელი-პროგროზირებადი სამეწარმეო გარემოს არსებობის წინაპირობად მიჩნეულ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც, ქვეყანაში ახალი გადასახადის შემოღება მხოლოდ რეფერენდუმის გზით არის შესაძლებელი.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, თუ მხედველობაში მივიღებთ განსახილველი დოკუმენტის ტექსტში არსებულ მეწარმე სუბიექტთა მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების დატვირთვის მატარებელ იმ საკანონმდებლო ნორმებს, რომელთა თანახმადაც, დასაქმებულის სასარგებლოდ, დამსაქმებლისათვის დაწესებული 2%-იანი ვალდებულების ერთ პროცენტამდე შემცირებისა (დასაქმებულის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში ხელფასის სახით მიღებული შემოსავლის 24 000 ლარზე გადამეტების შემთხვევაში) და საერთოდ გაუქმების (აღნიშნული შემოსავლის 60 000 ლარზე გადამეტებისას) წესი მხოლოდ დამსაქმებელი სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ გამოიყენება და არ ვრცელდება სხვა დამსაქმებელ (მათ შორის მეწარმე) არასახელმწიფო სუბიექტებზე, აღნიშნული მიდგომის კორექტირების აუცილებლობა სრულიად ლოგიკურ გადაწყვეტილებად უნდა იქნეს მიჩნეული.

შექმნილი სიტუაციის დაძლევისა და რაც უადრესად მნიშვნელოვანია, ეკონომიკური თავისუფლების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული, ახალი გადასახად(ებ)ის შემოღების წესის დარღვევის მეტად არასასურველი პრეცედენტის აღმოფხვრისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, საპენსიო სქემაში მონაწილეობის შესახებ დამსაქმებლისათვის დაწესებული ვალდებულება, ამოღებული იქნეს დოკუმენტის ტექსტიდან.

Pension reform in Georgia

Resume

Based on the interdependent analysis of Georgian GDP and state (domestic and foreign) debt, the paper discusses the trend of the functioning of the accumulated pension system. Identified and analyzed threats of expected results of pension assets withdrawing from the country's consumer market and their deposition in foreign securities. Considering the current state of economic development of Georgia, the author comes to the conclusion that it is practicability to enact in an optional form. Analyzing the important provisions of the adopted Law on “Funded Pensions” the recommendations are proposed.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, ქუთაისი, ივლისი 2018 წ. #3303-რს;
2. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „დაგროვებითი პენსიის შესახებ“
<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/171961?h;>
3. „საქართველოს საპენსიო რეფორმა“ არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში 2016 წელი.
[http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/Government_Report_on_pensions_Final_GEO.pdf;](http://www.economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/Government_Report_on_pensions_Final_GEO.pdf)
4. საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი 2018 (წინასწარი მონაცემები), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
[www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/;](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/)

5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2010-18 წლების საქართველოს კანონები
https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit;
6. საქართველოს ეროვნული ბანკი სტატისტიკის ED-5 საგარეო ვალი (BPM-5)
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304;>

გურამ ჯოლია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,
მოწვეული სპეციალისტი

განათლების ოთხგანზომილუიანი მოდელი ჩარლზ ფადელის მიხედვით

განათლება თანამედროვეობის ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად მიიჩნევა, რადგან ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს და, მით უფრო, სამომავლო გამოწვევებს.

XXI საუკუნის მსოფლიო ძალიან ცვალებადი და არასტაბილურია. მისი განვითარების ვექტორი ბუნდოვანი და კომპლექსურია, ამორფული და არაერთგვარმნიშვნელობიანია.

დღევანდელი საგანმანათლებლო მოდელი ინდუსტრიულ ეპოქაში შეიქმნა, როცა ყურადღება მასობრივ სწავლებას ეთმობოდა. ამ პერიოდის საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები შედარებით სტაბილური იყო, სოციუმში სწრაფი ცვლილებები არ ხდებოდა და ერთხელ მიღებული ცოდნა მის მფლობელს მარადჟამს ემსახურებოდა. შესაბამისად, განათლებაც მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდიდა.

თანამედროვე მაღალგანვითარებული სამყარო ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულზე, ინფორმაციულზე, ცოდნაზე დაფუძნებულ საზოგადოებაზე ინტენსიურად გადადის. ჩნდება ახალი პროფესიები, ახალი დარგები და სამუშაო ადგილები, კარდინალურად იცვლება დასაქმების ბაზარი. ტრადიციული განათლება შრომითი მოწყობის გარანტიას აღარ იძლევა, რადგან დღევანდელი პრობლემები და შესაძლებლობები წინანდელთან შედარებით განსხვავებულია.

განათლების მოქმედი სისტემა ახალ გამოწვევებს ვერ პასუხობს, რადგან მისივე ბუნებაში არსებული ინერტულ-კონსერვატიულობის გამო, ტექნოლოგიურ პროგრესს დიდად ჩამორჩება.

არსებული რეალობა განათლების სისტემის წინაშე ახალ ამოცანას აყენებს: ადრე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის ნაცვლად, თანამედროვე ზეჰარბი ინფორმაციის პირობებში, ისეთი ადამიანების აღზრდა, რომლებსაც საჭირო ინფორმაციის საჭირო დროს მოძიება, კრიტიკულად გააზრება და ოპტიმალური (ეფექტიანი) არჩევანის გაკეთება შეეძლებათ.¹

თანამედროვე მსოფლიოს ასეთ ტურბოლენტურ ანუ ქარიშხლიან ცვალებადობას ტექნოლოგიების ექსპონენციალური განვითარება იწვევს, რაც, თავის მხრივ, მრავალი საკაცობრიო პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ, იმაგდროულად, ადამიანის საქმიანობის ტრადიციულ წესებსა და მეთოდებს არღვევს, ფუნდამენტურად სხვა ცოდნას, უნარებსა და პიროვნულ თვისებებს მოითხოვს და განსხვავებულ მსოფლმხედველობას ამკვიდრებს.

გლობალურ ეკონომიკაში, რომელიც მხოლოდ ინოვაციებით ვითარდება, წარმატება განათლების სისტემაზეა არსებითად დამოკიდებული.

ისმება კითხვა: რა და როგორ უნდა ვისწავლოთ, რომ ვიყოთ მომზადებული XXI საუკუნეში?

ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი ვარიანტია ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის ჩარლზ ფადელის მომავალზე ორიენტირებული განათლების ოთხგანზომილებიანი მოდელი, რითაც საგანმანათლებლო სისტემა გახდება უფრო ეფექტიანი და გლობალური მოთხოვნების შესაბამისი.²

¹ **Edward O. Wilson**, *Consilience: The Unity of Knowledge* (New York: Vintage, 1999), p. 294.

² **Чарльз Фадель** и др. *Четырехмерное образование: Компетенции, необходимые для успеха*. Пер. с англ. М., (Изд-во «точка», Москва, 2018). 240 с. გვ. 36. <https://vbudushee.ru/system/archive/4D.pdf>

განათლების ოთხივე განზომილება ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და სწავლა/სწავლების ეფექტიანობა მათ ინტენსიურ შერწყმაზეა დამოკიდებული (იხ. ნახ. 1).

განზომილება პირველი – ცოდნა

ცოდნა მეტად რთული ფენომენია. მისი ფილოსოფიური რაობის გაგებას კაცობრიობა უძველესი დროიდან ცდილობს. ცოდნის შესახებ მეტად ფასეული შეხედულებები აქვთ გამოთქმული დიდ მოაზროვნეებს: სოკრატეს, პლატონს, არისტოტელეს, კანტს... კერძოდ, სოკრატეს აზრით, „ცოდნა სიქველეა“, ³ სიბრძნეა. ⁴ იდეების ფუძემდებელ პლატონს ხიბლავდა ინდივიდის სწრაფვა შემეცნებისაკენ, „სულის აღმასვლა გონით საწვდომი სამყაროს მიმართ“. ⁵ არისტოტელე ხალხს ჰყოფდა ბუნებრივი მონაცემების, უნარის, ენერგიის, ნიჭიერების მიხედვით და ფიქრობდა, რომ „ასეთი ადამიანი, როგორც ღმერთი, ისე არსებობს ადამიანთა შორის“. იგი თვლიდა, რომ „ბუნებრივად ადამიანის იარაღს წარმოადგენს გონიერება“. ⁶ ამიტომ არსებითად მიიჩნევდა ინდივიდის აზროვნების გაძლიერებას, აქტიურ გონებრივ ქმედებას და მის მარადიულ ლტოლვას ცოდნის დასაუფლებლად. ფილოსოფოსი ი. კანტი ინდივიდის შეფასების მთავარ კრიტერიუმად განათლებას თვლიდა: „ადამიანები ვხდებით მხოლოდ განათლებით“ ⁷ და განმარტავდა, რომ „განმანათლებლობა ესაა ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან, რომელიც მისივე ბრალია. უმწიფრობა არის უუნარობა, საკუთარი განსჯა სხვისი ხელმძღვანელობის გარეშე მოიხმარო“. ⁸

³ უილიამ გათრი. *ბერძენი ფილოსოფოსები* (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1983), გვ. 88.

⁴ პლატონი. *ნადიმი* (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1964), გვ. 53.

⁵ პლატონი. *სახელმწიფო*. წიგნი VII. (თბილისი, 1964), გვ. 50.

⁶ არისტოტელე. *პოლიტიკა*. ნაწილი პირველი (სამშობლო, თბილისი, 1995), გვ. 13.

⁷ გურამ თევზაძე. *იმანუელ კანტი*. (თსუ, თბილისი, 1974), გვ. 19.

⁸ იმანუელ კანტი. *პასუხი შეკითხვაზე: რა არის განმანათლებლობა?//შესავალი თანამედროვე აზროვნებაში*. წიგნი II. (ილიაუნი თბილისი, 2014), გვ. 60.

ნახ. 1. განათლების ოთხგანზომილებიანი მოდელი



ახალ გარემოში არსებითად იცვლება თვით ცოდნის იდეის არსი. თანამედროვე გაგებით, ცოდნაში (განათლებაში) არა რაიმე ინფორმაციის დამახსოვრება იგულისხმება, არამედ ადამიანის შემოქმედებით-შეშეცნებითი აზროვნება და მისგან გამომდინარე უნარები მოიაზრება.

მომავალში განათლების მიღება ინფორმაციის დამახსოვრების ხარისხს აღარ დაეფუძნება. ერთი მხრივ, აღარ იქნება საჭირო ტვინის გადატვირთვა უსარგებლო (ძველი) ინფორმაციით, რომელთა უდიდესი ნაწილი მიწყივ დავიწყებას ეძლევა ხოლმე. მეორე მხრივ, ტვინის გონებრივი რეზერვი ორიენტაციას შეიცვლის კრიტიკული აზროვნების მიმართულებით, „... რომელიც არ ექვემდებარება წარმოშობითა თუ ხრწნილებით გამოწვეულ ცვალებადობას“.⁹ წინა პლანზე გამოვა დემოკრატიული მიდგომა: „კაცი ღრმა აზროვნებას უნდა ესწრაფოდეს და არა ღრმა ცოდნას“.

როგორც ცნობილია, ცოდნის მისაღებად საჭიროა ინფორმაცია, მაგრამ იგი არასაკმარისია. მასთან ერთად მნიშვნელოვანია ცოდნის მოხმარება. თუ წინათ ცოდნაში ინფორმაციის ფლობა იგულისხმებოდა, თანამედროვე ინფორმაციულ ეპოქაში, როცა ახალი ცოდნის

⁹ პლატონი. *სახელმწიფო*. წიგნი VI. (თბილისი, 1964). გვ. 10.

მოცულობა ექსპონენციალურად იზრდება და მისი ხელმისაწვდომობა ძალიან მარტივდება, ჯერ ერთი, მეტ-ნაკლები სისრულით არსებული ინფორმაციის ფლობა შეუძლებელია და, მეორე, გამოყენებლობის გამო, ასეთი ცოდნა არაპრაქტიკული ხდება.

განათლების თანამედროვე სისტემა, რომელიც მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრებაზეა ორიენტირებული, ყურადღების მიღმა ტოვებს ცოდნის შინაარსობრივ გაგებას, შეძენილ კომპეტენციებსა და გამოყენებადობას. XXI საუკუნის განათლების წინაშე კი სხვა ამოცანები დგას: საზოგადოების სოციალური პროგრესი და ადამიანის თვითრეალიზაცია. ასეთი მიდგომით სასწავლო პროგრამები ტრადიციულ და თანამედროვე დისციპლინებად უნდა დაჯგუფდეს.

მეტად მნიშვნელოვანია ტრადიციული დისციპლინების სასწავლო თემატიკის აკურატულად „გაფილტვრა“ ანუ იმ არაპრაქტიკული მასალის ამოღება, რაც ინტერნეტშია განთავსებული და გამოთავისუფლებულ დროსა და სივრცეში ცოდნის თანამედროვე სფეროებისა და კომპეტენციების სწავლება. **ტრადიციულმა დისციპლინებმა სწავლის მსურველს უნდა განუვითაროს 3 სახეობის ფასეულობა: ცოდნის პრაქტიკული გამოყენებადობა, ზოგადი ინტელექტი** (კრიტიკული და კრეატიული აზროვნება, პიროვნული განვითარების მოთხოვნილება) **და სწავლის მოტივაცია.**

თანამედროვე დისციპლინები აუცილებელია XXI საუკუნის რთულ, კომპლექსურ და ინტეგრირებულ სამყაროში. მხედველობაშია დისციპლინათშორისი მეცნიერებების სწავლება. მათი მეშვეობით ახალგაზრდა შეიძენებს გლობალურ წიგნიერებას (კულტურულ მრავალფეროვნებას), ინფორმაციულ წიგნიერებას (ცვალებად და საპირისპირო ინფორმაციასთან მუშაობას), ეკოლოგიურ წიგნიერებას (ბუნებაზე სოციუმის ზემოქმედებას, ეკოლოგიური პრობლემების კლევას), ტექნოლოგიურ წიგნიერებას (ინტერნეტში საძიებო მუშაობას, ტექსტებთან, ცხრილებთან და სოციალურ ქსელებთან მუშაობას), ციფრულ წიგნიერებას (ციფრული

ტექნოლოგიების გამოყენებას), სისტემურ და საპროექტო აზროვნებას.

განზომილება მეორე – უნარები

უნარი არის ის, თუ როგორ ვიყენებთ ცოდნას. ცოდნის გარეშე არ არსებობს უნარი. უნარის გარეშე კი, ცოდნა პასიური, ზედაპირული და მოკლევადიანია. შედეგად მისი გამოყენება ძნელია. ცოდნა და უნარები ერთობლივად ვითარდება. შეძენილი ცოდნა შემოქმედების წყაროა, კრიტიკული განსჯის საგანი და მოქმედების სტიმულია. საგნის სიღრმისეული გაგება და სწავლების შედეგიანობის მაღალი ხარისხი მხოლოდ ცოდნისა და უნარების ერთობლიობით მიიღება. XXI საუკუნის უნარების საფუძვლები მოცემულია 4კ-ს მოდელში: **კრეატიულობა** (პრობლემის გადასაწყვეტად შემოქმედებითი მიდგომა, ინოვაციური იდეების გენერაცია), **კრიტიკული აზროვნება**, **კომუნიკაცია** და **კოოპერაცია**. თუმცა, მათი შეფასება რთულია.

განზომილება მესამე – ხასიათი, თვისებები

უმჯელესი დროიდან განათლების მიზანი დარწმუნებული, გულისხმიერი და წარმატებული ადამიანების აღზრდა იყო. ადამიანის ხასიათიდან გამომდინარე, დღეს ყურადღება მახვილდება შემდეგზე: **გაცნობიერება** (თვითშეგნება, თვითშეფასება, თვითაქტუალიზაცია, ურთიერთდაკავშირებულობა, დაკვირვებულობა, შეგნე-ბულობა...); **ცნობისმოყვარეობა** (დამოუკიდებლობა, მოტივირებულობა, ინიციატივიანობა, ინოვაციურობა...); **გამბედაობა** (მამაცობა, დარწმუნებულობა, რისკიანობა, ენერგიულობა, მხნეობა...); **მდგრადობა** (საზრიანობა, ადაპტიურობა, მოქნილობა, მიზანსწრაფველობა...); **ეთიკურობა** (სამართლიანობა, ტოლერანტულობა, საიმედოობა, გულწრფელობა, თავდადებულობა და სხვ.); **ლიდერობა** (პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა, საიმედოობა, ორგანიზებულობა, ქარიზმატულობა, სულისჩამდგმელობა, დამრიგებლურობა...).

განზომილება მეოთხე – მეტაშემეცნება (მეტასწავლება)

მეტაშემეცნება არის ფიქრი აზროვნების შესახებ. მისი ამოცანა აბსტრაქტულია და მთელი საგანმანათლებლო პროცესის ფონის შემქმნელია. მეტაშემეცნება ერთიანი კომპლექსია და მოიცავს: რაიმეს შესახებ არსებული მდგომარეობის შეფასებას, მომავალი მიზნების, ქმედებების, სტრატეგიებისა და შედეგების განსჯას. იგი საშუალებას იძლევა გადიდდეს შეძენილი ცოდნის, უნარებისა და პიროვნული თვისებების გამოყენების არეალი. „XXI საუკუნეში გაუნათლებელი იქნება არა ის, ვისაც წერა-კითხვა არ შეუძლია, არამედ ის, ვისაც სწავლა არ შეუძლია“.¹⁰

Guram Jolia

Invited Specialist,
Professor at GTU

Four-Dimensional Education Model by Charles Fadel

Resume

Modern education is regarded as one of the global problems, as it fails to meet the demands of the information (knowledge) society. There are numerous models to transform education, but the four-dimensional model by Charles Fadel, Harvard researcher and the head of the Center for Curriculum Redesign, is especially noteworthy. The components of this model are the following: knowledge, skills, character education and meta-learning.

¹⁰ **Flexnib.** *That Alvin Tofer Quotation*, <http://www.flexnib.com/2013/07/03/that-alvin-toferquotation>.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **არისტოტელე.** *პოლიტიკა*. ნაწილი პირველი (სამშობლო, თბილისი, 1995);
2. **გურამ თევზაძე.** *იმანუელ კანტი*. (თსუ, თბილისი, 1974);
3. **იმანუელ კანტი.** *პასუხი შეკითხვაზე: რა არის განმანათლებლობა?//შესავალი თანამედროვე აზროვნებაში*. წიგნი II. (ილიაუნი თბილისი, 2014);
4. **პლატონი.** *ნადიმი* (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1964);
5. **პლატონი.** *სახელმწიფო*. წიგნი VII. (თბილისი, 1964);
6. **უილიამ გათრი.** *ბერძენი ფილოსოფოსები* (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1983);
7. **პლატონი.** *სახელმწიფო*. წიგნი VI. (თბილისი, 1964);
8. **Edward O. Wilson,** *Consilience: The Unity of Knowledge* (New York: Vintage, 1999);
9. **Flexnib.** *That Alvin Tofer Quotation*, <http://www.flexnib.com/2013/07/03/that-alvin-toferquotation;>
10. **Чарльз Фадель** и др. *Четырехмерное образование: Компетенции, необходимые для успеха*. Пер. с англ. М., (Москва, Изд-во «точка». 2018), [https://vbudushee.ru/system/archive/4D.pdf;](https://vbudushee.ru/system/archive/4D.pdf)

თანამედროვე ჩინური ოჯახის ტრანსფორმაცია

ტრადიციული ჩინური ოჯახში კარგად არის შესწავლილი და ბევრი ნაშრომია ამ თემასთან დაკავშირებით. ბევრ ჩინელ და უცხოელ მეცნიერს იზიდავს ეს ქვეყანა, რომელიც დღითი დღე ვითარდება და იცვლება. აქ საინტერესოაა შერწყმული ტრადიციები და თანამედროვეობა.¹

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქალაქად მცხოვრები ოჯახები და ოჯახური ინსტიტუტები განიცდიან ევოლუციას და უყალიბდებათ თავიანთი სპეციფიკური ნიშნები. ოჯახური ინსტიტუტები ეყრდნობა კონფუციანიზმის მორალს.

ჩინეთში ცნობილი გამონათქვამია: „ჯერ წესრიგში მოიყვანე შენი ოჯახი და მერე მართე შენი ქვეყანა“.

ჩინეთში ოჯახის 4 ჭიპია:²

- **რთული ოჯახი:** ერთად ცხოვრობს რამდენიმე თაობა, დედ-მამის გარდა სხვა ნათესავებიც (დეიდები, ბიძები, მამიდები);
- **ძირი ოჯახი:** მშობლები, მეუღლეები და ბავშვები ცხოვრობენ ერთად, სხვა ყველა ნათესავი ცალკე;
- **მთავარი ოჯახი:** ცოლ-ქმარი და მათი დაუოჯახებელი შვილები ცხოვრობენ ერთად;

¹ **Арсений Геннадьевич Попов.** *Трансформация традиционной городской семьи в Китае*, (Москва, 2005), С. 1-2

² Минмин Чэнь, Надежда Михайловна Ноговицына. Основные тенденции в развитии китайской семьи, *Научно-методический электронный журнал «Концепт»*. Т. 26, 2017, С. 186–191. URL: <http://e-koncept.ru/2017/770747.htm>

- **მარტოხელა ოჯახი:** ადამიანები რომლებიც ცხოვრებენ მარტო განქორწინების ან მეორე ნახევრის გარდაცვალების შემდეგ;

გლობალიზაციამ და საბაზრო ეკონომიკურმა რეფორმებმა, გახსნილობამ შეცვალა ჩინური ოჯახების ტიპები და სტრუქტურა, განსაკუთრებით კი ქალაქში მცხოვრები ოჯახების. იგრძნობა დასავლური კულტურის ზეგავლენა. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა განქორწინებაც და მეორედ დაქორწინებაც.

ქალაქებში მოიმატა განქორწინებებმა. „ლიაობის“ პოლიტიკისა და სხვადასხვა რეფორმების შემდეგ დაიწყო ჩინელების შიდა მიგრაცია. ახალგაზრდებმა დაიწყეს დიდ ქალაქებში გადასვლა, მილიონობით ახალგაზრდა საერთოდ გადავიდა საზღვარგარეთ სასწავლებლად, 3 მილიარდი გლეხი თავიანთი სოფლიდან გადავიდა ქალაქში სამუშაოდ და იქ დაფუძნდა.

ჩინეთის ქალთა ფედერაციის ბრიფინგი ჩატარდა 2015 წლის 22 დეკემბერს, სადაც შეფასდა ოჯახში ბავშვების აღზრდის დონე და მდგომარეობა. კვლევები ჩატარდა ჩინეთის 98 ქალაქში.³

გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

- ოჯახში ბავშვების აღზრდის მეთოდები გაუმჯობესდა წინა წლებთან შედარებით;

- ოჯახური განათლების მდგომარეობა გაუმჯობესდა;

- მშობლების 90% მიიჩნევს, რომ ოჯახური ურთიერთობები ეს არის პირველ რიგში მეგობრობა;

მშობლები ორიენტირებული არიან აღზრდის დროს:

- შვილებს შეუქმნან კომფორტული ოჯახური ატმოსფერო;

- საუკეთესო განათლება მისცენ შვილებს;

³ Минмин Чэнь, Надежда Михайловна Ноговицына. Основные тенденции в развитии китайской семьи, *Научно-методический электронный журнал «Концепт»*. Т. 26, 2017, С. 186–191. URL: <http://e-koncept.ru/2017/770747.htm>

- ასწავლონ შვილებს მოხუცების პატივისცემა და პატარების სიყვარული;

- 76.1 % მშობლების ორიენტირებულია, რომ მათი შვილი გაზდეს უფრო აქტიური და ჯანმრთელი;

- 65.7 % მშობლები კი ორიენტირებულია შვილების სამართლიან პიროვნებად ჩამოყალიბებაზე;

ოჯახი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არის სახელმწიფო ოჯახის პოლიტიკის ობიექტი, რომლის მიზანია ისეთი პირობები შეუქმნას ოჯახს, რომ მოახდინონ რეალიზება და აიმაღლონ ცხოვრების დონე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა სი ძინფინგმა თავის 2015 წლის გამოსვლაში აღნიშნა: „უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ოჯახებს, ბავშვების აღზრდას ოჯახში, ოჯახის ღირებულებებს, რომ ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქვეყნის ღირებულებებთან და ფასეულობებთან. უფრო ღრმად განვაკეთოთ ჩინური ტრადიციები, ხელი შევუწყოთ ოჯახურ ჰარმონიას, რათა მომავალი თაობა გაიზარდოს ჯანმრთელი და შეეძლოს უფროსი თაობის ზრუნვა და პატრონობა“

ქორწინების კანონის თანახმად დაცულია ქალების უფლებები. ოჯახის წევრები ვალდებული არიან დაეხმარონ ერთმანეთს და შეინარჩუნონ მეგობრული და კულტურული ოჯახური ურთიერთობა.

რადიკალურად შეიცვალა ოჯახური ფასეულობები. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ პროცესში (პირველ რიგში ინტერნეტმა). თანამედროვე ოჯახებს შეეცვალათ დამოკიდებულება განქორწინების მიმართ. ქალაქებში შეიცვალა დამოკიდებულება ბავშვის სქესის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ 2000 წელზე მეტია უკვე, რაც ჩინურ ოჯახში იცავენ „ხუთ კარგ წესს“:⁴

1. ოჯახში პატივი უნდა სცენ უფროსებს და უყვარდეთ პატარები;
 2. ცოლსა და ქმარს შორის უნდა იყოს ჰარმონიული ურთიერთობა;
 3. ოჯახმა უნდა შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა მეზობლებთან;
 4. ოჯახში აუცილებლად უნდა სუფევდეს შრომისმოყვარეობა და ურთიერთზრუნვა;
 5. ოჯახის წევრები უნდა ზრუნავდნენ გარშემომყოფებზე;
- თანამედროვე ჩინური ოჯახის ფორმირება ჯერაც არაა დასრულებული. ყველა ეს ცვლილება პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ტრანსფორმაციულ პროცესებთან, რომლებიც ხდება საზოგადოებაში და კულტურაში - ენაში, მენტალიტეტში, საკანონმდებლო სფეროში და ა.შ.

Aleksandra Lataria

Ph.D Student of Georgian Technical University

Transformation of Modern Chinese Family

Resume

The traditional Chinese family is well studied by many scientists and researchers. There are lots of researches about this topic.

In the People's Republic of China, families and family institutions populated in the cities experience evolution and form their specific signs. Family institutions are based on the morality of Confucianism.

⁴ Кузьменко Екатерина Борисовна, Скворцова Ирина Андреевна, Терешкова Надежда Сергеевна Особенности взаимоотношений в китайской семье, *Молодой ученый*, №19, 2015, С. 99-102. URL <https://moluch.ru/archive/99/22345/> (дата обращения: 03.07.2019).

Modern families like in the old time still respect their past and memories.

Family values have changed completely. The development of modern technologies has played a crucial role in this process. In the cities people have changed the attitude towards the sex of the child, and now they do not choose their children by sex.

We can say that institution of marriage has become more flexible. Marriage is no longer dependent on parents' wishes.

Formation of a modern Chinese family has not completed yet . All these changes are directly or indirectly related to transformational processes, which occur in society and culture towards language, mentality, legislation, etc.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Анатолий Иванович Антонов.** *Микросоциология семьи.* (NOTA BENE, Москва, 1998);
2. **Арсений Геннадьевич Попов.** *Трансформация традиционной городской семьи в Китае,* (Москва, 2005);
3. **Леонид Сергеевич Васильев.** *Китай в двадцатом веке: трансформация, модернизация, вестернизация.* Тезисы докладов двадцать четвертой научной конференции "Общество и государство в Китае". Москва, 1993;
4. **Минмин Чэнь, Надежда Михайловна Ноговицына.** Основные тенденции в развитии китайской семьи, *Научно-методический электронный журнал «Концепт».* Т. 26, 2017, URL: <http://e-koncept.ru/2017/770747.htm>

უმაღლესი განათლების სისტემა ირანის ისლამურ სახელმწიფოში

დღევანდელ დღეს მსოფლიო თანხმდება იმაზე, რომ ხელმისაწვდომი განათლება არის ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული და ღირსეული მომავლის გარანტი. ამავროდულად ხარისხიანი და კვალიფიციური განათლების მიღება რიგ ქვეყნებში დღემდე პრობლემას წარმოადგენს. მათ შორის არის რა თქმა უნდა საქართველოც, რომლის განათლების სისტემა შეიძლება ითქვას სისტემატიურ ტრანსფორმაციას განიცდის, რაღათქმა აღნიშნული ყოველთვის კარგი შედეგის მომტანი არა არის. საინტერესოდ მივიჩნიე სიღრმისეულად შემესწავლა განათლება აღმოსავლურ ქვეყნებში, როგორია მათი ზოგადი წიგნიერების და განათლების დონე, რას ითხოვს მათი საგანმანათლებლო სისტემა და რის შესაძლებლობას აძლევს მსურველს მიიღოს განათლება. ამისათვის არჩევანი შევაჩერე ირანის ისლამურ სახელმწიფოზე.

დასაწყისისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ირანის ისლამური სახელმწიფოც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისეთ საკითხებს როგორიც არის განათლების, მეცნიერების და კვლევების დაფინანსება. ირანში სასკოლო განათლება არის ყველასათვის ხელმისაწვდომი და უფასო. რაც შეეხება უნივერსიტეტს სწავლების მთლიანი პერიოდის დროს იხდებიან არც თუ ისე დიდი საფასური, დაახლოებით 200-300 ევრო, რაც პრობლემას არ წარმოადგენს ირანის მოქალაქეებისათვის. განსაკუთრებული ცვლილება განათლების დონეში შეინიშნებოდა რევოლუციის

შემდგომ, საგრძნობლად გაიზარდა აღნიშნულ მაჩვენებელი ქალებში.¹

თვითონ განათლების სისტემა ირანში შედგება რამოდენიმე საფეხურისგან. სკოლამდელი აღსაზრდელი რა თქმა უნდა მიდის ჯერ საბავშვო ბაღში, თუმცა სავალდებულო არაა და მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი არ მიმართავს აღნიშნულ დაწესებულებას. 6 წლის ასაკში ყველა ირანელი ბავშვი იწყებს სწავლებას დაწყებითი სკოლაში, სადაც სწავლობენ 5 წლის განმავლობაში. სკოლაში მოსწავლეების დაყოფა ხდება სქესობრივი გზით, გოგოებო ცალკე სწავლობენ ვაჟები ცალკე. დაწყებითი სკოლის დასრულების შემდგომ მოსწავლეები აბარებენ საერთო სახელმწიფო გამოცდას და იპოვებენ უფლებას გააგრძელონ სწავლა საშუალო სკოლაში, რომლის ხანგრძლივობაც შეადგენს 3 წელს. აღნიშნული სკოლის დასრულების შემდგომაც აბარებენ საერთო სახელმწიფო გამოცდა და გადადიან შემდგომ საფეხურზე.²

რეაწლიანი სასკოლო განათლება სავალდებულოა ყველასათვის, რადგან აღნიშნულ საფეხურზე სკოლის მოსწავლეები იღებენ განათლებას სამი ბლოკის დიციპლნაში, ესენია:

1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ);
2. ჰუმანიტარული მეცნიერებები (სპარსული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია);
3. ისლამური მეცნიერებები (არაბული ენა, ყურანის კითხვა და გააზრება, ისლამური რელიგიის და ცივილიზაციის ისტორია).

¹ **Александр Наумович Джуринский.** История Зарубежной Педагогики: Издательская группа "Форум" - "Инфра-М", 1998, стр.3-6.

² **А. Н. Джуринский.** История Зарубежной Педагогики: Издательская группа "Форум"... стр.14-20.

აღნიშნული პროგრამა საერთოა, როგორც გოგონებისათვის ისე ვაჟებისთვის.³

საშუალო სკოლის შემდგომი საფეხურია უმაღლესი სკოლა, აქ უკვე ხდება სპეციალიზაციის მიხედვით დაყოფა. აღნიშნული სკოლის მიზანია მოამზადოს მოსწავლე კონკრეტული სპეციალიზაციის/მიმართულების გათვალისწინებით უნივერსიტეტში სწავლებისათვის. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა აირჩიონ თეორიული (მათთვის ვინც გეგმავს სწავლის გაგრძელებას უნივერსიტეტში) და პროფესიული (მათთვის ვინც შემოიფარგლება მხოლოდ საშუალო-სპეციალური განათლებით) სწავლება. მოსწავლეები, რომლებიც აიჩვენენ ამ უკანაკნელს უმაღლესი სკოლის დასრულების შემდგომ სწავლობენ კიდე 2 წლიან დამატებით კურსს, რომელსაც უწოდებენ ე.წ კვალიფიკაციის ამაღლების კურსს.⁴

თეორიული განათლების ფარგლებში კლასები იყოფა შემდგომი მიმართულებებით: საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და სამედიცინო მეცნიერებები. ამ დროისათვის მოიაზრება, რომ მომსწავლე უკვე ჩამოყალიბებულია თავისი მომავალი პროფესიის არჩევანში. პირველ სასწავლო წელს, ყველა ის დისციპლინა რომელსაც მოსწავლეები ეუფლებოდნენ საშუალო სკოლაში, ისწავლება თანაბარო მოცულობით. სასწავლო კურსების შესწავლა უფრო გაღრმავებული და სპეციალიზირებული ფორმით ხორციელდება სწავლების მეორე წლიდან. უმაღლესი სკოლაში სულ სამი კლასია, რომლის დასრულების შემდგომაც (მეთერთმეტე კლასი) მოსწავლეები აბარებ საერთო სახელმწიფო გამოცდას ყველა სკოლის სასწავლო პროგრამის მოცულობით. აღნიშნულის შემდგომ მოსწავლის სახელზე გაიცემა საშუალო განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

³ **Нина Алексеевна Успенская.** *Высшее Образование В Арабских Странах: Прошлое и Настоящее.* стр. 4-5.

⁴ **М. Мартовская** - *Об образовании в Иране* - 21.09.2013 <http://peopleandcountries.com/article-1567-1.html>

უნივერსიტეტში სწავლებამდე ახალგაზრდები ერთი წლის განმავლობაში სწავლობენ წინასწარუნივერსიტეტო მომზადების სერთიფიკატის მისაღებად, რომელიც აძლევს მათ უფლებას ჩააბარონ მისაღების საუნივერსიტეტო გამოცდები. აღსანიშნავია, რომ სპეციალიზაციის დიციპლინის გარდა აბიტურიენტები აბარებ გამოცდას ფიზიკას, მათემატიკას, ბიოლოგიას, ქიმიას, სპარსულ ენას და ლიტერატურას და ისლამურ მეცნიერებებს.

ირანში დღეისათვის არის დაახლოებით 80 სახელმწიფო უნივერსიტეტი, მათ შორის 28 სამედიცინო და 25 მსხვილი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც შეეხება ინსტიტუტებს მათი რიცხი აღემატება 240-ს.

უნივერსიტეტში ჩაბარების შემდგომ, სტუდენტები სწავლობენ ჯერ საბაკალავრო საფეხურზე, რომლის ხანგრძლივობაა 4 წელი. თითოეული წელი იყოფა ორ სემესტრად. შემდგომი საფეხურია მაგისტრატურა, ხანგრძლივობა საქართველოს მსგავსად 2 წელია. ამ საფეხურის დასრულების შემდგომ სტუდენტები იცავენ სადიპლომო ნაშრომს და ენიჭებათ აკადემიური ხარისხი.⁵

შემდგომი საფეხური დოქტორანტურაა, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან:

1. საგანმანათლებლო პროგრამა;
2. დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა.

აღნიშნულ საფეხურზე ჩასაბარებლად მსურველმა აუცილებლად უნდა ჩააბაროს უცხო ენს გამოცდა, გაიაროს საგანმანათლებლო კურსი და ჩააბაროს ზეპირი და წერილობითი გამოცდა. ყოველივე ამის შემდგომ დაიწყოს სწავლა და შედგეს კვლევით სამუშაოებს. დისერტაციის დაცვამდე მაძიებელს გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს ერთი პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო ჟურნალში.⁶

⁵ Особенности образования в Исамской Республики Иран. 21.12.2014 - www.Iran.ru

⁶ Образование у мусульман: результаты исследования Pew Research. 27.12.2016 - <http://islamoved.ru>

დღეისათვის ირანში განათლების არ მქონე პირთა მაჩვენებელი 21%-ზე მაღალია, რაც ნიშნავს იმას, რომ ათ მილიონზე მეტმა ადამიანმა არ იცის წერა-კითხვა.

Nino Sepashvili

PhD Student of Georgian Technical University

High Education System in Islamic Republic of Iran

Resume

Today the world agrees that accessible education is a guarantee of a successful and decent future of the country. At the same time, getting a quality education in a number of countries is still a problem. Of course there is certainly Georgia, whose education system, can be said, have a systematic transformation, which is not have always a good result. I found it interesting to study in the eastern countries, what is their general literacy and education level, what's asking their educational system and what kind opportunities can get the student. For this research I choose Islamic Republic of Iran.

In the beginning it should be noted that the Islamic Republic of Iran also focuses exclusively on issues such as education, science and research financing. In Iran, school education is accessible and free for everyone. Special change was observed in the level of education after the revolution, this indicator has significantly increased in women.

The education system in Iran consists of several stages. There are pre-school institutions where learning is not mandatory. The school level is divided into three parts, and after completion of each section, the pupils must pass general state exam. After exams they can continue their education in next levels. After school students takin one year course form preparation for Universities.

Like in Georgia in Universities students can take Bachelor, Master and PHD programs. The duration of this levels are same too: Bachelor 4 years, Master 2 years and so on.

Any war percent of uneducated people are steel high, its about 21 percent.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Александр Наумович Джуринский.** *История Зарубежной Педагогики.* Издательская группа "Форум" - "Инфра-М",1998;
2. **Нина Алексеевна Успенская.** *Высшее Образование В Арабских Странах: Прошлое и Настоящее;*
3. **М. Мартовская** - *Об образовании в Иране* - 21.09.2013 <http://peopleandcountries.com/article-1567-1.html>;
4. *Особенности образования в Исамской Республики Иран.* 21.12.2014 - www.Iran.ru;
5. *Образование у мусульман: результаты исследования Pew Research.* 27.12.2016 - <http://islamoved.ru>;

ტარიელ ფუტყარაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი
იამზე ვაშაკიძე
კავკასიის უნივერსიტეტი
პროფესორი

ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღზდგა თუ ქრისტე აღდგა?

აღდგომის ყოველ დღესასწაულზე სოციალურ ქსელსა თუ სამეცნიერო წრეებში განსჯის საგანი ხდება, თუ რომელი ფორმაა მართებული: **ქრისტე აღსდგა თუ ქრისტე აღდგა**. ჩვენი აზრით, ნორმატიული ფორმა უნდა იყოს „აღსდგა“.

სტატიაში წარმოდგენილია საკითხის ისტორია; კრიტიკულად გაანალიზებულია ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისები და ჩამოყალიბებულია ჩვენეული არგუმენტები „აღსდგა“ ფორმის უპირატესობის დასასაბუთებლად.

ქართველურ ენობრივ სამყაროში **ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის** კონტექსტში გამოყენებულია რამდენიმე ზმნა:

აღვსება – აღდგომა ქრისტესი¹²; შდრ. იქვე: **აღვსება** – ავსება, გავსება, შესრულება. არც ილ. აბულაძის და არც ზ. სარჯველადის მიერ „აღდგომა“ დადასტურებული არ არის „ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის“ სემანტიკით; კერძოდ, ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც (ი. აბულაძე, 1973) და ძველი ქართული ენის სიტყვის კონაშიც (ზ. სარჯველაძე, 2001) აღდგომა წარმოდგე-

¹ **ილია აბულაძე**. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, (მეცნიერება, თბილისი, 1973), გვ. 13.

² **ზურაბ სარჯველაძე**. *ძველი ქართული ენის სიტყვის კონა*, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, (თბილისი 2001), გვ. 13.

ნილია პოლისემანტიკურ სიტყვად, რომლის მნიშვნელობებია: ადგომა, წამოდგომა, აღმართვა, აღმსობა (მსობა – „აღრე ადგომა“), აღფხურა (/აღმოფხურა)... ი. აბულაძის მიერ მოყვანილი მხოლოდ ერთ-ერთი კონტექსტია **აღდგომილი მკვდრებით**,³ რაც გვაფიქრებინებს, რომ „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ არ მოხვდა „აღდგომის“ ის მნიშვნელობა, რომელიც მიემართება ჯვარცმის შემდეგ ქრისტეს მკვდრებით აღდგომას.

აღვსება დასტურდება უძველეს წერილობით ძეგლებშივე, მაგ. „შუშანიკის წამებაში“ ერთ ფრაზაში გვაქვს ორივე ზმნა ძველი მნიშვნელობებით: „და ვითარ მოიწია **აღვსებისა ორშაბათი** და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაძისა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და **აღდგა**, და მივიდა ეკლესიად...“.⁴

აღვსება ორივე მნიშვნელობით დასტურდება სულხან-საბასთანაც: **აღვსება** – „შესრულება“, **აღვსება** – „აღდგომის დღე“.⁵

აღდგომის სინონიმებად ქართველურ ქვესისტემებში გამოყენებულია, ასევე, „**თანაფა**“ (მეგრულსა და სვანურში) და „**ცისკარი**“ (იმერულში...). რ. შეროზიას აზრით,⁶ „თანაფა“ პირველ საუკუნეშივე (როცა მოციქულებმა საქართველოში, კერძოდ, ეგრისში იქადაგეს) შექმნილი **საეკლესიო ტერმინია**.

შდრ., ხ. გოგიას თვალსაზრისი: „პიროვნების მიერ ქრისტიანობის მიღება ქართულ ენაში დაუკავშირდა ნათელს: (მო-ნათვლ-ა). ენობრივი გააზრება შეიცავს ნათელზე არსებულ რწმენა-წარმოდგენებს, რომლებიც ემყარება წარმართული ტრადიციების

³ ი. აბულაძე. *ძველი ქართული ენის...* გვ. 13.

⁴ *ქართული პროზა* (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1982), გვ. 15.

⁵ **სულხან-საბა ორბელიანი**. *ლექსიკონი ქართული*, I. (მერანი, თბილისი, 1991, გვ. 76.

⁶ **რევაზ შეროზია**. ქართველური ენობრივი სისტემის შესახებ. ქართველური მემკვიდრეობა XX, (ქუთაისი, 2016), გვ. 308. იხ. მისივე: ზოგი რელიგიური ტერმინის შესახებ, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადწლეული, VI ქუთაისი, 2014, გვ. 313-315.

ქრისტიანულ გადააზრებას იოანეს სახარების მიხედვით (კ. კეკელიძე, რ. სირაძე). ნათლობა სულიერი ხელვის დასაწყისია: „რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს იგი ბნელსა“ (ი.8, 12). აღდგომის მეგრული სახელი **თანაფა** იმავე სემანტიკურ მოდელში ზის, რაშიც ქართული მონათვლა /განათლება/ ნათლიერება. მეგრული მეტყველება ამჯერადაც მიყვება საერთო ქართულ ენობრივ მსოფლხედვას.⁷

ჩვენი აზრით, **„თანაფა“ (/თენება) უშუალო კავშირშია გათენებასთან, „ცისკართან“** – ქრისტეს აღდგომის დროსთან და არა ნათლობასთან (ნათლობა – ბნელში მყოფისაგან ნათელის მიღება): სწორედ გათენებისას აღდგა მკვდრეთით ქრისტე. ჩვენი თვალსაზრისის საფუძველია (არგუმენტი) წმ. იოვანე ოქროპირის შემდეგი ტექსტი:

„დღეს აღესრულა, საყვარელნო, რაც მრავალი საუკუნის წინ თქვა ღვთისმშობელმა: „მწუხრი იყვნენ ტირილით და **ცისკარს სიხარულით**“. რამეთუ მწუხარება, რომელმაც მოიცვა მოციქულნი უფლის ჯვარცმისას, მისი აღდგომის სიხარულით შეიცვალა; ხოლო ქრისტეს ჯვარცმელების **სიხარული ცისკარზე** უფლის აღდგომით მათ სირცხვილად გადაექცათ“.⁸

„გათენება“ („თანაფა“) და „ცისკარი“ უნიკალური მოვლენის ბუნებრივი ხალხური სახელწოდებებია და ლოგიკური იყო რომელიმე მათგანის საეკლესიო ლიტურგიის ტერმინადაც ქცევა, მაგრამ ფაქტია, რომ კანონიკურ თარგმნელ ტექსტებში თავიდანვე დამკვიდრდა ტერმინები: „აღვსება“ და „აღდგომა“.

არსებულ ლექსიკონთაგან სულხან-საბას „სიტყვის ნა“ პირველია, სადაც **აღდგომა** დამოწმებულია, როგორც **აღდგომა**

⁷ **ხათუნა გოგია.** *ავიოგრაფიული ტრადიციები და სამეგრელოს ქრისტიანული რეალიები*, (თბილისი 2019) გვ. 132-134.

⁸ წმიდა იოანე ოქროპირი, აღდგომისათვის ჩვენისა იესო ქრისტესი: <http://www.orthodoxy.ge/tserilebi/oqropiri/agdgomisatvis.htm> (დამოწმება: 14.11.2019).

ქრისტესი;⁹ თუმცა, ი. აბულაძის მიერ დამოწმებული **აღდგომილი მკვდრებით** საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ წერილობითი ძეგლების სრულყოფილ ლექსიკონებში სულხან-საბამდევ უთუოდ გამოჩნდება „აღდგომა“ ზმნა ჩვენთვის საინტერესო სემანტიკით. ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს „აღდგომა“ ზმნის ბერძნული შესატყვისი: „ანასტასის“ (ანა - აღ; სტასის - დგომა): **ქრისტოს ანესტი! ქრისტე აღსდგა!**

არსებითაა სხვა გარემოებაც:

ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე მხოლოდ **აღვსება** ზმნა რომ ყოფილიყო ქრისტეს მკვდრებით აღდგომის აღსანიშნავად გამოყენებული, როგორ იქნებოდა შესაბამისი პირიანი ფორმა მესამე პირში? შდრ.: **აღდგომა - ის აღსდგა;** **აღვსება - აღივსო(?)** ასეთი ვარიანტი არც არქაულ ქართულში და არც სხვა ქართველურ ქვესისტემებში არ დასტურდება.

შდრ. ბერძნულენოვან ეკლესიაში ქრისტეს მკვდრებით აღდგომის კონტექსტში **ანესტი (აღსდგა)** არის ერთადერთი ფორმა, თუმცა, ლიტურგიის დროს გამოიყენება **პლეროსის** – „აღვსება“.¹⁰ „აღდგომა“ და „აღვსება“, ალბათ, პარალელურად გამოიყენებოდა ქართულ ენობრივ ველშიც: **აღდგომა – ქრისტე აღსდგა; აღვსება – დღესასწაული.**¹¹

⁹ **აღდგომა** განმარტებულია, ასევე, როგორც „ზე ამართვა“ (ს. ს. ორბელიანი, 1991), გვ. 75-76.

¹⁰ მასალის დაზუსტებისათვის მაღლობას ვუხდით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ქ-ნ თამარ მესხს.

¹¹ შდრ.: სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **აღვსებას**, როგორც ქრისტეს აღდგომის დღესასწაულის აღმნიშვნელ ტერმინს, საფუძვლად უნდა დასდებოდა დღესასწაულის დროითი კავშირი მთვარის აღვსებასთან (სავსე მთვარესთან). საგულისხმოა ისიც, რომ აღვსება უკავშირდება გაზაფხულს, დროს, როდესაც ბუნება ივსება ახალი სიცოცხლით, ახალი ძალით. **აღვსების**, როგორც დღესასწაულის, აღმნიშვნელ პარალელურ ტერმინებად წერილობით ძეგლებში ასევე გვხვდება **პასექი** და **ზატიკი** (ლ. ზაჭაპურიძე, 2017 გვ. 188-190).

ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში ¹² „აღდგომა“ ჩვეულებრივი ზმნაცაა და გამოკვეთილი **საეკლესიო ტერმინიცაა**:

აღდგომა (აღვსდგები) დადგომა, წარმოდგომა, აღმსობა (დაბად.20, 8; მარკ. 2,11), მიხდომა, ზედა დასხმა (ფსალ.3,1; დაბად.4,8...) // აღჭურვა, შებმა ბრძოლად (2. ნეშტ. 24, 23) // ამოსლვა ქარისა, ავდრისა და სხ. // განცოცხლება, აღდგომა მკუდრეთით (ლუკ.20, 37 და 8, 55...), **воскресать**...¹³

აღდგომა – საუფლო დღე პასექისა მოსახსენებლად მაცხოვრისა ჩუენისა მკუდრეთით აღდგომისა, **светлое воскресение** (იქვე).

აქ ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: პირველ პირში არანორმატიული ფორმაა (აღვსდგები): ერთპირიან პირველი პირის ფორმაში ნამდვილად ზედმეტია **-ს-** პრეფიქსი, რომელიც მესამე პირის ნიშანია; შესაძლებელია, ავტორმა „აღსდგა“ ფორმის ანალოგიით შექმნა ეს ვარიანტი (მოსალოდნელი იყო: აღ-ვ-დგ-ებ-ი).

ნ. ჩუბინაშვილის განმარტებებს თითქმის ზუსტად იმეორებს დ. ჩუბინაშვილი:

აღდგომა (აღვსდგები) – დადგომა, წარმოდგომა, აღმსობა (დაბად.20, 8; მარკ. 2,11), მიხდომა, ზედა დასხმა (ფსალ.3,1; დაბად.4,8...) / აღჭურვა, შებმა ბრძოლად (2. ნეშტ. 24, 23) // ამოსლვა ქარისა, ავდრისა და სხ. // განცოცხლება, აღდგომა მკუდრეთით (ლუკ. 20, 37 და 8, 55...), **воскресать**... „ავუდგენ მტერსა“, „აღუდგინა მეფედ დავითი“; „ქარი ან ავდარი აღდგების, ...ლიტრა ვერ ადგა, ე.ი. ლიტრა ვერ აიწონა...“.¹⁴

¹² ნიკო ჩუბინაშვილი. *ქართული ლექსიკონი*, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1961), გვ. 142.

¹³ ნ. ჩუბინაშვილი. *ქართული ლექსიკონი*... გვ. 142.

¹⁴ დავით ჩუბინაშვილი. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1984), გვ. 62.

„აღდგომა – საუფლო დღე პასექისა მოსახსენებელად მაცხოვრისა ჩუენისა მკუდრეთით აღდგომისა, светлое воскресенье“ (იქვე).

ნ. ჩუბინაშვილთან „აღვსება“ აღარ გვაქვს „აღდგომის“ მნიშვნელობით; დამოწმებულია ასეთი კონტექსტი: აღვსება – „სავსედ შექმნა“; მთოვარის გავსება, ბადრი მთოვარე, სავსედ შექმნა... თუმცა, იქვე „აღვსების დღენი“ განმარტებულია, როგორც „საუფლო პასექის წინა დღენი“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეატიომეულში, საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის გავლენით, ერთგვარად შეფუთულია **აღდგომის**, როგორც საეკლესიო ტერმინის, მნიშვნელობა; კერძოდ, ახსნილია, როგორც „ძველი“ სიტყვა: „1. სახელი აღდგება ზმნის მოქმედებისა“. ლექსიკონში, პირველ რიგში, წარმოდგენილია ფიგურალური კონტექსტები „[მზის] აღდგომასთან მნათობის სხივებად გადავიქცევით! (გ.ტაბ.). იმისთვის ტანჯვა – სიხარულია, მკვდრეთით აღდგომა – მისთვის სიკვდილი! (აკაკი)“... ამ მასალის შემდეგაა „აღდგომის“ „მეორე“ სემანტიკა და შესაბამისი განმარტება, სადაც ასახულია საბჭოური რელიგიური პოლიტიკა (ათეიზმის „კვალი“): „2. რელიგ. ქრისტეს ვითომც მკვდრეთით აღდგომის, გაცოცხლების დღესასწაული... // გადატ. დღესასწაული, ზეიმი; სასიხარულო დღე...“.¹⁵

გამარტივებულზმნისწინიანი ფორმა და დამოწმებული ათეისტური კონტექსტი („ქრისტეს ვითომც მკვდრეთით აღდგომა“) საკრალურობას უკარგავს რელიგიურ ტერმინს; ნიველირებულია ერთ-ერთი ტერმინოლოგიური მახასიათებელიც – მონოსემიურობა (ერთმნიშვნელობიანობა).

ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის გამოსახატავად „აღდგომა“ ზმნური ლექსიკური ერთეული უალტერნატივოა, მა-

¹⁵ *ქველ-ი* ტ. I, თბილისი: (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950), გვ. 745.

გრამ დღემდე საკამათოა პირიანი ფორმის ნორმატიულობის საკითხი: **რომელია მართებული: ქრისტე აღსდგა თუ ქრისტე აღდგა?**

პირველ რიგში, წარმოვადგენთ დოკუმენტურ მასალას (ხელნაწერების, საგალობლების მონაცემებს, პრესის მასალებს...), შემდეგ – საზოგადო მოღვაწეთა პოზიციას, ენათმეცნიერთა არგუმენტების კრიტიკულ ანალიზს და ბოლოს ჩვენეულ არგუმენტებსაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში თავიდანვე ყურადღება მიექცა ერთპირიანი (ერთგალენტიანი), მაგრამ ორპირისნიშნიანი **აღ-ს-დგ-ა** (ქრისტე) ფორმის კვალიფიკაციის საკითხს. ა. შანიძე, რომელმაც სამწიგნობრო ქართულის მასალაზე დაყრდნობით მონოგრაფიულად შეისწავლა მესამე ობიექტური და მეორე სუბიექტური პირის ნიშანთა განაწილების საკითხი, ყურადღება გაამახვილა „უსწორ-მასწორო ფორმების“ გაჩენასა და განზოგადების ორ მიმართულებაზე. მისი აზრით, „ერთმა იქამდე მიგვიყვანა, რომ სუბიექტ-ობიექტური პრეფიქსი **ჰ/ს** ისეთ ფორმებში გაჩნდა, სადაც მას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს, ხოლო მეორემ, პირიქით, სულ მთლად გამოდევნა იგი ხმარებიდან“. ¹⁶ „კერძო ხასიათის“ ანომალიური ფორმებისაგან განსხვავებით (რომელთა გაჩენის მიზეზიც, შეიძლებოდა ყოფილიყო „თვითეული ძეგლის თავისებურება“¹⁷, ასევე ავტორისა თუ გადამწერის ვინაობა და სხვ.), ა. შანიძე ცალკე გამოყოფს და „დამწერთა თუ გადამწერთა“ არცოდნით გამოწვეულ **შეცდომებად** განიხილავს **აღსდგა / აღვსდგე, შეჰკრბეს, დაჰვარის, ჰყვიან, სთქუა** ტიპის ფორმებს:

„ქრისტე **აღსდგა**“ (იერუს. განჩ. 92, 2-3 ქვ.; 93, 12-13), „აწ **აღვსდგე**“ (იქვე 89, 1-9); „**შეჰკრბეს** მღვდელთ-მთავარნი იგი“ (იერუს. განჩ. 84, 2-1ქვ.); „ანუ არა მეზუერეთაცა იგივე **ჰყვიან?** (მა-

¹⁶ **აკაკი შანიძე.** *თხზულებანი*, ტ. III, (მეცნიერება, თბილისი, 1981), გვ. 179.

¹⁷ მკვლევარს მაგალითად მოჰყავს მრჩობლი **ჰს** პრეფიქსის ხშირი გამოყენება ათონისა და ტბეთის სახარებაში (მათესა და მარკოზის თავში), განსხვავებით ძველი აღთქმის წიგნებისაგან.

თე 5, 46); “წყალმან დაჰფარის ზღუად“ (იერუს. განჩ.46, 18-20); ღმერთმან სთქუა (მათე 15, 4, ...სწორია: თქუა)...¹⁸

ა. შანიძის აზრით, XI-XVII სს. სამწიგნობრო ქართულში ჰ/ს პრეფიქსების გამოყენებასთან დაკავშირებული ნორმები მხოლოდ „შერყეული იყო“, მაგრამ XVIII საუკუნეში „ანტონ კათალიკოსმა დაუკარგა... ყოველგვარი სასიცოცხლო ძალა და უბრალო სამკაულად აქცია“, შესაბამისად, მათი „საჭიროების მიხედვით შეგნებულად ხმარება“ ვერ მოხერხდა მომდევნო პერიოდშიც. ა. შანიძე იმოწმებს და კრიტიკულად ანალიზებს XIX საუკუნის დასაწყისსა და 10-იან წლებში მოღვაწე გრამატიკოსების თვალსაზრისებსაც ჰ/ს პრეფიქსების ორთოგრაფიის შესახებ. მოკლედ წარმოვადგენთ მისეულ ანალიზს:

ა. შანიძე:¹⁹ ს. ხუნდაძე ეწინააღმდეგება ზმნებში ჰ- პრეფიქსის გამოყენებას, რამდენადაც „არც აზრისთვის“ მიაჩნია საჭიროდ და „არც კეთილხმოვანებისათვის“; სამაგიეროდ, აუცილებლად თვლის ს პრეფიქსის შენარჩუნებას, რომელიც (გარდა რამდენიმე გამონაკლისი ფორმისა: ვთრთი, ვთოხნი... ვცთილობ, ვწვალობ...), „ზმნებში გამოთქმას აძლევს სინაზეს, სინატიფეს, თანაც სიდარბაისლეს“;

ა. შანიძე:²⁰ პ. მირიანაშვილის მიხედვით, დაცული უნდა იქნეს „ვჰ პირველი, ჰ მეორე და ჰ მესამე პირის მაჩვენებელი“; ზმნური ფუძის დ, თ, ტ, ჩ, ც, ძ. წ. ჳ თანხმოვნებით დაწყების შემთხვევაში კი ჰ შეიცვალოს ს-ანად;

ა. შანიძე:²¹ „მ. ყიფიანი ცდილობს თეორიულად დაასაბუთოს ანტონ კათალიკოსის მიერ უკიდურესობამდე მიყვანილი ჰაეს ჰ-ს ხმარება...“

¹⁸ ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. III... გვ. 210, 213.

¹⁹ ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. III... გვ. 224-225.

²⁰ ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. III... გვ. 223.

²¹ ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. III... გვ. 224.

ა. შანიძე შენიშნავს, რომ აღნიშნულ გრამატიკოსთა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა და პრობლემის გადაჭრა ცალკეული მწერლის სუბიექტური დამოკიდებულების საკითხად იქცა. მაგალითისათვის ის იხსენებს ი. გოგებაშვილის მოთხრობის სათაურს: „იაენანამ რა ჰქმნა?!“ ²² და იმ ფაქტს, რომ პერიოდულ გამოცემათა სააღდგომო ნომრებში ყოველთვის იყო „ქრისტე აღსდგა“ /ხაზი ჩვენია – ტ.ფ.; ი.ვ./. საყურადღებოა მკვლევრის მიერ აქვე ჩანიშნული ინფორმაცია, რომ ერთხელ დავაც ყოფილა, თუ რომელი ფორმა იყო სწორი: **აღსდგა** თუ **აღზდგა**.²³

XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისის პრესაში, **ქრისტეს აღდგომის** დღესასწაულისადმი მიძღვნილი ორიგინალური პუბლიცისტური წერილებისა და ლექსების სათაურებში უგამონაკლისოდ დასტურდება ფორმა **აღსდგა**. ასეთია, მაგ.: ხალხური ლექსი „ქრისტე აღსდგა!“ გაგონილი რაჭაში დათეშიძისაგან ²⁴; გიორგი წერეთლის ლექსი „ქრისტე აღსდგა“; ²⁵ „ქრისტე აღსდგა“ (ლექსის ავტორი – ია /ფსევდ./); ²⁶ „ქრისტე აღსდგა“ (ლექსის ავტორი – რ. ხუნდაძე); ²⁷ „ქრისტე აღსდგა“ (ლექსის ავტორი – რ. ჩიქოვანი); ²⁸ „ქრისტე აღსდგა, მკითხველო“ (წერილის ავტორია არტემ ახნაზაროვი; ²⁹ „ქრისტე აღსდგა“ (ილიას მოწინავე); ³⁰ „ქრისტე აღსდგა“ (ლექსის ავტორია ს. ფაშალიშვილი); ³¹ „დღეს იგი აღსდგა“ (ლექსის ავტორი –

²² ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. III... გვ. 224-225.

²³ ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. III... გვ. 225.

²⁴ ჯეჯელი, 1892, N 3, გვ. 3.

²⁵ ჯეჯელი, 1900, N 4, გვ. 3.

²⁶ კვალი, 1894, N 15, გვ. 1.

²⁷ მწყემსი, 1895, N 7, გვ. 2.

²⁸ მწყემსი, 1897, N 8, გვ. 10.

²⁹ ივერია, 1898, N 73, გვ. 2.

³⁰ ივერია, 1904, N 77, გვ. 1.

³¹ ნაკადული, 1912, N 3, გვ. 3-4.

გ. შინატეხელი);³² 1913 წელს გამოვიდა საოხუნჯო აღმანახი სახელწოდებით: „ქრისტე აღსდგა“.

აღსდგა ფორმა დაცულია აღნიშნული პერიოდის თარგმანების ენაშიც; ასეთია, მაგ.:

- ვასილ ველიჩკოს პროზად თარგმნილი პოემა „ქრისტე **აღსდგა**“³³;

- რუსულიდან არქ. ნესტორის თარგმანი „ჭეშმარიტად **აღსდგა**“³⁴

- „ქრისტე რომ არ აღმდგარიყო, მაშინ ვინღა **აღსდგებოდა**? ქრისტე **აღსდგა**!“ ვკითხულობთ მღ. ნიკიფორე კანდელაკის თარგმანში, რომელიც ვლ. სოლოვიოვის მიხედვით არის შესრულებული...³⁵

ზოგიერთ ქართულენოვან პუბლიკაციაში სანიანი ფორმების პარალელურად თავს იჩენს გამარტივებულზმნისწინიანი ვარიანტებიც, ან **ს** ვლინდება პირველი პირის ფორმებშიც; მაგ., „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილია „ყვავის“ (შოი ჩიტაძე) მხატვრულ-პუბლიცისტური ჩანახატი სათაურით: „ქრისტე **აღსდგა**!“ დასაწყისი ფრაზაა „არა, არ **ამდგარა** ქრისტე!“ შემდეგ ტექსტის ბოლოში ვკითხულობთ: „მე **აღვსდგები** მაშინ, როდესაც სიმართლე და სიყვარული გამეფდება დედა-მიწაზედ“. არა, არ **ამდგარა** ქრისტე!“³⁶

იგივე ითქმის ონოფრე მწირის (ფსევდ.) წერილზე, რომლის სათაურია „ქრისტე **აღდგა**!“, დაიბეჭდა „შინაურ საქმეებში“; ტექსტში ვკითხულობთ: ქრისტე **აღსდგა**! სიკვდილის მეფობა დაეცა“;

³² *თეატრი და ცხოვრება*, 1914, N 5, გვ. 14.

³³ *ივერია*, 1894, N 157, გვ. 2.

³⁴ *შინაური საქმეები*, 1912, N 11 გვ. 3-7.

³⁵ *შინაური საქმეები*, 1910, N 17, გვ. 17, გვ. 3.

³⁶ *ცნობის ფურცელი*, 1905, N 2799, გვ. 1.

„ქრისტე რომ არ ამდგარიყო, ვინ შეიძლებდა აღდგომას? ქრისტე აღსდგა!“; ტექსტის ბოლოს ისევ: „ქრისტე აღდგა!“.³⁷

„საქართველო აღსდგა... უღელი გადატყდა“ – წერს მარო მაყაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით (უცნობი ფურცლები მარო მაყაშვილის დღიურიდან).³⁸

„აღსდგა გმირი! ერის დროშა მტკიცე ხელით ზე ასწია“ წერს პოეტი ლილია მგალობლიშვილი ლექსში, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის ორი წლის თავს მიუძღვნა.³⁹

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პერიოდულ გამოცემათა სააღდგომო ნომრების გარდა, მხოლოდ ქრისტე აღს(ზ)დგა ვარიანტს იყენებენ ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა; იხ., მაგ.:

წმიდა ილია მართალი: „ქრისტე აღზდგა! აღზდგა მაცხოვარი კაცობრიობისა! მთელის ქვეყნის ქრისტიანობა ჰგალობს დიდებულს საგალობელს ქრისტეს აღზდგევისას. დიდი და პატარა სიხარულით ჰლაღადებს: „ქრისტე 1910, აღზდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“. ქრისტიანობამ იცის – რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით აღზდგა ქრისტე და აღადგინა თვისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, თვისი ახალი ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა“.⁴⁰

ვაჟა-ფშაველა 1906 წელს დაწერილ წერილში „დიდ-მარხვა“ იმეორებს სააღდგომო საგალობლის სიტყვებს: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“ და შემდეგ ლექსით აგრძელებს:

³⁷ შინაური საქმეები 1910, N 16 გვ. 7-8.

³⁸ კომუნისტ, თბილისი. 1990, 26 მაისი.

³⁹ იხ. თეატრი და ცხოვრება, 1920 წ., 19, გვ. 15.

⁴⁰ <https://matiane.wordpress.com/2016/04/30/ilia-chavchavadze-easter-editorial/?fbclid=IwAR06cyKPGToWbcft-FHBeyPMitzPB2pOPWD2vJh7wTV9jEfgZtNQBgLOZUk> (დამოწმება: 06.02.2020).

„...**აღსდგება** ქრისტე, **აღსდგება**, /დიდის ტანჯვისა მნახველი, / იმასთან ერთად **აღსდგება** / ქრისტეს მოსავთა სახელი“.⁴¹

იხ. ასევე: „ხალხი აზვიროდა, ხალხი **აღსდგა**, ხალხი მოქმედობს“.⁴²

1886 წლის 24 დეკემბრის წერილში „შობა მაცხოვრისა“ ილია წერს: „მას აქეთია **აღსდგა** ქვეყანა ახალის აღთქმისა, ახალი ცხოვრებისათვის...“⁴³

აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავში“ (1884 წ.) ვკითხულობთ: „საქართველო **აღსდგა** მკვდრეთით!“.⁴⁴ ასევე ცნობილია პოეტის 1894 წელს დაწერილი ლექსი „ქრისტე **აღდგა**“,⁴⁵ რომლის ტექსტშიც დასტურდება ნორმის მერყეობა, კერძოდ: სამჯერ უსანო **აღდგა** (სათაურში, მეხუთე და მეექვსე სტროფებში), ერთხელ უსანოდ და გამარტივებული ზმნისწინით **აღგა** (მეოთხე სტროფში): შდრ.:

„**აღდგაო** მკვდრეთით ჯვარცმული“ (მე-5 სტროფი, მე-4 სტრიქონი); „**აღდგა** ვინც სისხლი დაჰთხია“ (მე-6 სტროფი, 1-ლი სტრიქონი);

„აწ გიხაროდენ, **ზე აღგა** იესო ნაზარეველი“ (მეოთხე სტროფი, მე-4 სტრიქონი).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი თუ თანამედროვე თაობის სასულიერო წრის წარმომადგენელთა დამოკიდებულება

⁴¹ **იაკობ-ფშაველა**. *თხზულებანი*, ტ. V, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1961), გვ. 223.

⁴² **ილია ჭავჭავაძე**. *თხზულებანი*, ტ. I, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1987), გვ. 200.

⁴³ <http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=91&id=2353> (დამოწმება: 06.02.2020).

⁴⁴ **აკაკი წერეთელი**. *რჩეული ნაწარმოებები*, ტ. II, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1989), გვ. 33.

⁴⁵ **აკაკი წერეთელი**. *რჩეული ნაწარმოებები*, ტ. I, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1988), გვ. 405.

აღსდგა/აღდგა ფორმებისადმი. წარმოვადგენთ რამდენიმე მაგალითს ქადაგებებიდან:

„...მტკიცის სარწმუნოებით ღალად-ვჰყოთ: ქრისტე **აღსდგა** მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა. ამინ“.⁴⁶

„ღღეს **აღსდგა** ქრისტე და ამით დასთურგნა, შემუსრა და განაქარვა მანქანებანი ეშმაკისა. ღღეს **აღსდგა** ქრისტე, და ამით განგვიხსნა ყველას ბჭენი სამოთხისანი...“.⁴⁷

„...ქრისტე **აღსდგა! აღსდგა** წყარო ცხოვრებისა და ჭეშმარიტებისა...“, „ჭეშმარიტად **აღსდგა** ქრისტე!“.⁴⁸ **აღსდგა** ფორმა დასტურდება პატრიარქის 2018 წლის 8 აპრილის სააღდგომო ეპისტოლეში,⁴⁹ მაგრამ 2019 წლის სააღდგომო ეპისტოლეს ტექსტურ ვარიანტში არის **აღდგა**.⁵⁰ ...აღსანიშნავია ისიც, რომ ილია II-ის სხვა ტიპის ტექსტებშიც დასტურდება ორივე ფორმა, მაგ.: „მე მწამს, რომ... კვლავ **აღდგება** ტრადიციული კავშირი საქართველოსა და წმიდა მთის ივერიის მონასტერს შორის... ჩვენ გვსურს, რომ **აღსდგეს** ის კავშირი, რომელიც არსებობდა

⁴⁶ ნაწევები დეკ. კ. ცინცაძის ქადაგებიდან, რომელიც ეძღვნება მთავარ-მოწამე გიორგის ხსენებას: სიტყვა, აპრილის 23, გიორგობა-ღღეს, ქადაგებანი, 1913 წელი, 4 აპრილი, გვ. 19.

⁴⁷ ნაწევები ეპისკოპოს ლეონიდის ქადაგებიდან „ქრისტე აღსდგა!“ ქადაგებანი, 1913 წ. 4 აპრილი, გვ. 11.

⁴⁸ ნაწევები ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლედან: ჯვარი ვაზისა, 1981 წ. 1, გვ. 3, 5.

⁴⁹ https://www.imedi.ge/ge/video/22933/imedis-kvira--8-aprili-2018-tseli_ (დამოწმება: 06.02.2020).

⁵⁰ <https://on.ge/story/36963-%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1-2019-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%93%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9D-%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93> (დამოწმება: 13.12.2019)

საქართველოსა და ივერიის მონასტერს შორის... [საქართველოს საპატრიარქო]... იმედოვნებს... კიდევ უფრო დაუახლოვდეს მას... რათა კვლავ **აღსდგეს** ძველი ათონი“.⁵¹

საბჭოთა ეპოქაში, როდესაც აიკრძალა რელიგია, ბუნებრივია, ძალიან მწირია საანალიზო მასალა, თუმცა, არარელიგიურ კონტექსტში ინერციით მაინც ვლინდება ს-. ამ თვალსაზრისით საინტერესო მაგალითებია, მაგ., ა. სუფსელის ლექსი „აღსდგა მუშა“.⁵² ნ. ზომლეთელის პოემა „აღსდგა სინათლე“ (1928); გ. ცანავას ლექსი „ღონბასი აღსდგა“;⁵³ ვ. თოდუას ლექსი „აღსდგა ქალაქი“).⁵⁴ „ხალხი აღსდგა“ საგაზეთო პუბლიკაცია რუსთაველის თეატრის ამავე სახელწოდების სპექტაკლის პრემიერაზე⁵⁵ და სხვ.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, არანორმატიულია „აღსდგა სინათლე“ ტიპის შესიტყვების ერთპირიან (/ერთვალენტიან) ზმნურ ფორმაში ორი პირის ნიშნის არსებობა (სწორია სინათლე აღდგა), მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში „ქრისტე აღდგა“ ფორმის პარალელურად, გამონაკლისის სახით, დასაშვებადაა მიჩნეული „ქრისტე აღსდგა“, კერძოდ:

აღნიშნული ფორმის გამოყენება „მორწმუნის სუბიექტური არჩევანის საკითხად“ მიაჩნიათ.⁵⁶

ბ. ჯორბენაძის აზრით, „მორფოლოგიურად ზედმეტი“ ს- პრეფიქსი, როგორც არაძირითადი, ფაკულტატიური საშუალება, ასრულებს ერთი სიტყვის („აღდგება“) განსხვავებულ მნიშვნელობათა („1. გაცოცხლდება; 2. განახლდება, აღორძინდება...“) ფორმო-

⁵¹ ნაწყვეტი მცხეთის სასულიერო სემინარიის პედაგოგ ი. ჭეიშვილის წერილიდან: ჯვარი ვაზისა, 1981 წ. 1, გვ. 33-35.

⁵² კომუნისტი, თბილისი, 1921, 7 ოქტომბერი, გვ. 2.

⁵³ სტალინის დროშა, 1943, N 48, გვ. 48.

⁵⁴ მეზნებარე კოლხიდელო, 1946, N 29, გვ. 29.

⁵⁵ კომუნისტი, თბილისი, 1941, 3 დეკემბერი.

⁵⁶ http://www.ambioni.ge/qriste-agdga-tu-agsdga_ (დამოწმება: 06.02.2020).

ბრევად გარჩევის ფუნქციას; შდრ.: „ქრისტე აღ(ს)დგა“ და „დანგრეული ქალაქები აღდგა“...; ⁵⁷ მნიშვნელობათა დიფერენციაციის საკითხთან დაკავშირებით, იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, 1970, გვ. 169-170 ⁵⁸; ა. შანიძე, 1980, გვ. 249;⁵⁹ ბ. ფოჩხუა, 1970, გვ. 209-210.⁶⁰

შ. აფრიდონიძე წერს: „მკაცრად ვერ ვიმსჯელებთ ძველი ქართულიდან მომდინარე ტრადიციულ ქრისტიანულ ფორმულაზე „ქრისტე აღსდგა“, რომელიც გამონაკლისის სახით შეიძლება უცვლელი დარჩეს. სხვა შემთხვევაში ს-თავსართი ამ ერთპირიან ზმნაში სრულიად ზედმეტია (ტრადიცია აღდგა და არა: აღსდგა)“. ⁶¹ ანალოგიურია მკვლევრის პოზიცია „ამბიონისათვის“ მიცემულ ინტერვიუში: შ. აფრიდონიძე აღსდგა ფორმას დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ „ხმარების ხანგრძლივი საეკლესიო ტრადიციისა და მისი თანმხლები კოლორიტის“ გამო.⁶²

ნ. საზიაშვილის წერილში „ქრისტე აღდგა“ თუ ქრისტე აღსდგა“ გაკეთებულია ლოგიკური დასკვნა: „ქრისტე აღსდგა!“ – „ჭეშმარიტად“, როგორც ქრისტიანული ტერმინი – მილოცვის ფორმულა... უყოყმანოდ სოციალური სანქციის მფლობელია“.⁶³

⁵⁷ ბესარიონ ჯორბენაძე. *ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები*, (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი, 1985), გვ. 51-52, 248.

⁵⁸ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, (მეცნიერება, თბილისი, 1970); გვ. 169-170.

⁵⁹ ა. შანიძე. თხზულებანი, ტ. III... გვ. 249.

⁶⁰ ბიძინა ფოჩხუა. *ქართული ენის ლექსიკოლოგია*, (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1970) გვ. 209-210.

⁶¹ შუქია აფრიდონიძე. *ჩვენი ენა ქართული*, (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა თბილისი, 2009), გვ. 113.

⁶² <https://www.ambebi.ge/article/233716-kriste-agdsdga-tu-agdga-romelia-scoriporma/> (დამოწმება: 06.02.2020).

⁶³ ნინო საზიაშვილი. „ქრისტე აღდგა“ თუ „ქრისტე აღსდგა“, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი XIV, (თბილისი, 2014), გვ. 216.

ჟ. ფეიქრიშვილი, რომელიც, ფაქტობრივად, იმეორებს ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისს, წერს: „რამდენადაც ზმნის ერთი – **აღღა** ფორმით უნდა გამოხატულიყო ორგვარი სემანტიკა, ამიტომ ენამ ბუნებრივად, შინაგანი კანონზომიერებიდან გამომდინარე, მოახდინა მნიშვნელობათა დიფერენციაცია პარალელური **აღღა/აღსღა** ფორმებით: პირველი გრამატიკულად მართებულია, მას უკავშირდება ნეიტრალური შინაარსი – მხოლოდ ძველის აღდგენა-განახლება, მეორე კი სტილისტურ-ემოციურად სხვა შეფერილობის მქონეა, ზეაღმატებული შინაარსისაა, გულისხმობს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას, გაცოცხლებას. ამ განსხვავებული სემანტიკის გამოხატვა ზმნაში დაეკისრა გრამატიკულად უფუნქციო პირის ნიშანს **ს** პრეფიქსს, ანუ სხვაგვარად **აღსღა** ფორმაში **ს** პრეფიქსის ფუნქცია არის სიტყვის სემანტიკური ელფერის შეცვლა და არა პირის გამოხატვა... სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, **აღსღა**, როგორც გამონაკლისი, მიჩნეულ იქნა დასაშვებ (მართებულ) ფორმად“.⁶⁴

დ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, რომელიც მკვლევარმა ჩვენთვის გამოგზავნილ პირად ელექტრონულ წერილში დააფიქსირა, **აღსღა** კანონიკური ფორმაა, რადგან ისტორიულად **აღსღა** ორგალენტისა და ორპირიანი იყო:

„ვინ დაასკვნა, რომ ეს ფორმა გრამატიკულად მცდარია? ეს არის ე.წ. „დაჰბადა“ ტიპის ზმნა: დაჰბადა მან იგი ქუეყანასა (ზედა); დაებადა იგი ქუეყანასა > ქვეყანაზე; და (ჩა)ჰფლა მან იგი მას (ქუეყანასა = მიწასა>(ში); დაეფლა იგი მიწასა > მიწაში; **აღსღა** იგი ქუეყანასა(ა)>ზე.... ამ ტიპის სამპირიანი ზმნების კონვერსიული ორპირიანი ე-პრეფიქსიანი ფორმის მიცემითბრუნვიან ობიექტს -ზე და -ში თანდებული დაერთო და ზმნა ერთპირიანად იქცა: შესაბამისად, ე- პრეფიქსი შეცვალა ი- პრეფიქსმა (დაებადა> დაიბადა იგი, ჩა/დაეფლა > ჩა/დაიფლა) იგი. თუმცა კი ზოგჯერ

⁶⁴ **ჟუჟუნა ფეიქრიშვილი**. ქრისტე აღღა თუ აღსღა? საბა, N 17, 2017, გვ. 17.

ე-პრეფიქსიანი ფორმაც იხმარება (ჩაეფლა იგი ტლაპოში). რაც შეეხება **აღსდგა** (იგი მას) ორპირიან ზმნას, აქაც იგივე მოხდა: ორი პირიდან ერთი – ობიექტი დაიკარგა: **აღსდგა** იგი მას >**აღდგა** იგი. შესაბამისად, ზედმეტი პირის ნიშანიც დაიკარგა, მაგრამ ეს არ შეხებია მაცხოვრის, ქრისტეს აღდგომის დღესასწაულს: ამიტომ სწორედ მხოლოდ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე ითქმის: **ქრისტე აღსდგა** მკვდრეთით (ქუესკნელით, ჯოჯოხეთით), სიკუდილისა სიკუდილითა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი".

ძირითადად სოციალურ ქსელში აქტიურობს **ფილოლოგიის დოქტორი ლ. ლეინჯილია**, რომელიც წერს (11.04.2015): „ქრისტე აღდგა! გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ერსაც და ბერსაც, რომ სწორია ფორმაა „ქრისტე აღდგა!“ -ს-ს გარეშე!!! {და არა "აღ-ს-დგა"!}. სასურველია, მილოცვის დროს ეს გავითვალისწინოთ! ღმერთმა მრავალს დაგასწოროთ ბედნიერად!“⁶⁵ **ლ. ლეინჯილია სხვაგან უფრო მწვავედ წერს:**

„ოთხთავში „აღსდგა“ არ იხმარება... ზოგი არგუმენტად იმას იშველიებს, რომ პატრიარქი ასე ამბობსო. პატრიარქი "სკამებსაც" ამბობს, მაგრამ სალიტერატურო ენა მრ. რიცხვში მაინც „სკამებს“ ირჩევს. მოცილე ორთოგრაფიულ ფორმათაგან, ბუნებრივია, გრამატიკულად გამართულს უნდა მიენიჭოს უპირატესობა; ეს საკითხი ადვილად მოსაგვარებელია, თუ ეკლესია მოისურვებს და მრევლსაც ურჩევს. ისევე, როგორც „მამაო მოვიდა“ და „დედაო მითხრა“ ტიპის გამოთქმებს არაფერი ეშველება, თუ სასულიერო პირებმა ეს მკაფიოდ არ განუმარტეს მორწმუნეებს (და არამხოლოდ). ასე რომ... ქრისტე აღდგა! ვისაც -ს-ანის ჩართვა ექსპრესიის გასაძლიერებელ ხერხად მიაჩნია, ბარემ "აღსდგომაც"

⁶⁵ <https://www.facebook.com/stsoria.arastsoria/posts/949536698401001/> (დამოწმება: 06.02.2020).

დაამკვიდროს და უფრო შორსაც წავალთ“... „ქრისტე აღდგა!“ მაინც ახარეთ ერთმანეთს სწორად!!! (-ს-ს გარეშე!!!)“; „სააღდგომო ეპისტოლეში პატრიარქმა ბრძანა – ქრისტე აღდგაო (-ს-ს გარეშე!!!);⁶⁶ იქნებ მისი მაინც ისმინოთ, ჩემი თუ არ გჯერათ??⁶⁷

სოციალურ ქსელშივე განსხვავებულ თვალსაზრისს ავითარებს **პროფესორი თ. გვანცელაძე** (11.04.2015): „მართალია, წმინდა გრამატიკული თვალსაზრისით ფორმა „აღსდგა“ არ არის მართებული და მასში ს თანხმოვანი ზედმეტია (უფუნქციოა), მაგრამ ეს ვარიანტი უკვე ძველქართული ტექსტებიდან დასტურდება და გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. „აღდგა“ და „აღსდგა“ ვარიანტაგან ვისაც რომელი მოსწონს, ის შეუძლია გამოიყენოს, მით უმეტეს, რომ ოფიციალურად არცერთი არ არის დაკანონებული“. ⁶⁸

სოციალურ ქსელშივე გამოქვეყნდა **ტ. ფუტყარაძის** ორი წერილი: „ქრისტე აღსდგა!“ (01.05.2016) და „ქრისტე აღსდგა თუ ქრისტე აღდგა?“ (29.04.2019). დავიმოწმებთ მხოლოდ დასკვნებს:

„ქრისტეს აღდგომა გამორჩეული მოვლენაა, შესაბამისად, ენა/ხალხი ცდილობს, ამ უნიკალური მოვლენისათვის დაამკვიდროს განსაკუთრებული ენობრივი გამოხატულებაც. ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ ისმის აღზდგა, თუმცა, წერილობით ნორმად უნდა

⁶⁶ <https://www.etaloni.ge/geo/main/index/7738> (დამოწმება: 06.02.2020).

⁶⁷ <https://paqtebi.ge/?p=25270> (დამოწმება: 06.02.2020).

http://www.resonancedaily.com/mobile/index.php?opt=opn&id_rub=1&id_artc=69917

<https://www.primetime.ge/news/1556449193%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1->

<http://cnobisfurceli.ge/8319-2-qriste-agdga-tu-agsdga-enatmecnieris-emociuri-posti/>

<http://cnobisfurceli.ge/8319-2-qriste-agdga-tu-agsdga-enatmecnieris-emociuri-posti/>

⁶⁸ <https://www.facebook.com/stsoria.arastsoria/posts/949536698401001/> (დამოწმება: 06.02.2020).

დამკიდრდეს: ქრისტე აღსდგა! გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოებაც: „აღსდგა“ ვარიანტში -ს- არამხოლოდ განარჩევს ზმნის ფორმას, არამედ ექსპრესიულობას მატებს ზმნის სემანტიკა-საც“⁶⁹ ...ქრისტეს აღდგომის უნიკალურობის გამო ქართულ ენობრივ მსოფლალქმაში (ენობრივ ფსიქოლოგიაში) არის ძლიერი ტენდენცია, არაჩვეულებრივი მოვლენა – ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა – განსხვავდეს ჩვეულებრივი მოვლენებისგან: ხიდის აღდგენისაგან, გარიცხული სტუდენტის აღდგენისაგან და სხვ. ...შესაბამისად, გამონაკლისის წესით, ნორმატიულ გამოთქმად უნდა მივიჩნიოთ **ქრისტე აღსდგა!**⁷⁰

სპეციალისტთა გორებული პოზიციის შესაბამისად, ყოველ წელს აღდგომის დღესასწაულის დღეებში სოციალურ ქსელში მიმდინარეობს გაუთავებელი კამათი თემაზე: „აღსდგა“ ფორმაა მართებული თუ **აღდგა?** წარმოვადგენთ ორ საპირისპირო მოსაზრებას:

თეა დარახველიძე: „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (ა. ჩიქობავას სახელობით ენათმეცნიერების ინსტიტუტი): აღდგება; აღდგა [და არა აღსდგება, აღსდგა], მაგრამ: ქრისტე აღსდგა (ტრადიც.).⁷¹

მარინა ჯღარაკვა: ქრისტე აღსდგა! – ამ ფრაზაში ბევრი რამაა ნაგულისხმევი... ზმნა „აღ-ს-დგ-ა“ ორპირიანად აღიქმება (აღსდგა ის მას, ანუ აღუდგა ის მას (სიკვდილს), გაცოცხლდა,...

⁶⁹ <https://www.facebook.com/notes/tariel-putkaradze/%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%92%E1%83%90/10153630570990678/> (დამოწმება: 06.02.2020).

⁷⁰ <https://www.facebook.com/notes/tariel-putkaradze/%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94-%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%92%E1%83%90/10156368352255678/> (დამოწმება: 06.02.2020).

⁷¹ <https://www.facebook.com/791344577553548/posts/949536698401001> (დამოწმება: 06.02.2020).

(„აღდგა“ ერთპირიანია... მარტივი... უფრო გვიანი, ანუ ახალი ფორმაა და მხოლოდ ერთი გაგება აქვს...) ⁷²

თანამედროვე პრესის ენაში აღსდგა ფორმა აქტიურად გამოიყენება, როგორც ტერმინოლოგიური, ისე საერთოენობრივი მნიშვნელობებით; მაგ.:

- სოფიო თავაძე, „ქრისტე აღსდგა! მარხვა სინანულისა, აღდგომა სიხარულისა!“ ინტერვიუ მღვდელ კონსტანტინე ლეკიშვილთან.⁷³

- ლელა ჩხარტიშვილი, „ქრისტე აღსდგა, მაშასადამე, სიცოცხლე სიკვდილზე ძლიერია“;⁷⁴

- მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „ქრისტე აღსდგა! - საქართველო აღსდგა“;⁷⁵

- მირიან სხირტლაძე, პროტოდიაკვანი, „აღსდგა ქრისტე და ჩვენც თანა აღგვადგინა“: სახარება: იოანე, 1 თავი, აღდგომის სახარება, 1-17 მუხლები;⁷⁶

- ნ. ლორთქიფანიძე, „...და ქრისტე აღსდგა ჩემს გულში“: ამხანაგის ნათქვამიდან: ლიტერატურული ჩანახატი...⁷⁷

- ნ. თარგამაძე, „ვახტანგ რჩეულიშვილი ვიცე-სპიკერად აღსდგა: ამის აღსანიშნავად მისმა მეუღლემ პარლამენტარები „არმაზში“ აქეიფა“;⁷⁸

⁷² <https://www.facebook.com/791344577553548/posts/949536698401001> (დამოწმება: 06.02.2020).

⁷³ *კარიბჭე*, მართლმადიდებლური ჟურნალი, 2008, N 8(95), გვ. 46.

⁷⁴ *კარიბჭე*, მართლმადიდებლური ჟურნალი, N 8 (95), 2008, გვ. 21.

⁷⁵ *კრიალოსანი*, ქართული ქრისტიანული ჟურნალი, 2008, N 4/38, თბილისი, გვ. 5.

⁷⁶ *სარკე*, 2010, N 14, გვ. 10.

⁷⁷ *ქართული*: გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო, მიუნჰენი, 2009, N2 (21), გვ. 31.

⁷⁸ *რეზონანსი*, 1997, N 192; 2000, N 265, გვ. 7.

- ლ. გიორგაძე, „როგორ „აღსდგა“ მკვდრებით“ ტრიბუნაზე აფეთქებული „მოციქული“, რომელმაც უშიშროების დავალებით სამმილიონიანი სექტა შექმნა ამერიკაში“: საიდუმლო სპეცოპერაციები;⁷⁹

- დ. მიქაძე, „ჩატეხილი ხიდი“ აღსდგა;⁸⁰
- [ჟურნალი] „ცისკარი“ აღსდგა;⁸¹
- საქართველოში პროფსასწავლებლები აღსდგა;⁸²
- ეგვიპტელი ინვესტორების საქართველოს მიმართ ინტერესი აღსდგა – მთავარი თემა;⁸³

- მ. აშულიშვილი, სალონური შეხვედრების ტრადიცია აღსდგა...⁸⁴

- დ. ბაქრაძე, ესპანეთი ბასკთა სეპარატიზმის წინააღმდეგ აღსდგა...⁸⁵

ეფიქრობთ, „აღსდგა“ ფორმა კანონიკურად უნდა ჩავთვალოთ მხოლოდ ქრისტეს აღდგომის კონტექსტში. წინა თაობების მეცნიერების ლოგიკური თვალსაზრისებისა და, რაც მთავარია, დოკუმენტური მონაცემების გათვალისწინებით, წარმოვადგენთ რამდენიმე არგუმენტს:

1. -ღვ- ზმნური ძირიდან აღ-/ა- ზმნისწინით ნაწარმოებ ერთპირიან ზმნურ ფორმათა სხვადასხვა ფორმებს ენის განვითარების ამ ეტაპზე უკვე განაწილებული აქვთ თავიანთი სემანტიკური ველი; კერძოდ, წყვეტილის (ნამყო სრულ) მწკრივში ღვ-

⁷⁹ თბილისელები, 2008, N 7, გვ. 58.

⁸⁰ საქართველოს რესპუბლიკა, 1994, N 124 (926) გვ. 4.

⁸¹ კალმასობა, 2006, N 4, გვ. 16.

⁸² აღია, 2007, N 109 (2082), გვ. 6.

⁸³ საქართველოს ეკონომიკა: სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, 2013, N 14 (188), გვ. 10.

⁸⁴ ავერსი, შემეცნებით-გასართობი სამედიცინო ჟურნალი, 2015 N 5 (122), გვ. 60-61.

⁸⁵ რეზონანსი, 1997, N 192, გვ. 6.

ზმნური ძირიდან ალ-/ა- ზმნისწინით ნაწარმოები ერთპირიანი (/ერთვალენტიანი) ზმნური ფორმა სამი ფონეტიკური ვარიანტით რეალიზდება, რომელთაც გარკვეულწილად განსხვავებული სამი სემანტიკა და სამი სხვადასხვა საწყისი აქვთ (მდრ., ზემოთ ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისი):

- ალ-ს-დგ-ა ქრისტე (სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი)! /=აღდგომა/;

- ალ-დგ-ა: ურთიერთობა, ზიდი, ნაგებობა, გზა... /=აღდგენა/;

- ა-დგ-ა: ბავშვი, სტუმარი, მგზავრი... /=აღდგომა/.

პირველი მნიშვნელობის გამომხატველი ფორმა უნიკალურია: მას არ ეწარმოება არც სხვა პირები და არც სხვა მწკრივები. **მეორე მნიშვნელობის** გამომხატავი ზმნური ფორმა რეალიზდება ყველა პირში, არა აქვს აწმყო დროის გამომხატველი საკუთარი ფორმა, მაგრამ აქვს მომავალი დრო: „აღდება“. **მესამე მნიშვნელობით** დადასტურებულ ფორმას ეწარმოება სამივე პირისა და ყველა დროის ფორმა: ვ-დგ-ებ-ი, დგ-ებ-ი, დგ-ებ-ა... მომავალ დროში: ა-ვ-დგ-ებ-ი, ა-დგ-ებ-ი, ა-დგ-ებ-ა...

წარმოდგენილი ვარიანტებიდან მესამეს ყველაზე ნაკლები პერსპექტივა აქვს, იქცეს ტერმინოლოგიური შესიტყვების ერთ-ერთ კომპონენტად. ზოგი სპეციალისტი რელიგიურ ტერმინად დასამკვიდრებლად გვთავაზობს მეორე ფორმას (აღდგა). ტერმინისათვის მნიშვნელოვანია უნიკალურობა, ვიწრო სემანტიკა, შესაბამისად, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, მხოლოდ **პირველი ფორმაა საინტერესო და ნორმატიულ ფორმად უნდა დამკვიდრდეს აღსდგა.**

აქვე აღვნიშნავთ: როგორც წესი, ზეპირ მეტყველებაში ორ მჟღერ თანხმოვანს შორის მოქცეული „ს“ მჟღერდება: **ალ-ს-დგ-ა > ალ-ზ-დგ-ა.** იშვიათად, ფონეტიკური პროცესი შეიძლება განვითარდეს საპირისპირო მიმართულებითაც: ზეპირ მეტყველებაში **ს-ს** გავლენით შეიძლება დაყრუვდეს წინამავალი „ლ“: აღსდგა >

ახსდება. ყველა შემთხვევაში, გრამატიკული ნორმა უნდა იყოს **აღსდგა**“.

კოფიქრობ, ლოგიკურია, შევინარჩუნოთ სამივე ფორმოზრივი კარ-იანტი (აღსდგა, აღდგა, ადგა), რამდენადაც ისინი სხვადასხვა ფორმაწარმოებითი პარადიგმის წევრები არიან და მათ სამი სხვადასხვა სემანტიკა უკავშირდება (აღდგომა, აღდგენა, ადგომა). არალოგიკურია, პირველი და მეორე ფორმების დაპირისპირების ნიველირებით ერთ ფორმასთან დავუშვათ ორი განსხვავებული მნიშვნელობა: „აღდგომა“, ასევე, „აღდგენა“.

2. თანამედროვე ნორმების მიხედვით, -ს- პირის ნიშანი უფუნ-ქცია, ზედმეტია, ანუ გრამატიკულად მცდარია ფორმა „აღსდგა“, მაგრამ, ამავე დროს, როგორც უკვე შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, აღ-ს-დგ-ა გამოყენებულია უნიკალური მოვლენის – ძე ღმერთის „საფლავიდან აღდგომისა“ და ცად ამალლების – გამოსახატავად. ამ უნიკალურ კონტექსტში დღეს -ს-ს უთუოდ ეძლევა ექსპრესიულობის გამოხატვის ფუნქცია, რაც, საბოლოო ჯამში, ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილებას აპირობებს (-ს-დართული ფორმა სხვა ლექსიკურ მნიშვნელობას იძენს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ -ს- სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ხდება);

3. ზიდი აღდგა, გარიცხული სტუდენტი აღდგა (ბ. ჯორმენაძის საინტერესო მაგალითია!), წყლის მოწოდება აღდგა... ტიპის ფორმებში სუბიექტი პასიურია, ქრისტე აღსდგა შესიტყვებაში კი ქრისტე, უფალი თავადაა მოქმედიც, თვითაღმდგენიც...

შდრ.: აქტიური სუბიექტი – პასიური სუბიექტი:

- **მშენებელი** (აქტიური) აღადგენს ხიდს – ხიდი (პასიური) აღდგა; რექტორი (აქტიური) აღადგენს სტუდენტს – სტუდენტი (პასიური) აღდგა;

- **ქრისტე** (აქტიური) **აღსდგა** /უფალი თავისი ძალითა და ნებით აღსდგა/.

შესაბამისად, კარგი იქნება, რომ ამ ფორმების ნორმატიული ვარიანტების დადგენისას გავითვალისწინოთ **ენობრივი ფსიქოლოგია**.

4. ლექსიკურ-სტილისტური განსხვავებულობის გარდა, უთუოდ დგას უსანო და სანიანი ფორმების სტილური დიფერენციაციის საკითხიც: აღდგა მრავალმნიშვნელობიანი ლექსემაა, რომელიც ერთადერთ ფორმად უნდა დამკვიდრდეს საერო მეტყველებაში, ხოლო „ქრისტე აღსდგა“ შესიტყვება ძირითადი ფორმაა საეკლესიო სტილით მეტყველებისას, მრევლის მეტყველებაში თუ საადღგომო მილოცვის ფორმულაში (ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად აღსდგა!); შესაბამისად, ვერ მივიღებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულ შეხედულებას **აღსდგას**, როგორც „გამონაკლისის, ...დასაშვებ (მართებულ) ფორმად“ მიჩნევის თაობაზე. ამ გზით თუ წავალთ, ასევე გამონაკლისად უნდა ჩავთვალოთ საეკლესიო-მწიგნობრული სტილისათვის სპეციფიკური სხვა ტერმინები თუ ტერმინოლოგიური მნიშვნელობის მქონე შესიტყვებები და, ზოგადად, რუდიმენტულ მოვლენად გამოვაცხადოთ საეკლესიო სტილი. ქართული სამწიგნობრო ენის **საეკლესიო სტილი, როგორც არქაიზებული მოვლენა**, დღესაც ფართოდ გამოიყენება საეკლესიო პირებისა თუ მრევლის მეტყველებაში.

აქვე დავძენთ: შესაძლოა, მართლაც „მორწმუნის სუბიექტური არჩევანის საკითხად“ დარჩეს, თუ რომელ ფორმას მიანიჭებს უპირატესობას: ს-ანიანს თუ უ-ს-ანოს, მაგრამ ეს ვერ არღვევს **საეკლესიო-მწიგნობრული სტილის თავისთავადობას**, რითაც ის განსხვავდება რომელიმე სხვა სტილისაგან. ანალოგიურ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ყველასათვის ნაცნობი შემთხვევა, როდესაც პაციენტს მისთვის „გასაგებ ენაზე“ მიეწოდება ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, თუმცა იგივე ინფორმაცია,

წესისამებრ, მედიკოსთათვის სავალდებულო სამედიცინო ტერმინოლოგიით აისახება ავადმყოფობის ისტორიაში.⁸⁶

5. „აღსდგა“ ფორმის გამოყენების დიდი ისტორია; იხ, მაგ., „წმიდა პასექისა და ბრწყინვალე შვიდეულის ჟამნობის“ ტექსტი: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით...“ „ანგელოსი ღაღადებს, მიმადლებულო წმიდაო ქალწულო გიხაროდენ და კვალად გიხაროდენ, ძე შენი აღსდგა მესამესა დღესა საფლავით და მკვდარნი აღადგინა, ერნო გიხაროდენ! ქრისტე აღსდგა!“⁸⁷.

იხ. ასევე:

„აღსდგენ ღმერთი, და განიბნინენ ყოველნი მტერნი მისნი (67. დასასრულსა, დავითის ფსალმუნი, შესხმისაი)...⁸⁸

„აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა“ („მრწამსი“);⁸⁹

აღსდგა ფორმა დასტურდება არქაულ საგალობელშიც. სწორედ ასეთი ისტორიის გამოა, რომ ამ ფორმას იყენებდნენ წმიდა ილია მართალიც,⁹⁰ ძველი თუ ახალი თაობის სასულიერო პირებიც და მრევლის წევრებიც (არაიშვიათად: აღსდგა > აღზდგა: ღ-ს გავლენით-ს მჟღერდება).

შეგვიძლია დავასკვნათ:

-ღ- ზმნური ძირიდან **აღ-/ა-** ზმნისწინით ნაწარმოებია ერთპირიან ზმნურ ფორმათა სამი ვარიანტი, რომელთაც აქვთ თავიანთი სემანტიკური ველი და სამი სხვადასხვა საწყისი:

⁸⁶ იამზე ვაშაკიძე, ტარიელ ფუტყარაძე. ქართული ენის პრაქტიკული კურსი, (თბილისი, 2019), გვ. 395.

⁸⁷ <http://www.orthodoxy.ge/dgesastsaualebi/tsvlilebebi.htm> (დამოწმება: 06.02.2020).

⁸⁸ <http://www.orthodoxy.ge/lotsvani/fsalm9.htm> (დამოწმება: 06.02.2020).

⁸⁹ <http://www.orthodoxy.ge/sakhli/mrtsamsi.htm> (დამოწმება: 06.02.2020).

⁹⁰ <https://matiane.wordpress.com/2016/04/30/ilia-chavchavadze-easter-editorial/?fbclid=IwAR06cyKPGToWbcft-FHBeyPMitzPB2pOPWD2vJh7wTV9jEfgZtNQBgLOZUk> (დამოწმება: 06.02.2020).

- **აღ-ს-ღგ-ა** ქრისტე (სიკვდილისა სიკვდილითა ღამთრგუნ-ველი)! /=**აღღგომა**/;

- **აღ-ღგ-ა**: ურთიერთობა, ხიდი, ნაგებობა, გზა... /=**აღღგენა**/;

- **ა-ღგ-ა**: ბავშვი, სტუმარი, მეზავრი... /=**აღგომა**/.

აღ-ს-ღგ-ა ფორმაში, თანამედროვე ნორმების მიხედვით, **-ს-** პირის ნიშანი უფუნქციოა, ზედმეტია, მაგრამ, რამდენადაც **აღ-ს-ღგ-ა** გამოყენებულია უნიკალური მოვლენის – ძე ღმერთის „საფლავიდან აღღგომისა“ და ცად ამალლების – გამოსახატავად, ამ უნიკალურ კონტექსტში დღეს **-ს-**ს უთუოდ აქვს ექსპრესიულობის გამოხატვის ფუნქცია. არსებითია ისიც, რომ „ხიდი აღღგა“, „გარიცხული სტუდენტი აღღგა“, „წყლის მოწოდება აღღგა“... ტიპის ფორმებში სუბიექტი პასიურია, **ქრისტე აღსღგა** შესიტყვებაში კი ქრისტე, უფალი თავადაა მოქმედიც, თვითაღმდგენიც.

ქრისტეს აღღგომის უნიკალურობის გამო ქართულ ენობრივ მსოფლალქმაში (ენობრივ ფსიქოლოგიაში) არის ძლიერი ტენდენცია, არაჩვეულებრივი მოვლენა ქრისტეს მკვდრეთით აღღგომა განსხვავდეს ჩვეულებრივი მოვლენებისგან (ურთიერთობის აღღგენა, კავშირის აღღგენა და სხვ.); გარდა ამისა, ისტორიულადაც შესიტყვება: „ქრისტე აღსღგა“ ძირითადი ფორმაა საეკლესიო სტილით მეტყველებისას, მრევლის მეტყველებაში თუ სააღღგომო მილოცვის ფორმულაში (ქრისტე აღსღგა – ჭეშმარიტად აღსღგა!); შესაბამისად, ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც, ენობრივი ფსიქოლოგიისა თუ ტრადიციის გათვალისწინებითაც საერო სტილის მეტყველებისათვის გრამატიკულად არასწორი ფორმა „აღსღგა“ ნორმატიულად უნდა ჩავთვალოთ ქრისტეს აღღგომის კონტექსტში:

- **ქრისტე აღსღგა!**

- **ჭეშმარიტად აღსღგა!**

Tariel Putkaradze
Professor of St. Andrew The First-Called
Georgian University Of The Patriarchate of Georgia
Iamze Vashakidze
Professor of Caucasus University

Resume

Kriste aḡsdga or Kriste aḡdga?
(Christ has risen!)

Due to the uniqueness of resurrection of Christ in the outside identification of the Georgian linguistic (in linguistic psychology) there is a strong trend, the extraordinary phenomenon - the resurrection of Christ - Differ from ordinary events: Restoration of bridge, renewal of expelled student and others. Conformably, by the rule of exception, we should consider normally the existing form in the ancient Christian texts “aḡsdga” (and not “aḡdga”).

გამოყენებული ლიტერატურა:

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

1. აკაკი შანიძე. თხზულებანი, ტ. II, (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1980);
2. აკაკი შანიძე. თხზულებანი, ტ. III, (მეცნიერება, თბილისი, 1981);
3. ბესარიონ ჯორბენაძე. *ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები*, (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი, 1985);
4. ბიძინა ფოჩხუა. *ქართული ენის ლექსიკოლოგია*, (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი, 1970);

5. დავით ჩუბინაშვილი. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1984);
6. ზურაბ სარჯველაძე. *ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა*, (თბილისი 2001);
7. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, (მეცნიერება, თბილისი, 1970);
8. ილია აბულაძე. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, (მეცნიერება, თბილისი, 1973);
9. იამზე ვაშაკიძე, ტარიელ ფუტყარაძე. *ქართული ენის პრაქტიკული კურსი*, (თბილისი, 2019);
10. ლუიზა საჭაპურიძე. *ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველება*, (ქუთაისი, 2017);
11. ნიკო ჩუბინაშვილი. *ქართული ლექსიკონი*, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1961);
12. ნინო ხახიაშვილი. „ქრისტე აღდგა“ თუ „ქრისტე აღსდგა“, *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, წიგნი XIV, (თბილისი, 2014);
13. ჟუჟუნა ფეიქრიშვილი. ქრისტე აღდგა თუ აღსდგა? *საბა*, N 17, 2017;
14. რევაზ შეროზია. *ქართველური ენობრივი სისტემის შესახებ*. ქართველური მემკვიდრეობა XX, (ქუთაისი, 2016);
15. შუქია აფრიდონიძე. *ჩვენი ენა ქართული*, (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა თბილისი, 2009);
16. ხათუნა გოგია. *აგიოგრაფიული ტრადიციები და სამეგრელოს ქრისტიანული რეალიები*, (თბილისი 2019);

ბ) დამოწმებული წყაროები:

1. აკაკი წერეთელი. *რჩეული ნაწარმოებები ტ. I*, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1988);

2. აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები ტ. II, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1989);
3. ავერსი, შემეცნებით-გასართობი სამედიცინო ჟურნალი, N 5 (122), 2015;
4. ალია, N 109 (2082), 2007;
5. ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი, ტ.V, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1961);
6. თბილისელები, N 7, 2008;
7. თეატრი და ცხოვრება, N 5, 1914; N 19, 1920;
8. ივერია, N 157, 1898; N 77, 1904;
9. ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1987);
10. კარიბჭე, მართლმადიდებლური ჟურნალი, N 8 (95), 2008;
11. კვალი, N 15, 1894;
12. კომუნისტი, 1921, 7 ოქტომბერი; 1941, 3 დეკემბერი; 1990, 26 მაისი;
13. კრიალოხანი, ქართული ქრისტიანული ჟურნალი, თბილისი, N 4/38, 2008;
14. გეზნებარე კოლხიდელო, ფოთი, 1946, N 29;
15. მწყემსი, N 7 1895; 1897, N 8;
16. ნაკადული, N 3, 1912;
17. რეზონანსი, N 192, 1997; N 265, 2000;
18. სარკე, N 14, 2010;
19. საქართველოს ეკონომიკა: სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, თბილისი, 2013, 1512-4606 N 14, (188);
20. საქართველოს რესპუბლიკა, N 124 (926), 1994;
21. საოხუნჯო აღმანახი, ქრისტე აღსდგა, 1913;
22. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, I. (მერანი, თბილისი, 1991);

23. *სტალინის დროშა*, N 48, 1943;
24. *ქდაგებანი*, N 4, 1913;
25. *ქართული*: გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო, მიუნჰენი, N 2 (21), 2009;
26. *ქეკელი* ტ. I, თბილისი: (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1950);
27. *შინაური საქმეები*, N 16, 17, 1910; N 11, 1912;
28. *ცნობის ფურცელი*, ტფილისი, 1905, N 2799;
29. *ჯეჯილი*, N 3, 1892; N 4, 1900;
30. *ჯვარი ვაზისა*, N 1, 1981.

თინათინ თურქია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი

ახალი მსთმებიკური პარადიგმა სანახაოების ენაში

ლინგვისტიკათვის თეატრის სცენა კვლევის თვალსაზრისით განსაკუთრებულად საინტერესო სფეროა, რადგან სწორედ სცენაზე შეიძლება ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდეს სხვადასხვა სოციალურ-კულტურული კუთვნილების, მრავალფეროვანი ექსპრესიის საკომუნიკაციო გარემო და კომუნიკანტები, რომელთა სცენურ ხასიათს მიშვნელოვნად განაპირობებს ენობრივი ფაქტურა.

ყოველი კონკრეტული სპექტაკლის კონკრეტული დადგმა შეიცავს იმპროვიზაციის ელემენტებს, რომელთაგან სამეტყველო იმპროვიზაციები, ერთი შეხედვით, მხოლოდ განმახორციელებლის (რეჟისორის, მსახიობის, ან მთელი დამდგმელი კოლექტივის) სუბიექტურ ინიციატივას ჰგავს, თუმცა თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ თავად ეს ინიციატივა განპირობებულია მრავალი ობიექტური ფაქტორით: ეპოქის სულისკვეთებით, სამიზნე აუდიტორიის (მაყურებლის) სოციალურ-კულტურული დონით, განზოგადების ან პირიქით, ვიწროდ ერთ ობიექტზე მითითების სურვილით, დამდგმელი კოლექტივის მხრიდან იდეის გაგებისა (ერთი მხრივ ავტორის(დრამატურგის) ჩანაფიქრის, მეორე მხრივ კი ამ საკითხისადმი რეალური დროის წარმოდგენათა შესაბამისად) და ადრესატამდე მიტანის უნარით და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში სცენიდან (ან ეკრანიდან) შემოთავაზებულ მეტყველებას ძირითადად ხელოვნების სათანადო დარგების სპეციალისტები ან ლიტერატურათმცოდნეები სწავლობენ, და თითქმის არასოდეს – ლინგვისტები. მართალია, ზოგჯერ ხელოვნებათმცოდნეებიც ეხებიან ისეთ დარგებს, როგორიცაა სოციოლინგვისტიკა და

ლინგვოკულტუროლოგია, მაგრამ ისინი, როგორც წესი, საენათმეცნიერო თემატიკაში ჩაღრმავებას თავს არიდებენ.

ჩვენში ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევები, ფაქტობრივ, არ ჩატარებულა. არსებობს რამდენიმე გამოკვლევა ქართული დრამატურგიის ენის შესახებ, თუმცა ძირითადად, მათში ბეჭდური ტექსტებია განხილული, და არა ვერბალური ვარიაციები, რომლებიც ერთსა და იმავე დრამატურგიულ ნიმუშს სრულიად განსხვავებულ ფლერადობას აძლევს, რაც კონკრეტულ დროსა და სივრცეში რეჟისორის, მსახიობისა და მაყურებლის ენობრივ-კულტურულ კომპეტენციასა და მოლოდინს გამოხატავს. ვფიქრობთ, ეს საკითხი კომპლექსურ კვლევას საჭიროებს; მით უფრო, რომ დღეს შოუბიზნესში ერთმანეთს შეერია პროფესიონალიზმისა და დილექტანტიზმის მკვეთრად გამოხატული ნაკადები; ხოლო კერძო სტრუქტურებმა ფართოდ გაუღო კარი თვითნასწავლ შემსრულებლებს რეკლამის, სანახაობის, წამყვანების, გასართობი პროგრამების „რეჟისორთა“ სახით (სამსახიობო მეტყველების საგანგებო კურსი კი მხოლოდ პროფესიონალებს აქვთ გავლილი);

არაპროფესიული კადრების მომრავლების ერთ-ერთი შედეგი ისიცაა, რომ დიალექტური მეტყველება, რომელსაც ქართულ ლიტერატურულსა და თეატრალურ ტრადიციაში ეთნოგრაფიულ-კულტურული დატვირთვა ჰქონდა, დღეს უსაფუძვლოდ გადაიქცა იუმორისტულ ხერხად, რამაც თანამედროვე სანახაობითი ხელოვნება ქართული დრამატურგიის, და ზოგადად ლიტერატურის, კონცეპტუალურ გზას ააცდინა.

ილიას, აკაკის, ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, კლდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძისა და სხვათა პერსონაჟების დიალექტური მეტყველების სპეციფიკა სრულიად გამორიცხავს თავად დიალექტის მიმართ ირონიას (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სიტუაცია და ნათქვამის შინაარსია იუმორისტული).

დღეს მეცნიერები ორ ერთმანეთის გამომრიცხავ მიმართულებაზე საუბრობენ: ა) განათლება, რომლის საფუძველში დევს ნორმატი-

ული, სტანდარტული ენობრივი მონაცემები (რის გარეშეც აზრი საყოველთაოდ გასაგები ვერ იქნება) თავისთავად გამორიცხავს კუთხურობას, დიალექტურობას და არა მხოლოდ ერთი ენის წიაღში ცდილობს ნორმის უნიფიკაციას, არამედ სხვადასხვა ენის მიმართაც ეძებს ისეთ უნივერსალურ ფორმებს, რომელიც ენათა დაახლოებას შეუწყობს ხელს, და რომელიც ერთი (ან ჯერჯერობით – 2–3) ენის გარშემო მოახდენს მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაციას; ბ) მეორე მხრივ, თანამედროვე ენათმეცნიერება, პოლიტოლოგია, სოციოლოგია და ფსიქოლოგია (და კიდევ მთელი რიგი ე.წ. იდეოლოგიური დარგებისა) მისტირიან დიალექტების კვდომას და მზად არიან „დიალექტის, როგორც ეროვნული საგანძურის გადასარჩენად მთელ რიგ დიალექტებს (მეტადრე პოლიტიკურად საინტერესო რეგიონებში) საგანგებო სტატუსებიც კი მიანიჭონ და მათი სამწიგნობრო ვერსიის განვითარებას შეუწყონ ხელი ენობრივი უფლებების დაცვის სახელით, რაც სრულიად უპერსპექტივო საქმეა. მეცხრამეტე–მეოცე საუკუნეების დიალექტოლოგია ხელმძღვანელობდა მეთოდოლოგიით, როდესაც დიალექტის, კუთხური მეტყველების ჩასაწერად ძირითად რესპონდენტად სოფლის ისეთ ხანდაზმულ მკვიდრს მიმართავდნენ, რომელსაც უადრესად ჰქონდა შეზღუდული კავშირი სტანდარტულ ენასთან; თანამედროვე დიალექტოლოგებმა, გაცილებით ფართოდ წარმოაჩინეს ეს საკითხი: ამჯერად ადგილობრივი მეტყველება შეისწავლება დიალექტური მეტყველების კორელაციით სოციალურ ცვლადთან, ანუ ასაკის, კლასის, გენდერის, საქმიანობისა და სხვ. თავისებურებების გათვალისწინებით. როგორც მიუთითებენ, სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ენაში კუთხური მეტყველებისადმი დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ არის. ნაწილობრივ, დიალექტის შესახებ საოგადოებრივი აზრი მართვადია, კონცეპტუალურია და ან მიმართულია სტანდარტული (და ამასთან, პრესტიჟული) ენის გარშემო სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაციისაკენ, ან პირიქით, კუთხური მეტყველებების მარგინალიზაციას უწყობს ხელს. საინტერესოა, რომ დიდი

ტერიტორიებისა და მრავალრიცხოვანი მოსახლეობის ქვეყნებში კინემატოგრაფი იშვიათად მიმართავს დიალექტური მეტყველებების სიჭრელის ჩვენებას (მაგალითად, რუსული, ინდური, ჩინური, ინგლისური, იტალიური ფილმების უმრავლესობა)

კლასიკური ქართული დრამატურგიისათვის (და კლასიკური თეატრისათვისაც) არ იყო დამახასიათებელი დიალექტიზმებით მანიპულირება. დასაცინი ის ადამიანი კი არ იყო ვინც კუთხურად უქცევდა, არამედ ის, ვინც უცხო ენის გავლენის ქვეშ იყო. ამიტომაცაა, რომ პერსონაჟები ქართულად ლაპარაკისას ნაკლებად მიმართავდნენ დიალექტს (იდეალად სალიტერატურო ქართული იყო დასახული) და ბატონი და ყმა სალიტერატურო ქართულით ესაუბრებოდა ერთმანეთს, ხოლო მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი (გ.ერისთავის „გაყრა“) მეტყველებაში სომხურ–რუსულს ურევდა და ამით (სხვა თავისებურებებთან ერთად) იყო სასაცილო და არასიმპათიური პერსონაჟი. ასევე თავისი რუსიციზმებით იყო კომიკური ივანე ღიღებულისძეც ამავე პიესაში.

თეატრისათვის განკუთვნილი ნაწარმოების ავტორი ორი კატეგორიისაა:

ა) დრამატურგი, რომელიც იმთავითვე პიესას წერს, და შესაბამისად, თავის ნაწარმოებს თავად ამზადებს სცენისათვის (აღწერს გარემოს, პერსონაჟთა მოქმედებას, სცენებსა და მიზანსცენებს...), აგებს დიალოგებს;

ბ) მწერალი, რომლის ნაწარმოებს სცენარისტი გადაამუშავებს სპექტაკლისათვის, და ამდენად ავტორის მომადგენელი“ ხდება ნაწარმოების შემდგომი რეალიზაციის გზაზე.

მაგრამ სათეატრო ტექსტის ჩამოყალიბება არ ხდება ავტორის, ან თანაავტორ–სცენარისტის მიერ; ტექსტი შემდეგ რეჟისორისა და მსახიობების ხელში ხვდება და იწყება მისი გაუთავებელი ინტერპრეტაცია იმის მიხედვით, თუ რომელი ეპოქაა, როგორია აუდიტორიის კომპეტენცია, გემოვნება, სოციალურ–კულტურული განწყობა და როგორია ეს ყოველივე შემსრულებლებში (რეჟისორი, სცენოგრაფია (მხატვრები, დიზაინერები, მუსიკალური თანხლების

უზრუნველყოფა) მსახიობები და ა.შ., და ამ ყოველივეს ემატება შემსრულებელთა ნიჭიერების ხარისხი.

ამ ბოლო დროს, გაჩნდა მიმართულება, რომელიც ტექსტის მნიშვნელობასთან დაბრუნებას უჭერს მხარს და ამიტომ ისეთ პროექტებზე მუშაობს, სადაც მაქსიმალურადაა შეზღუდული გამომსახველობითი საშუალებები და ავტორისეული აქცენტებია წინ წამოწეული. ფაქტობრივ ესაა ტექსტის კითხვა, დამატებითი ეფექტების გარეშე.

Tinatın Turkia

Ilia State University, Doctor in Philology

New Esthetic Paradigm in Performance Language

Resume

We are using term “performance and language” to describe the speaking characteristic intended for wide audience (theatre, TV theaters, movies, TV shows an etc.). Stage is the place for one sided and also bilateral communication. The played scenes are previously worked on, but also it has constant connection with audience, whose applause, laugh, their good or bad reactions influence on actor and intensifies or reduces their expression in acting and it appears on speech and act.

Modern drama is directed to show the dark sides of life, that exclude using only classic, refined speech, it needs using “cool” words (cursing, swearing, rude words, jargon, slang...). If in twenties century theatre was only indicated on insulting words, in 21st century it is used very often. Psychologists and sociologists opinion is that this is the way to expel negative emotions.

In Georgia there was huge censorship in period of Soviet Union, and this process was blocked, but the rest of the world also was more self-controlled. It’s interesting what made such change

ეტიმოლოგიური კიბანე: დაყატრული, ფეიქარი, ჯალალი

დაყატრული

ლექსემა დაყატრული, ჩვენ ხელთ არსებული მასალებიდან, დასტურდება დავით გურამიშვილისა და მურმან თავდიშვილის შემოქმედებაში:

„საქონლით სავსეს მოვასხმათ,
ჯორ-აქლემთ დაყატრულებსა“.¹

„ყოველივე ამით გაოცებულ მასპინძელს თვალები ისე ფართოდ დაეღო, როგორც ეზოს ჭიშკარს ალებს ხოლმე, როდესაც ნადის მეურმენი ტყიდან საზამთრო შეშით დაყატრულ ურმებს მოაყენებენ“.²

აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული წერილობითი მასალა არ იცნობს დაყატრულის ფუძეს ყათარ და არც მისგან ნაწარმოებ ზმნას: დაყათვრა, საიდანაც მომდინარეა დაყატრული.

როგორც კონტექსტიდან ჩანს, „დაყატრული ჯორ-ქალები“ „დაყატრული ურმები“ ნიშნავს ერთმანეთზე მწკრივად მიყოლებულ, გადაბმულ ჯორ-აქლემსა და ურმებს.

საიდან უნდა მოდიოდეს დაყატრული?

არაბულ ენაში არის ლექსიკური ერთეული طر [კეტ რ], რომლის მსხვერუელი მრავლობითის ფორმებია طر [კოტრ] და طارات [კეტარატ] შემდეგი მნიშვნელობებით: 1. აქლემთა მწკრივი; 2. მატარებელი.³

¹ დავით გურამიშვილი. *დავითიანი*, (თბილისი, 1955), გვ. 291.

² მურმან თავდიშვილი. *ფიჩქოუსი*, (ინტელექტი, თბილისი, 2019), გვ. 121.

³ ხ. ბარანოვი. *არაბულ-რუსული ლექსიკონი*, (მოსკოვი, 1957), გვ. 828.

ეს სიტყვა ანალოგიური ფორმითა და შინაარსით შესულია სხვა აღმოსავლურ ენებში, მათ შორის ქართულთან ურთიერთობაში მყოფ სპარსულსა და თურქულში: 1.

ط [კატარ] - ცხოველთა მწკრივი, დაწალიკებით, ერთმანეთის მიყოლებით, მიმავალი; ქარავანი, მატარებელი;⁴

2. კატარ - 1) მწკრივი; ქარავანი, კოლონა, გუნდი, 2) მატარებელი, ეშელონი; შემადგენლობა.⁵

დაყათრული, რომლის ფუძეა ყათარ, თავისი ფორმითა და შინაარსით, მომდინარე ჩანს არაბული ლექსიკური ერთეულიდან ط [კეტ რ].

განსხვავებით არაბულისგან, სპარსულში დენტალური ხშული მკვეთრი ტ გადმოდის როგორც მფშვინვიერი თ, ამიტომ ყათარ-ი, ქართულში შემოსული ჩანს სპარსულის გზით.

რაც შეეხება შემოსვლის დროს, ვინაიდან დაყათრული XVIII საუკუნის პოეტის დავით გურამიშვილის შემოქმედებამდე არ დასტურდება, იგი არაბულ-სპარსული ლექსიკის მეორე ნაკადს (XVI-XVIII სს.) უნდა იყოს შემოყოლილი ქართულ ენაში.

ფეიქარი

ფეიქარ-ი (ფეიქარისა) [სპ.] ქსოვილის დამამზადებელი ოსტატი, საფეიქრო წარმოების მუშა, - მქსოველი (ქ ე გ ლ, 443.).

ფეიქარი (სპარს.) ს. ლართა ან სამოსელთა მქსოველი.⁶

ფეიქარი ლარის მქსოველი. განუმარტავია. პირველად ექსტალიონი.⁷

⁴ მ. გაფაროვი. *სპარსულ-რუსული ლექსიკონი*, (მოსკოვი, 1976), გვ. 629.

⁵ *თურქულ-ქართული ლექსიკონი*. ლ. ჩლაიძის რედაქციით, (სტამბოლი, 2001), გვ. 801.

⁶ დავით ჩუბინაშვილი. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1984), გვ. 1301.

⁷ *სულხან საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული*, (მერანი, თბილისი, 1981-1993), გვ. 187.

სპარსულ ენაში არის ანალოგიური ფონეტიკური ფორმის, მაგრამ განსხვავებული შინაარსის მქონე სიტყვა *არჰ* [ფეიქარ], შემდეგი მნიშვნელობით: 1. ბრძოლა, ჭიდილი; 2. ღავა, კამათი.⁸

არჰ [ჰეიკ რ]-იდან სპარსულში ნაწარმოებია სახელები: *არჰ* [ფეიკ რჯუ] - საბრძოლო განწყობილების მქონე; 2. ჩხუბისთავი; 3. მებრძოლი.⁹

ამავე მნიშვნელობით ფეიქარი (პაიკარ) შესულია სომხურშიც: *պայքար* [პა ქარ] 1. ბრძოლა 2. პაექრობა.¹⁰

ამ სიტყვის ავესტური ფორმაა „პაიტეკ ტრა“, ფალაური - „პატკ რ“. ¹¹

ქართული ლექსიკონები ერთნაირად განმარტავენ ამ სიტყვას და მიუთითებენ, რომ ის არის სპარსული წარმოშობის.

ფეიქარი მართლაც სპარსულიდან მომდინარე ლექსიკური ერთეულია, მაგრამ სხვა შინაარსით. როგორც ჩანს, ქართულში მოხდა ამ სიტყვის სემანტიკური გადააზრება.

ფეიქარი ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება აღორძინების ხანიდან (XVI-XVIII სს.):

„დავით ფეიქარმან მე საპერანგე ხამს მოგიქსოვო“.¹²

„მჭედლები მოქმედნი კალატოზნი, ხურონი ფეიქარნი“.¹³

„ხელით მოქმედნი კალატოზნი, ხურონი, ფეიქარნი“.¹⁴

⁸ ი. რუბინჩიკი, მ. ოსმანოვი. *სპარსულ-რუსული ლექსიკონი*, (თეირანი, 2012), გვ. 333.

⁹ ი. რუბინჩიკი, მ. ოსმანოვი. *სპარსულ-რუსული ლექსიკონი*, (თეირანი, 2012), გვ. 334.

¹⁰ ლ. მელიქსეთ-ბეგი. *სომხურ-ქართული ლექსიკონი*, მ. რობაქიძის რედაქციით, (ნეკერი, თბილისი, 1996), გვ. 258.

¹¹ მ. ფაშანგი, სპარსული ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თეირანი, 1377 (مصطفي واشنگان, 1377), გვ. 200.

¹² იოანე ბატონიშვილი. *კალმასობა*, ტ. I, (თბილისი, 1936), გვ. 193.

¹³ გრიგოლ ორბელიანი. *თხზულებათა სრული კრებული*, ა. გაწერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის რედაქციით, (თბილისი, 1959), გვ. 186.

თბილისი ოდითგანვე სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა თავშეყრის ადგილი იყო. სავარაუდოა, ერთ-ერთი ასეთი ფენა ყოფილიყო ფეიქრების (მებრძოლების) გარკვეული ჯგუფისა, რომლებმაც თანდათან დაკარგეს თავიანთი ფუნქცია და ახალ პროფესიას - ქსოვილთა დამზადებას - ფეიქრობას მიჰყვეს ხელი, ხოლო თავიანთი საქმიანობის სახელი კი შემორჩათ.

ჯალალი

ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, რომელიც მოიცავს საქართველოს ისტორიის XIV-XVII საუკუნეთა მონაკვეთს, მკვლევართათვის მეტად მრავალფეროვან და საინტერესო მასალებს იძლევა. ამჯერად, ენათმეცნიერული კუთხით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ლექსიკური ერთეულის: ჯალალი განმარტებამ.

ჯალალი ორჯერ გვხდება აღნიშნულ ძეგლში:

1. „და წარმოვიდა ბატონი თეიმურაზ. მას ჟამსა იყვნენ ხონთქრის მამულში მრავალნი ჯალალნი, განდგომილნი ხონთქრისანი, დახუდნენ თეიმურაზსა წინა“.

2. „მისცა ღმერთმან გამარჯუება და ბატონს თეიმურაზს გაემარჯუა და ამოსწყვიტა მრავალი ჯალალი“.¹⁵

ს. ყაუხჩიშვილს „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონში ჯალალის განმარტება მოაქვს დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონიდან, სადაც ეს სიტყვა ახსნილია ასე: ჯალალი (არაბ.) - წინააღმდეგი, მეამბოხე, მეშფოთარი.

დ. ჩუბინაშვილი სწორად მიუთითებს ამ სიტყვის არაბულიდან წარმომავლობაზე. არაბულში მართლა არის სიტყვა ჯალალი (جَلال -

¹⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ი. დოლიძის რედაქციით, (თბილისი, 1972), გვ. 207.

¹⁵ ბერი ეგნატაშვილი. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, (თბილისი, 1959), გვ. 403, 27, 30

[ჯალალ]), ოღონდ შემდეგი მნიშვნელობით: 1. დიდი, უზარმაზარი; 2. მნიშვნელოვანი; ქაჯ [ჯალ ლ] - სიდიადე; ბრწყინვალება.¹⁶

დავეკვირდეთ ტექსტს: „მას ჟამსა იყვნენ ზონთქრის მამულში მრავალნი ჯალალნი, განდგომილნი ზონთქრისანი“ შეიძლება გავიგოთ ასე:

„მას ჟამსა იყვნენ ზონთქრის მამულში მრავალნი ჯალალნი (ანუ დიდებულნი), (რომლებიც იყვნენ) განდგომილნი ზონთქრისანი“.

მაგრამ აქ სხვა ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ჯალალი ამ შემთხვევაში უნდა იყოს არა ზოგადად მეამბოხე, როგორც ამას განმარტავს „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონი, არამედ მასში უნდა ვიგულისხმოთ ჯალაელი ტომის ხალხი.

ჯალაელები წარმოშობით იყვნენ ერთ-ერთი აღმოსავლური ტომის ხალხი, რომლებიც მთელ მცირე აზიას იყვნენ მოდებულნი. ისინი აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას აჯანყებებში. ადგილობრივი მმართველები მათ პატივით სვდებოდნენ, რადგან მათში თავიანთ თავშესაფარ ციხე-სიმაგრეს ხედავდნენ.

როგორც ჩანს, დ. ჩუბინაშვილს ჯალალი მიუჩნევია ზოგადად განდგომილის სინონიმად, რაც გაუზიარებია „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონის შემდგენელს.

ამგვარად, ჯალალის მნიშვნელობა უნდა გავიგოთ არა როგორც ზოგადად განდგომილის, არამედ როგორც ეთნიკური ჯგუფის სახელი.

¹⁶ ხ. ბარანოვი. *არაბულ-რუსული ლექსიკონი*, (მოსკოვი, 1957), გვ. 162.

Etymological researches: dakatruli, peikâr, jalâli

Resume

There are Persian and Arabic-Persian loanwords in Georgian language: **peikâr, dakatruli, jalâli**.

dakatruli, the basis of which **kataris** derived from the Arabic-Persian word **قطار[ketâr]** whose meanings are: 1. **caravan**, 2. **train**.

peikâr comes from the Persian word – **پیکار[peikâr]** - **a fighter** who has acquired new content in Georgian – **weaver**

The word **dakatruli** in Georgian had received the meaning of carriages attached to each other.

jalâli is seen from the Arabic-Persian word **جلال[jalâl]** - **great, brilliant**. According to Georgian dictionaries, its meaning is- **rebel**.

jalâli is also the name of one of the warrior tribes of the East. In our opinion, in Georgian language the word **jalâl** should mean exactly this.

The loanwords discussed above with some semantic changes, can be seen in Georgian language from Renaissance period (XVI-XVIII cc) .

დამოწმებული ლიტერატურა:

1. **ბერი ეგნატაშვილი**. *ქართლის ცხოვრება*, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, (თბილისი, 1959);
2. **გრიგოლ ორბელიანი**. *თხზულებათა სრული კრებული*, ა. გაწერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის რედაქციით, (თბილისი, 1959);
3. **დავით გურამიშვილი**. *დავითიანი*, (თბილისი, 1955);
4. **დავით ჩუბინაშვილი**. *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1984);
5. *თურქულ-ქართული ლექსიკონი*. ლ. ჩლაიძის რედაქციით, (სტამბოლი, 2001);

6. იოანე ბატონიშვილი. *კალმასობა*, ტ. I, (თბილისი, 1936);
7. ი. რუბინჩიკი, მ. ოსმანოვი. *სპარსულ-რუსული ლექსიკონი*, (თეირანი, 2012);
8. ლ. მელიქსეთ-ბევი. *სომხურ-ქართული ლექსიკონი*, მ. რობ-აქიძის რედაქციით, (ნეკერი, თბილისი, 1996);
9. სულხან საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული*, (მერანი, თბილისი, 1981-1993);
10. მურმან თავდიშვილი. *ფირდოუსი*, (ინტელექტი, თბილისი, 2019);
11. მ. გაფაროვი. *სპარსულ-რუსული ლექსიკონი*, (მოსკოვი, 1976);
12. მ. ფაშანგი, სპარსული ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თეირანი, 1377 (پارسی پارهنگ پاشدنگ، مصطفی ۱۳۷۷، تهران، ۱۳۷۷)
13. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, (თბილისი, 1986);
14. *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. I, ი. დოლიძის რედაქციით, (თბილისი, 1972);
15. ხ. ბარანოვი. *არაბულ-რუსული ლექსიკონი*, (მოსკოვი, 1957);

ტარიელ ფუტყარაძე,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი

**საქართველოს სასემლმწიფო მენის პრესტიჟისა და
უმცირესობის დედაენის საკითხი 2018 წლის
საპრეზიდენტო და 2019 წლის შუალედური
არჩევნების მონაცემების მიხედვით**

საქართველოს საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლთა ერთი ნაწილი ბოლო პერიოდში ახალქალაქში მოსახლეობას ესალმება სომხურ სალიტერატურო ენაზე, მარნეულში - აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაზე, ხოლო სამეგრელოში - მეგრულად (მოხსენებაში წარმოდგენილია დოკუმენტური მასალა).

პასკევიჩის მიერ დაახლოებით 200 წლის წინ ოსმალეთიდან (ერზერუმიდან) საქართველოში (ჯავახეთში) ჩამოსახლებული სომხებისათვის უცხოა, ფაქტობრივად გაუგებარია, აღმოსავლურ სომხურზე - ერევნის მეტყველებაზე - დაფუძნებული სომხური სალიტერატურო ენა. ამის მიუხედავად, საბჭოთა პერიოდიდან დღემდე საქართველოს დე ფაქტო ხელისუფლება სკოლებში ასწავლის რა აღმოსავლურ სომხურს, ხელს უწყობს სრულიად სომეხთა ენობრივ-ეთნიკურ კონსოლიდაციას.

სამხრეთ საქართველოში ირანიდან ჩამოსახლებული ბორჩალოს ტომის შთამომავლებს არასოდეს უცხოვრიათ აზერბაიჯანში; ბორჩალოური მეტყველება მეტნაკლებად განსხვავდება როგორც სამწიგნობრო აზერბაიჯანული სალიტერატურო ენისაგან და თურქული სალიტერატურო ენისაგან, ასევე, თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკაში გავრცელებული სხვა თურქული ქვესისტემებისაგან. ბორჩალოური არის ირანელი ყაშაელების დედაენის /Qashqai language/ სახესხვაობა; ამის მიუხედავად, საბჭოთა პერიოდიდან დღემდე საქართველოს დე ფაქტო

ხელისუფლება სკოლებში ასწავლის რა მონათესავე აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენას, მიზანმიმართულად ცვლის საქართველოს მოქალაქე ბორჩალოელთა იდენტობას და მათ აზერბაიჯანელებად აცხადებს.

ვფიქრობ, ცხადია:

საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ეს ნაწილი აკნინებს საქართველოს სახელმწიფო ენის პრესტიჟს და ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სომხეთის მოქალაქე სომეხთა და საქართველოს მოქალაქე სომეხთა ენობრივ-ეთნიკურ კონსოლიდაციას, მეორე მხრივ კი - აზერბაიჯანის მოქალაქე აზერბაიჯანელთა და საქართველოს მოქალაქე თურქულენოვან თემთა ენობრივ-ეთნიკურ კონსოლიდაციას.

იგივე პოლიტიკური სუბიექტები (და მედიის წარმომადგენელთა ნაწილი) მეგრულს წარმოაჩენს რა ცალკე ენად - მეგრელთა „დედაენად“, ქართული სამწიგნობრო ენის შემქმნელ ეგრისის ძირძველ ქართველობას უუცხოვებს ისტორიულ დედაენას - ქართულ ენას და ენობრივ-ეთნიკურად ანაწევრებს ქართველ ერს.

პოლიტიკოსთა მიერ ადგილობრივ მეტყველებაზე მისაღმება ათვალსაჩინოებს კიდევ ერთ ფაქტს: ისინი ფსიქოლოგიურად არიან გაუცხოებულნი საქართველოს მოსახლეობისადმი და ამგვარი იაფფასიანი მანიპულირებით ცდილობენ ამომრჩეველთა გულის მოგებას. საბოლოო ჯამში, თავიანთ გაუცხოებას ვერ შევლიან, ჩვენს საზოგადოებას კი დიდ ზიანს აყენებენ: ხელს უშლიან საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციას საქართველოს სახელმწიფოში, აკნინებენ საქართველოს სახელმწიფო ენის - ქართული ენის - პრესტიჟს და საფრთხეს უქმნიან ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას.

Tariel Putkaradze

St. Andrew The First-Called Georgian University,
Of The Patriarchate of Georgia, Professor

The issue of mother tongue of prestige and minority of Georgian state language according to the data of 2018 presidential and 2019 midterm elections

Resume

One part of the election subjects of Georgia has recently greeted the population of Akhalkalaki with Armenian literary language, in Marneuli - Azeri literary language and in Samegrelo - with Megrelian.

Armenian literary language, based on Yerevan speech, on Eastern Armenian, in fact is incomprehensible, to the Armenians settled down in Georgia (Javakheti) from the Ottoman Empire (Erzurum), about 200 years ago by Paskevich. Also, the descendants of the Borchalo tribe settled in South Georgia from Iran have never lived in Azerbaijan; Borchalo speech is more or less different from the Azeri literary language and Turkish literary language, as well as from other Turkish subsystems spread in the modern Republic of Azerbaijan and the Republic of Turkey. As for the appeal of Megrelian: The historical mother tongue of Megrelians is the Georgian and to appeal with the local dialect is a cheap trick.

Such linguistic manipulations decline the prestige of the state language of Georgia.

მანანა ტაბიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი,

ბელა შავხელიშვილი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი

პანკისელი ქისტები (სოცოლინგვისტური ასპექტი)

პანკისის ხეობის ქისტები დიდხანს მიიჩნეოდნენ თანამედროვე საქართველოს ყველაზე ადაპტირებულ და ინტეგრირებულ არა-ქართული წარმოშობის, თუმცა ქართველთა მონათესავე, მოსახლეობად. გვარების გაწყობა, ცხოვრების წესი, ქართული ენის კარგად ცოდნა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ ერთგულება მათ იმდენად გამოარჩევდა დანარჩენი არაავტოქტონ მცხოვრებთაგან, რომ ქართველთა უმრავლესობას (ვინც ნაკლებად ინტერესდებოდა ისტორიულ და ფილოლოგიურ მეცნიერებათა სიღრმეებით) ისინი ერთ-ერთ ქართულ ეთნიკურ ჯგუფადაც კი მიაჩნდა; ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საქართველოში ქისტების ცხოვრების საინტერესო და თავგადასავლებით სავსე ისტორია აღსავსეა ფოლკლორული ვერსიებით.

ამ ბოლო დროს, ე.წ. „ინტერნეტულმა ისტორიამ“, რომელმაც მთელი მსოფლიოს ტყუილ-მართალი აურია ერთმანეთში, ქისტების ისტორიის **ქართული პერიოდიც** სრულიად გააბუნდოვნა. ვიმედოვნებთ, რომ შესაძლებელია დაგროვილი ინფორმაციისათვის თვალის მიდევნება და შედარებით მოწესრიგებული, თანმიმდევრული მსჯელობით წარსულისა და დღევანდელობის ობიექტურ სურათთან მიახლოება. მით უფრო, რომ ქისტების დასახლება პანკისში ისტორიისათვის გუშინდელი დღეა და დეტალების აღდგენა ძნელი

არ არის. ამასთან, ქისტების საქართველოში ჩამოსახლების, ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურაცაა შექმნილი, რომელიც ერთმანეთთანაა შესაჯერებელი და დასაზუსტებელი, ხოლო უცნობი ან მიჩქმალული ფაქტები – გამოსაძიებელი და აღსადგენი. მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთის დასაწყისში პანკისის ხეობაში ბევრი პოლიტიკური მოვლენა განვითარდა, რამაც შეცვალა პანკისის მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალურ–პოლიტიკური და კულტურული პრიორიტეტები და ამ ხეობის მოსახლეობას მარგინალიზაციისაკენაც უბიძგა. ამ პროცესებს ასაზრდოებს ქისტების ისტორიული სამშობლოს ჩეჩნეთის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი როლი რუსეთში, რომელსაც უკვე მეცხრამეტე საუკუნეში ჰქონდა დაგეგმილი კავკასიის ძნელადმართვადი მოსახლეობის ისე განსახლება, რომ იგი შიდადაპირისპირებათა რეჟიმში მოექცია და შესაბამისად, კოლონიური ადმინისტრაციის მიერ ადვილად სამართავი გაეხადა.

შეიძლება ითქვას, რომ პანკისში ჩამოსახლებულ ქისტებში პერიოდულად გადაივლიდა ხოლმე ხშირად ხელოვნურად ინსპირირებული „თვითგამორკვევის მისწრაფებით შეფუთული იდეოლოგიზებული ტალღა“, რომლითაც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციის ბუნებრივი პროცესი უნდა შეჩერებულიყო...

პანკისის ხეობის ქისტთა სულისკვეთების გასაგებად საჭიროა, შეძლებისდაგვარად, გავაანალიზოთ რამდენიმე საკითხი, ურომლისოდაც გაჭირდება ამ კუთხის ენობრივი სიტუაციის კვლევა:

1. ტერმინების „ქისტისა“ და „ჩეჩნის“ ურთიერთმიმართება;
2. პანკისის ხეობის მოსახლეობა ქისტების შემოსახლებამდე და შემდგომ;
3. ქისტების საქართველოში შემოსახლების სოციალურ–პოლიტიკური კონტექსტი, ეტაპები და მათ სამოსახლოდ სწორედ პანკისის ხეობის შერჩევის ლოგიკა;

4. ქისტების მეტყველების და ფუნქციონირების თავისებურებები;
5. ქისტების საქართველოში დასახლების, ცხოვრების წესის შემუშავებისა და ავთოქტონ მოსახლეობასთან თანაცხოვრების მიმართულებით მოღვაწე პირთა ვინაობა და მათი საქმიანობა;
6. „კავკასიის ომები“ და პანკისის ხეობა – ენობრივი სიტუაციის ცვლა;
7. ჯოჯოლოელთა და დუისელთა მეტყველება, როგორც „კლასიკური დიგლოსიის“ ნიმუში, და ამ მეტყველების მიმართება თურქეთში მოსახლე მუჰაჯირ შაშანებთან. ქართულისა და თურქულის გავლენის ხარისხი ამ სამეტყველო ვარიანტებზე;
8. ცარიზმისა და კომუნიტური პერიოდის რეპრესიები საქართველოში; ქართველებისა და ქისტების ბედი რეპრესიების დროს;
9. სარწმუნოება პანკისელ ქისტებში – თაობათა ურთიერთმიმართება;
10. საქართველოს სახელმწიფოს ინტერესები და პანკისის ხეობის მოსახლეობა.

Manana Tabidze

St. Andrew The First-Called Georgian University,
Of The Patriarchate of Georgia, Professor

Bela Shavkhelishvili

St. Andrew The First-Called Georgian University,
Of The Patriarchate of Georgia, Doctor in Philology

Pankisi Kists (Sociolinguistic Aspects)

Resume

Kists from Pankisi for a long time were considered as most adapted and integrated Non-Georgian origin, but related to Georgian people population. Because of their surnames, life style, knowing Georgian language fluently most people think they are one of Georgian ethnic group.

For researching language situation, it is very important to analyze several issues: connection between term “Kist” and “Chechen”; Pankisi population before settling Kists and after; Characteristic of speaking of Kists; “Caucasian wars” and Pankisi – changing language situation; Tsarizm and communism period repressions in Georgia; Georgians and Kists life while this repression; Religion in Pankis Kists and etc

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი

ქართული კვალი ბიზანტიაში: ტაო პენდელის მონასტერი

ბიზანტიასა და საქართველოს შორის ისტორიული, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების ისტორია მრავალმხრივ საინტერესოა და ამ საკითხებზე უამრავი სამეცნიერო გამოკვლევაა დაწერილი. ბიზანტიურ-ქართული კროსკულტურული კონტაქტები დღესაც აქტუალური თემაა მსოფლიო სამეცნიერო წრეებში, რადგან თვითმყოფადი ადგილი ეკუთვნის აღმოსავლური ქრისტიანული კულტურის კონტექსტში.

ჩემი სტატია ეხება ისტორიული ბიზანტიის, კერძოდ, ათენიდან 20 კილომეტრით დაშორებულ ადგილას პენდელის მთაზე აგებულ ტაო - პენდელის მონასტერს და მის ისტორიას.

ჩემი ყურადღება მიიქცია მონასტრის სახელწოდებაში სიტყვა „ტაომ“, რაც სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიული ნაწილის ტოპონიმთან შეიძლება გავაგივოთ.

მონასტრის ისტორიის შესახებ ერთადერთი პუბლიკაცია არსებობს, სადაც გვხვდება მინიშნება მის კავშირზე იბერიასთან. გეორგიოს სოტირიასი¹ მონოგრაფიაში „ქრისტიანული და ბიზანტიური არქეოლოგია“ აღნიშნავს, რომ ტაო - პენტელის არქიტექტურა განსახვავდება საბერძნეთის ტერიტორიაზე არსებული სხვა ეკლესია მონასტრებისგან და იმეორებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტაძრების არქიტექტურას. არქეოლოგიური გათხრების მასალის საფუძველზე ტაძარი IX-X საუკუნეებშია


¹ Γεωργίου Α. Σωτηρίου, Χριστιανική και Βυζαντινή Αρχαιολογία, τ. Α', Αθήναι 1942

აგებული. მონასტრის შესახებ გამოცემულ მონოგრაფიაში „Ιερά Μονή Παντοκράτορος“ აღნიშნულია, რომ მონასტრის კტიტორი იყო იბერიის მხარის დიდებული ფეოდალი.

ამავე გზამკვლევაში მოცემულია ტაძრის შესასვლელში კედელში ამოტვიფრული მონოგრამა

Ⲑ

_____, რომელიც არ არის განმარტებული, ჩვენი დაკვირვებით ეს ბერძნული ასოებს T ა-ს გამოსახავს. აქვეა მინიშნება კტიტორის წარწერაზე



Ἀποκατάστασις κτιτορικῆς ἐπιγραφῆς

Νίκος ὁ Καμ(α)τιρ(ός) + ὁ κτίσ(ας) τ(ή)ν T(αὐ) τ(αὐτην) αμίν.

ნიკოს კამატიროსი ამ მონასტრის კტიტორი.

კამატიროსის გვარი ბიზანტიის ფეოდალური გვარია, რომელიც (Alexidze Alexander: Μάρθα-Μαρία: μια ἐξέχουσα φυσιογνωμία στην ιστορία του βυζαντινὸς καὶ γεωργιανὸς πολιτισμοῦ. Στο βιβλίο της Μ. Κορομηλά: Οι Ἕλληνες στη Μαύρη Θάλασσα, Ἐκδοσις Πολιτιστικῆς Εταιρείας "ΠΑΝΟΡΑΜΑ", Αθήνα 1991,σελ. 204-212 გადმოსახლებული იყო სამხრეთ საქართველოში კერძოდ, ტაოში.

კამატიროსის გვარი დაახლოებული იყო როგორც ბიზანტიის საიმპერატორო ოჯახთან, ასევე იბერიელთა საფეოდალო სახლებთან. ტაძარზე შესრულებლი წარწერა თარიღდება XI საუკუნით. თუმცა არქეოლოგიური გათხრების მიხედვით, მის პირველ სახეს მეათე საუკუნეს მიაკუთვნებენ და ტაოელ

დიდებულს მიიჩნევენ პირველ კტიტორად, რადგან კედლის მონოგრამა მეათე სუკუნეში შესრულებულია. გეორგიოს სოტი-რიადესის გამოკვლევის მიხედვით მეათე საუკუნის ბოლოს მიწისძვრით დაინგრეულა პირველი ტაძარი, რომელიც მოგვიანებით განაზღვრულა. ასე რომ, წარწერაში მოხსენებული ნიკოლას კამპატროსი მონასტრის მეორე კტიტორია. ყურადღება მივაქციეთ გრ. კამპაროლლუს გამოკვლევაში „ათენის ისტორიული ნაგებობები“² ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ტაო - პენტელის მონასტრის მეორე კტიტორი ოჯახით ენათესავებოდა იბერიელებს.

საინტერესოა რა ტიპის მონასტერი არსებობდა მეათე საუკუნეში ამ ადგილას, კამპაროლლუ მიუთითებს, რომ ტაო პენტელის მონასტერი იდიოროთმული უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორც ათონის წმინდა მთის ივერთა მონასტერი და აქვეა მინიშნება ნაგებობის ივირონის მონასტერთა მსგავსებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია რამდენიმე დასკვნა გამოვიტანოთ:

1. ტაო პენტელის მონასტერს, მიუხედავად მრავალწლიანი არსებობისა, შენარჩუნებული აქვს პირვენდელთან მიახლოებული სახე. რაც სრულიად განსხვავებულია საბერძნეთის ტერიტორიაზე არსებული თანადროული ბერძნულ - ორთოდოქსული არქიტექტურული სტილისგან და მიმსგავსებულია ათონის ივერთა მონასტერს;

2. ორივე მონასტერი დაახლოებით ერთ ეპოქაში მეათე საუკუნეში უნდა იყოს დაარსებული; კტიტორის წარწერაში მოხსენებული პიროვნება უკავშირდება იბერიას, ტაოს;

3. ადგილობრივი ტრადიცია მყარად ადასტურებს მონასტრის არაბერძნულ წარმომავლობას.

² *Γρ. Καμπούρογλου*, Μνημεία τῆς *ἱστορίας* τῶν Ἀθηναίων, τ. 1-3, Ἀθήνα ... 217-228

Eka Dughashvili

St. Andrew The First-Called Georgian University,
Of The Patriarchate of Georgia, Professor

Georgian trace in Byzantium: Tao Pendeli Monastery

Resume

The history of historical, cultural and political relations between Byzantium and Georgia is very interesting and a lot of scientific researches were written about these issues. Byzantine-Georgian cross cultural contacts are still actual in throughout the world's scientific circles as it holds an original place in the Eastern Christian culture context.

My paper deals with historical Byzantium, particularly the place which is 20 kilometers far from Athens Tao Pendeli Monastery built at Pendeli mountain and its history.

The word "Tao" which is in the name of the monastery, is worth paying attention as it may be the same as the toponym of the historical part of south-west Georgia.

According to the excavating findings and some publications, on the bases of analyses of Ktetor's inscription dates and the monogram on the monastery wall, it is obvious that:

In spite of many years' existence, Tao Pendeli Monastery keeps its first appearance which is completely different from its contemporary Greek-orthodox architectural style on the territory of Greece and it is similar to Athos Iviron Monastery:

1. Both monasteries might have been founded approximately in the same epoch, -the Xth century;
2. The person mentioned in Ktetor's inscription is related to Iberia, Tao;
3. The local tradition firmly confirms not Greek origin of the monastery.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Γεωργίου Α. Σωτηρίου, Χριστιανική και Βυζαντινή Αρχαιολογία, τ. Α', Αθήναι 1942

2. *Γρ. Καμπούρογλου*, Μνημεία τῆς *ἱστορίας* τῶν Ἀθηναίων, τ. 1-3, Ἀθήνα.

მიხეილ ლაბაძე

ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის
ქართველოლოგიის ცენტრი

ახლად აღმოჩენილი ასომთავრულ-ნუსხური წარწერები მთიანი ჩეჩნეთიდან

(წინასწარი ცნობა)

2019 წლის მარტის ბოლოს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრს დაუკავშირდნენ ჩეჩნეთის რესპუბლიკის (რუსეთის ფედერაცია) მეცნ. აკადემიის მეცნიერ-მუშაკები, არქეოლოგები - **სულთან ისაევი** და **აზამათ ახმაროვი**. მათ გვამცნეს, რომ მთიან ჩეჩნეთში - ითუმყალის რაიონში (საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრიდან არც თუ მოშორებით) გასულ წლებში აღმოაჩინეს ქართული (ასომთავრული და ნუსხური) ანბანით შესრულებული წარწერები, რომელთა გაშიფვრაც თავად ვერ შეძლეს და გვთხოვეს დახმარება. მალევე, ამ წარწერების ფოტოპირებიც გამოგვიგზავნეს.

ახლად აღმოჩენილი ოთხი წარწერიდან ოთხივე ფრაგმენტულია - **პირველი**, რომელიც იპოვეს მდ. მულყო-ერქის ხეობაში, ნასოფლარ ქოთოოდში, შესრულებულია საფლავის ქვაზე (ანუ ჩეჩნურ **ჩურთზე**), შეიცავს ოთხ ასო-ნიშანს: **დ. ც. გ. ა.** აქედან **დ.** ასო-ნიშანი ასომთავრულია, დანარჩენი ასო-ნიშნები კი - ნუსხური. ასოების მოხაზულობიდან გამომდინარე, წარწერა X-XI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. მის სემანტიკას რაც შეეხება: **დ. ც. გ. ა.** უნდა იყოს ანთროპონიმი.



მეორე წარწერა, რომელიც ისტორიულ მითხოში (ჩეჩნურად - მელხიდსო), მდინარეების - ჭენთი-არღუნისა და მეში-ხის შესართავთან მდებარე ნასოფლარ წოდ-ფჰ'იედაში აღმოაჩინეს, შესრულებულია კოშკის კედელში ჩაშენებულ ქვაზე. აშკარაა, რომ ქვა უწინ სხვა დანიშნულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული და მხოლოდ მოგვიანებით აქციეს სამშენებლო მასალად. დღეს მასზე შეინიშნება ასომთავრული ასოები: ქ. ო. ჳ. მ. პირველი სამი ასო მცირედ, ხოლო ბოლო - ძალზე სახეცვლილია: სავარაუდოდ, დამწერს კარგად არ უნდა სცოდნოდა ქართული წერა-კითხვა. წარწერის დათარიღება სწორედ ამ უკანასკნელი მიზეზის გამო რთულდება. სემანტიკას რაც შეეხება: საკმაოდ ძნელია დასკვნის გაკეთება, მაგრამ ვვარაუდობთ, რომ თუკი ეს ანთროპონიმი არაა, მაშინ უთუოდ უნდა იყოს რომელიმე ფრაზის (ან ქართულის, ან ჩეჩნურის) ფრაგმენტი.



მესამე წარწერა, რომელიც იპოვნეს მდ. ბუმსო-ერქის ხეობაში, ნასოფლარ ბუმსოდსთან ახლოს, ასევე კოშკის კედელში ჩაშენებულ ქვაზეა შესრულებული. აქ ყურადღებას იქცევს ის, რომ ასომთავრული და ნუსხური ასოები არეულია: ა. ს. ა. ჭ. ც. ლ. ა. თ. ასოების მოხაზულობიდან გამომდინარე, წარწერა X-XI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. მის სემანტიკას რაც შეეხება: გვაქვს ფრაზა: **ასა-ჭ ც[ა] ლათ[ე]** „მე აღარ ვიბრძვი“ ან „ჯანზე ველარ ვარ“. საინტერესოა, რომ ეს ფრაზა შედგენილია არა თანამედროვე სამწერლობო ჩეჩნური ენის, არამედ - წოვათუშური მეტყველებისთვის დამახასიათებელი სინტაქსით, ოღონდ არქაული ვეინახური (ჩეჩნურ-ინგუშური) სიტყვა-ფორმებით.



მეოთხე წარწერა ნაპოვნია მდ. ტერლოდ-ერქის ხეობაში, ნასოფლარ ელდა-ფჰაში. ისიც კოშკის კედელში ჩაშენებულ ქვაზეა შესრულებული. ამკარაა, რომ ქვა უწინ სხვა დანიშნულებით უნდა ყოფილიყო გამოყენებული და მხოლოდ მოგვიანებით აქციეს სამშენებლო მასალად. დღეს მასზე შეინიშნება ასომთავრული ასოები: **თ. ა. მ. რ.** აღსანიშნავია ისიც, რომ **მ** და **რ** ასოებს შორის მკაფიოდ ჩანს ორი წერტილი (:), რაც ძველად დღევანდელი მძიმის ფუნქციით იხმარებოდა. ასოების მოხაზულობიდან გამომდინარე, წარწერა შეიძლება დავათარილოთ X საუკუნით. სემანტიკას რაც შეეხება: ადვილი შესაძლებელია, აქ ქალის ქართული ანთროპონიმი „თამარი“ გვქონდეს, მაგრამ რაკი ქვა, რომელზეც წარწერაა შესრულებული, არის სტელის ნატეხი, რომელიც მოგვიანებით აქციეს სამშენებლო მასალად (თანაც ისე, რომ წარწერებს არც დაჰკვირვებინან), გადაჭრით რაიმეს თქმა საკმაოდ ძნელია.



ზოგადად, ქართული წარწერები ჩეჩნეთისათვის, ისევე როგორც ჩრდილოეთი კავკასიის სხვა მხარეებისთვისაც, უცხო არ არის - მაგალითად, 2015 წელს, დაღესტანშიც გაიშიფრა 100-მდე ქართული წარწერა. მათ შესახებ საქართველოს საპატრიარქოს

წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის შრომათა კრებულის III ტომში დაიბეჭდა დალესტნელი მკვლევრის - შაჰბან ჰაფიზოვის ვრცელი სტატია: „ქართული, ქართულ-ხუნძური და ხუნძური წარწერები მთიან ხუნძეთში (დალესტანი)“. ჩეჩნეთში აღმოჩენილი წარწერების შესახებ ჩვენი ჩეჩენი კოლეგებიც ამზადებენ ვრცელ სტატიას

Mikheil Labadze

PhD of philology, Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/ The Kartvelology Centre of the School of the Humanity and law

The newly discovered Georgia (Asomtavruli and Nuskhuri) inscriptions from the mountainous Chechnya (Preliminary notice)

Resume

At the end of March 2019, The Kartvelology Centre of the School of the Humanity and law was contacted by Chechen archeologists - Mr. **Sultan Isayev** and Mr. **Azamat Akhmarov** from the Chechen Academy of Sciences (Chechnya, Russian Federation). They have been told that in the past years in the mountainous Chechnya (Itumqala region, near the Georgian-Russian state border) was discovered some inscriptions in Georgian (asomtavruli and nuskhuri) characters, which were not able to decipher by them and they asked us for help. Soon, we received the photocopies of these inscriptions.

All of these newly discovered inscriptions are fragmented.

The first inscription, which is performed on the tombstone (Čurt in Chechen), was discovered in valley of Mulqoj-Erk, near the settlement of Kottoj. It was deciphered by us as **D. C. G. A.** In our opinion, this must be an anthroponym. According to the characters' draws, the inscription can be dated from the X-XI centuries.

The second inscription, which is performed on a building stone, was discovered in the historical district of Mitkho (**Melxijst** in Chechen), near the settlement of C’oj-Phjēda. Obviously, the stone was from some stella, but later it was used as a building material. There we could decipher the asomtavruli characters: **K. O. Q. Ē.** but they are very distorted and that's why it's hard to date them. In our opinion, the performer was not able to know well the Georgian Alphabet.

The third inscription, which is also performed on a building stone, was discovered in the valley of Zumsoj-Erk, near the settlement of Zumsoj. There we could decipher the mixed asomtavrulinuskhuri characters: **A. S. A. Q. C. L. A. T.** According to the characters’ draws, the inscription can be dated from the X-XI centuries. In our opinion, it must be a phrase: **Asa-q c[a] lat[e]** “I’m not able to fight”, “I’m not able to be strong”. It is interesting, that the phrase is build according to the Tsova-Tush syntax, but there are used some archaic Wajnāx (Chechen-Ingush) lexical forms.

The third inscription which is also performed on a building stone, was discovered in the valley of T’erloj-Erk, near the settlement of Elda-pha. Obviously, the stone was from some stella, but later was used as a building material. There we could decipher the asomtavruli characters: **T. A. M. R.** Also, there is two points (:) Among the letters **M** and **R**. This was an equivalent of the comma in ancient Georgian orthography. According to the characters’ draws, the inscription can be dated from the X century. There we must have a Georgian feminine anthroponym **Tamar**.

Also, our chechen colleagues are preparing an extensive article about these inscriptions from the mountainous Chechnya.

ვაჟა-ფშაველა სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებები

სოფრომ მგალობლიშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოგონებებს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ორი მოგონება, რომლებიც გენიალურ ვაჟა-ფშაველას უძღვნა. პირველი მოგონება „ვაჟა-ფშაველას საღამოს გამო“ მწერლის გარდაცვალების დღეებში გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (N 454) დაიბეჭდა, ხოლო მეორე მოგვიანებით, 1922 წელს, გაზეთ „ბახტრიონში“ (N 13) გამოქვეყნდა.

ვაჟა-ფშაველა გორის საოსტატო სემინარიაში 1879 წელს ჩაირიცხა. ამ დროიდან არ მოჰკლებია მას ს. მგლობლიშვილის ყურადღება და მხარდაჭერა.

მემუარისტი შთამბეჭდავად აცოცხლებს ვაჟას მეგობართა წრეს, მის ლიტერატურულ გატაცებებს. ვაჟას შესანიშნავი ამხანაგები ჰყავდა: ალექსანდრე ნათაძე - პედაგოგი და მწერალი, თეოფილე ხუსკივაძე - ბელტრისტი, ალექსანდრე ციმაკურიძე - ჰაინეს ლექსების მთარგმნელი. განსაკუთრებული მეგობრობა კი ვაჟას და ნიკო ლეონიძესთან, დიდი ქართველი პოეტის, გიორგი ლეონიძის, მამასთან აკავშირებდა. ეს ახალგაზრდები წიგნის სიყვარულითა და ნიჭიერებით გამოირჩეოდნენ.

ს. მგალობლიშვილი ჭაბუკ ვაჟას ახასიათებს, როგორც „ნამდვილ მთის არწივს“. მისი თქმით, იგი იყო „ყოჩაღი, გამბედავი, შეუპოვარი, მეგობართათვის თავდადებული, გამჭრიახი,

წყლიანი მოლაპარაკე“,¹ „კერპი და შეუპოვარი იყო ცხოვრებაში, არავითარიმე საფრთხეს, განსაცდელს არ მოერიდებოდა“.²

ს. მგალობლიშვილის მოგონებები იმ მხრივაც არის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მწერალი და გულისხმიერი მასწავლებელი ვაჟას ხასიათის ფორმირებას, მასში პოეტური ნიჭის გამოძეგლავნება-განვითარებას იმთავითვე ადევნებდა თავალს. ს. მგალობლიშვილს სწორად ახსოვს, რომ ვაჟამ ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას დაიწყო ლექსების წერა, მაგრამ „მაშინდელი მისი ლექსი დაბალი ხარისხისა იყო, მხოლოდ რიფების შეკოჭვა იყო და იბეჭდებოდა ჟურნალ „იმედში“. ³მეუთარისტი გულისხმობს ლექსებს, რომლებიც დაწერილია 1877-1883 წლებში და ზოგი მათგანი, კერძოდ, „ყარსის ბოლოს“, „დროება“, „მეომარი“, „როდის იქნება“, „ჯერ არ მომკვდარა მორწმუნე გული!“ დაიბეჭდა ჟურნალ „იმედში“.

ვაჟა-ფშაველას სრული კრებული (ათტომეულის) ლექსების ტომების (I-II) რედაქტორი **ზურაბ ჭუმბურიძე** ამ ლექსების შესახებ წერს: „ვაჟას ყრმობის დროინდელი ლექსები მხატვრულად მართლაც საგრძნობლად მოისუსტებს, მათში ვაჟას ჯერ კიდევ არა აქვს ნაპოვნი თავისი პოეტური ხმა“.⁴

ვაჟა-ფშაველა თავის ერთ-ერთ წერილში: „PRO DOMO SUA“ ასე აფასებს ჟურნალ „იმედში“ გამოქვეყნებულ თავის ლექსებს: „რასაკვირველია, იმ ლექსებში ბევრი არა ყრია რა, იქნება ცოტა რამ კი ეტყობოდეს ნიშან-წყალი გრძნობისა“.⁵

¹ **სოფრომ მგალობლიშვილი.** *მოგონებანი*, (ფედერაცია, ტფილისი, 1938), გვ. 262.

² ს. მგალობლიშვილი. *მოგონებანი...* გვ. 263.

³ **ს. მგალობლიშვილი.** *მოგონებანი...* გვ. 171.

⁴ **ვაჟა-ფშაველა.** *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*, ტ. II, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1964), გვ. 511.

⁵ **ვაჟა-ფშაველა.** *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად*, ტ. IX, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1964), გვ. 179.

„როგორც აღნიშნავენ, პირველი ლექსი, რომელშიაც ვაჟამ თავისი პოეზიის შესაფერი ფორმა იპოვა და დიდი შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ მიმავალ გზას დაადგა, არის „ამირანი“.⁶

ს. მგალობლიშვილის თქმით, ვაჟა-ფშაველამ შექმნა „ახალი დარგი პოეზიისა“. ⁷ პირველ ხანებში „მის კილოს ვერ შეეგუა მკითხველი საზოგადოება, მაგრამ ძალიან მალე ვაჟა სა-თაყვანებელი გახდა. მის კილოს უკვე იცნობდა საზოგადოება რაფიელ ერისთავისა და ბაჩანასაგან.... ვაჟამდე ფშაველის ახალს კილოზე ბაჩანამ იწყო წერა“.⁸

რა თქმა უნდა, ს. მგალობლიშვილის ეს ცნობა გარკვეულ კორექტივს საჭიროებს. საქმე ისაა, რომ მთის კილოზე წერის სა-კითხს თვითონ ვაჟა-ფშაველა შეეხო თავის ცნობილ წერილში: „PRO DOMO SUA“. ვაჟამ სავსებით გარკვევით განაცხადა, რომ მასზე გავლენა რაფიელ ერისთავმა მოახდინა; რომ იგი მანამდეც იცნობდა უამრავ ლექსს, ფშაურ დიალექტზე ნაწერს, ძალიან მოსწონდა, მაგრამ ამ კილოთი წერას ვერ ბედავდა, რადგან „მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული, არამედ სხვა კილო მეფობდა. „ჯერ დღესაც სჭირს ამ ფშაურს კილოზე ნაწერის ლექსების საზოგადოებისაგან ყურის დაგდება, - ამბობს იგი, - და მაშინ ხომ უფრო საძნელო იქნებოდა. ჩვენმა სახელო-ვანმა მხცოვანმა მგოსანმა რაკი საერო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამაც“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა“.⁹ ასე რომ, ხუთი წლით უმცროსი ბაჩანას აღიარება პირველად ამ კილოთი ლექსების მთქმელად და მხოლოდ შემდეგ, გარკვეულად მისი შემოქმედებითაც, ვაჟასი, მართებული არ არის.

ს. მგალობლიშვილის გულწრფელი აღიარებით, „ვაჟამ ყველას გაასწრო. ბედაური და დალოცვილი ჯიშის იყო იგი.

⁶ ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II... გვ. 511.

⁷ ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი... გვ. 172.

⁸ ს. მგალობლიშვილი. მოგონებანი... გვ. 172.

⁹ ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX... გვ. 180.

წვრილ ლექსებს, „სიმღერებს“, მიჰყვა ზედიზედ მისი მსხვილმანობა - პოემები“.¹⁰

ს. მგალობლიშვილის მეხსიერებას ვაჟას ცხოვრების პერიპეტიები კარგად აქვს შემონახული. ის, რომ საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი ორი წელი მასწავლებლობდა, რომ სცენისმოყვარეთა დახმარებით პეტერბურგში გაემგზავრა სასწავლებლად და იქ გარკვეული დრო დაჰყო, „იგი განვითარდა, მსოფლმხედველობა გაუფართოვდა და დაბრუნდა სრულიად მოწიფული“; ¹¹ შემდეგ ვაჟა ამილახვრის ოჯახში პატარა გიორგის მასწავლებლად მიიწვიეს. აქ იგი დიდხანს არ დარჩენილა, დაქორწინდა და „მიმართა თვის ფშავეთსა, მიაგნო თავის ნამდვილ ბინას“.¹²

ს. მგალობლიშვილის მოგონებები იმ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რომ იგი აღადგენს დიდი ილიას დამოკიდებულებას ვაჟას მიმართ, ვაჟას ილიასეულ შეფასებას. ამ მხრივ მწერალი ეთანხმება სხვა მემუარისტებს, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ამ ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტის სისწორეში.

ს. მგალობლიშვილიც გვიდასტურებს იმ აზრს, რომელსაც ილიას სხვა ბიოგრაფები, მემუარისტები გადმოგვცემენ (ი. მანსვეტაშვილი, გრ. ყიფშიძე...): „ვაჟას დიდებული პოემების დაბეჭდვის შემდეგ ილიამ თურმე სთქვა: „ჩვენ მოგონილი პოეტები ვართ, აი, პოეტი ვაჟაა, რომელმაც მთელი მთა ააღაპარაკა, სიპქვასაც კი ხმა ამოაღებინაო“...¹³ „ჩვენ, ეხლანდელმა პოეტებმა, უნდა აღვიღო ვაჟას დაუთმოთო, ჩვენ იმასთან აღარ გამოვჩნდებითო“.¹⁴

¹⁰ ს. მგალობლიშვილი. *მოგონებანი...* გვ. 172.

¹¹ ს. მგალობლიშვილი. *მოგონებანი...* გვ. 171.

¹² ს. მგალობლიშვილი. *მოგონებანი...* გვ. 172.

¹³ ს. მგალობლიშვილი. *მოგონებანი...* გვ. 172.

¹⁴ ს. მგალობლიშვილი. *მოგონებანი...* გვ. 263.

ს. მგალობლიშვილი გვიყვება: „ივერიის“ რედაქციაში, როცა ვაჟას „გველის ჭამია“ წაიკითხეს, აღიძრა ლაპარაკი, გაგზავნილიყო იგი საზღვარგარეთ განსავითარებლად, ევროპიული განათლების მისაღებად.

ილია ჭავჭავაძემ ხელები გაასავსავა, - ვაი შენ, ჩემო თავო! ეგ არ გამაგონოთ, სამუდამოდ დაგვარგავთ ამ დიდის ნიჭის პატრონსაო; ევროპაში ფილოსოფიას გამოეკიდება და ამ დიდებულს ჩანგს კაჩხაზე ჩამოკიდებსო... დანებეთ თავი, იყოს თავის ფშავეთში და განაგრძოს თავისი შემოქმედებაო“.¹⁵

ს. მგალობლიშვილის მეძუარების ამ ნაწილთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ შემდეგი: როგორც კრებული „ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ“ შემდგენლები წერენ, ს. მგალობლიშვილის მოგონებაში ვაჟას შესახებ დაშვებულია რამდენიმე ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა. „მაგალითად, როცა ილიას აზრს აღადგენს ს. მგალობლიშვილი, ერთგან წერს: „ივერიის“ რედაქციაში, როცა ვაჟას „გველის ჭამია“ წაიკითხეს, აღიძრა ლაპარაკი, გაგზავნილიყო იგი საზღვარგარეთ“ - ეს არაა სწორი. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია ი. მანსვეტაშვილის, ი. იმედაშვილის და სხვათა მიერ, რომ ეს მოხდა ჯერ კიდევ ადრე, ვაჟას ახალგაზრდობის დროს, როცა იგი პეტერბურგიდან დაბრუნდა... მით უფრო, რომ „გველის მჭამელი“, რომელსაც მწერალი „გველის ჭამიას“ უწოდებს, „ივერიის“ რედაქციაში განხილვის საგნად არასოდეს ქცეულა. ეს პოემა „მოამბეში“ დაიბეჭდა 1901 წელს (N II-III) და ვაჟაც ამ დროს ყმაწვილი კი არა, ორმოცი წლის კაცია, თვით სოფრომ მგალობლიშვილიც ამ ხანებში უკვე „ივერიის“ თანამშრომელი აღარაა“.¹⁶

¹⁵ ს. მგალობლიშვილი. *მოგონებანი...* გვ. 172.

¹⁶ ლადო მინაშვილი. *ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ*, (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003), გვ. 28-29.

საერთოდ კი, ს. მგალობლიშვილის მოგონებები არა მარტო დიდი თაყვანისცემისა და კრძალვის გრძნობითაა დაწერილი გენიალური ვაჟას მიმართ, არამედ დიდად სარწმუნოცაა და მნიშვნელოვანი ვაჟა-ფშაველას პიროვნების ფორმირებისა და მისი შემოქმედების გასათვალისწინებლად. ს. მგალობლიშვილთან ჩვენ გვაქვს აღმზრდელ-მასწავლებლისა და ამავე დროს მწერლის მიერ აღდგენილი ვაჟას სასწავლო და საყოფაცხოვრებო გარემო, ვაჟას, როგორც გენიალური პოეტის, ფორმირების ერთგვარი სურათი.

ს. მგალობლიშვილის მოგონებებზე, ვაჟა-ფშაველასთან მის დამოკიდებულებაზე საუბრისას ისიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ს. მგალობლიშვილს აქვს ერთი მოთხრობა - „უკვდავების წყარო ვარ“, რომელიც, როგორც ამბობენ, სტილურად მკვეთრად განსხვავდება მისი სხვა მოთხრობებისაგან და, ალბათ, ამის გამოც ა. წერეთლის მოწონება დაიმსახურა. აკაკი სოფრომისადმი მიწერილ მოწონების წერილში იმასაც აღნიშნავს, რომ თავდაპირველად, როცა ამ მოთხრობის კითხვას შეუდგა, მიიჩნია, რომ თხზულება თედო რაზიკაშვილის ან ვაჟას ნაწარმოები იყო. მართლაც, ს. მგალობლიშვილის ამ მოთხრობას აშკარად ეტყობა დიდი ვაჟას ზემოქმედების კვალი, „თუმცა ჩამორჩება მხატვრულობის თვალსაზრისით მიბაძვის ობიექტს. ამ მოთხრობაში, ვაჟასაგან განსხვავებით, იდეა დიდად ბატონობს მხატვრულ მასალაზე - იგი შიშვლადაა წინ წამოწეული, რაც ასე უცხოა ვაჟასათვის“.¹⁷

ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვანი ისაა, რომ ვაჟაზე ასაკით უფროსი მისი მასწავლებელი - ს. მგალობლიშვილი ემორჩილება დიდი ნიჭის ძალას და მის ზემოქმედებას განიცდის. ეს ჩვენი მემუარისტისა და ვაჟას მასწავლებლის დიდბუნებოვანებაზეც მეტყველებს და მის თაყვანისცემით დამოკიდებულებაზეც გენიალური ვაჟა-ფშაველასადმი აშკარად მიანიშნებს.

¹⁷ ლ. მინაშვილი. *ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ...* გვ. 369.

Magda Chikaberidze

Doctor in Philology

Vazha-Pshavela – reference given by Sofrom Mgaloblishvili

Resume

Memoirs of the Georgian writers and public figures make a significant part of Sofrom Mgaloblishvili's literary legacy. In this regard, two of his memoirs, dedicated to the genius Vazha-Pshavela, should be noted particularly. First memoir "Due to Vazha-Pshavela's Evening" was printed in the "Public Sheet" newspaper (No.454) during the death days of the writer, while another was published later on in 1922, in "Bakhtioni" newspaper (No.13).

The memoirist met 18-year-old Vazha-Pshavela in 1879, when the latter was enrolled to Gori Teachers (Masters) Seminary. Vazha used to surprise everyone by his talent: he wrote and published poems, prepared the history abstracts, that were first read to the members of the seminary, and afterwards - in the Gori intellectuals' families.

In his memoirs, S. Mgaloblishvili revives in a fascinating way several episodes of Vazha-Pshavela's life; portrays his character traits, personal or creative features.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1964);
2. ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, (საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1964);
3. ლადო მინაშვილი, იუზა ევგენიძე. ქართველი მწერლები ვაჟა-ფშაველას შესახებ, (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003);
4. სოფრომ მგალობლიშვილი. მოგონებანი, (ფედერაცია, ტფილისი, 1938).

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის თემატიკა გიორგი გამყრელიძის პოეზიაში

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მრავალი ქართველი პოეტის (გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, კ. ნადირაძე...) შემოქმედებაში აისახა. ამ საბედისწერო მოვლენებს გამოეხმაურნენ როგორც სამშობლოში დარჩენილი, ასევე ახალ რეჟიმს საზღვარგარეთ თავგარდებული პოეტები.

უცხოეთში გადახვეწილ ასეთ ემიგრანტთა შორისაა ქართული კულტურული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, „ცისფერყანწელთა“ მეგობარი პოეტი გიორგი გამყრელიძე (ლიტ. ფსევდონიმები: „გრიგოლ ზოდელი“, „გ. ზოდელი“, „ზოდელი“, „გრიზოდელი“) (1904-1974). მან საქართველო 1923 წელს დატოვა - სასწავლებლად გერმანიაში გაემგზავრა და შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ემიგრაციის პერიოდში პოეტი ცხოვრობდა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მრავალმხრივ კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდა, წერდა ლექსებს და დედნებიდან თარგმნიდა ცნობილი უცხოელი პოეტების პოეტურ ნიმუშებს.¹

უცხოეთში გამოცემულ გიორგი გამყრელიძის წიგნებს შორისაა 1960 წელს სანტიაგო დე ჩილეში გამოქვეყნებული ლექსთა კრებული „გვიანი როველი“, რომელსაც ყურადღება დაუთმო გრიგოლ რობაქიძემ. მისი კრიტიკული წერილი სათაურით „გვიანი

¹ გურამ შარაძე. *უცხოეთის ცის ქვეშ*. (მერანი, თბილისი, 1991), გვ. 268-278.

როველი“ გიორგი გამყრელიძისა“ 1962 წელს გამოქვეყნდა პარიზში გამოშვებულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (№39-40).²

კრებულში გაერთიანებულ პოეტურ ნიმუშებს უმთავრესად მსჭვალავს შემდეგი მოტივები: პატრიოტიზმი, სამშობლოს წარსული და აწმყო, მისი გმირული ისტორია და სახელოვანი შვილები, ძლიერი ნოსტალგია, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა და ქართველ ხალხს თავს დატეხილი ბოროტება.

ბედუკუდმართობით უცხოეთში გადახვეწილი პოეტი თავს საპილიგრიმოდ წასულ საწყალ მგზავრს უწოდებს და გულწრფელად და ამაყად გვიცხადებს:

„ცივი გრიგალი თავს დამკივის სხვის მიწაწყლებზე,
„ყოფნა, არ ყოფნა“ - კითხვა მწვავე და დახლართული,
თუმც ჩემი ბაგე ამეტყველდა უცხო ენებზე,
მაგრამ ხმა სისხლის ჩემს ლექსებში ისმის ქართული.“³
(„ცრემლები ზვარში“).

პოეტი ხატოვნად აღწერს მშობელი ქვეყნის თვალწარმტაც ბუნებას, მთებს, ჭალებს, მდელოებს, ციხე-კოშკებს და ამბობს, რომ მისი დარი ქვეყანა არსად ეგულება. მის ლექსებში ხშირად გაიელვებს უდრტვინველი ბავშვობის მოგონება, მშობლიური იმერეთის სურათები და თვალწარმტაცი პეიზაჟები, რომელთაც პოეტი ვერ ივიწყებს და უცხოეთიდან ესიყვარულება. გიორგი გამყრელიძის პოეტურ ნიმუშებში ვხვდებით ასევე ქართულ ყოფით თუ კულტურულ რეალიებს, ისტორიული პირებსა თუ ლიტერატურულ პერსონაჟებს, ალუზიებსა თუ ციტატებს საყვარელი პოეტების შემოქმედებიდან: „სულიკო“, „სასახლე,

² გრიგოლ რობაქიძე. ნაწერები. ტ. IV (ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 2012), გვ. 301-303.

³ გიორგი გამყრელიძე. გვიანი როველი. (საარი, თბილისი, 2011), გვ.78.

როსტომ ერისთვის ნასახლკარალი“, „ციხე „მოდინახე“, „იალ-ბუზი“, „ნათელა“, „ნესტანი“, „ქაჯეთის ციხე“, „ცედური“...

პოეტს გამუდმებით ტანჯავს ოჯახთან და მშობლებთან განშორება, მისი ფიქრები ღღემუდამ, სიზმარსა თუ ცხადში მშობლებს, საკუთარ კერას, ეზო-ყურესა თუ ვენახს დასტრიალებს. მოხეტიალე პოეტი, მისივე თქმით „გვიანი მგზავრი“, ოცნებობს შინ დაბრუნებაზე, იმაზე, თუ როგორ გაუზიარებს და გაანდობს თავისი გზის სიმძიმესა და განცდილს ძვირფას დედ-მამას. განსაკუთრებით საგრძნობია დედის მონატრება, რომელსაც მეტად მგრძნობიარე სტრიქონები ეძღვნება. ეპისტოლური პოეზიის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს მისი ლექსი „ძველი ბარათი ანუ დედის წერილი“, რომელშიც დედა საყვარელ, დიდი ხნის მონატრებულ, უცხოეთში გადახვეწილ შვილს სულისშემძვრელი სიტყვებით მიმართავს და ეხვეწება, ნუ დაბრუნდება სამშობლოში, სადაც გაუსაძლისი, სიცოცხლისთვის საშიში ყოფა დამკვიდრებულია:

„ნუ მოხვალ, შვილო! გითვლი დედა მე მარიამი,

საქართველოში აღარ არის ჩვენი ალაგი“.

(„ძველი ბარათი ანუ დედის წერილი“).⁴

ლექსში „მოგზაურის ოცნება“ პოეტი ოცნებობს იმ ღღეზე, როცა მშობლიურ ეზოში ჩუმად შეიპარება. საკუთარ მამას ის ჯერ ყარიბად, უცხო მგზავრად მოეჩვენება, შემდეგ კი მოწოლილ გრძნობებს ველარ გაუძლებს და თავს გაუმუღავენებს გულმოკლულ მოხუცს. საოცრად ამაღელვებელია შვილის შეცნობით გახარებული მამის განცდები:

„ყვირის: მოხდა სასწაული

ღიაღი და ძვირი,

დამიბრუნდა ეგვიპტეში

გაყიდული შვილი.“⁵

⁴ გ. გამყრელიძე. *გვიანი როველი*.. გვ. 26.

მსოფლიოს მრავალი ქალაქის მნახველი პოეტი ვერ ივიწყებს მშობლიურ დედაქალაქს და მას ამქვეყნად საუკეთესოდ მიიჩნევს. ლექსში „მოგონება თბილისზე“ ის იხსენებს თბილისის ისტორიას, მის ძველ მტრებს, გმირ მეფეებს და მწარედ განიცდის იმას, რომ დედაქალაქი კვლავ დამპყრობლების - რუსი ოკუპანტების ხელშია. პოეტი მათ შეფარვით „ქერა სკვითებად“ მოიხსენიებს. რომლებიც მისთვის განსაკუთრებით საძულველნი იმის გამო არიან, რომ წინარე, ისტორიული მტრებისგან განსხვავებით „ცრუ მეგობრობით“ მოგვევლინნენ:

„შემდეგ დაგესხენ სხვა მტარვალები
ცრუ მეგობრობით გიხვევდნენ თვალებს;
ქერა სკვითების ჟღალი თვალები
გადმოსცქეროდნენ შენს არემარეს!“⁶

„ქერა სკვითებმა“ მისი ქვეყნის ახლად აღდგენილ დამოუკიდებლობას ბოლო მოუღეს, მისთვის ასე ძვირფასი სამფერი დროშა დააკარგვინეს:

„ვატარებთ უბით შენ სამფერ ალამს,
მაგრამ ლოდინმა გული დაღარა“.⁷

პოეტი ქალაქს ბრძოლისა და აღდგომისაკენ მოუწოდებს:

„აღსდგე, თბილისო! თავისუფლების
დროშა დაარჭვე შენს ციტადელებს“.⁸

„ქერა სკვითების“ პოეტური სახე გვხვდება კიდევ ერთ ლექსში. მოგონებებაშლილ, სამშობლოს მონატრებით დამწუხრებულ პოეტს აქვს განცდა, რომ საქართველოს დარად მის სულსაც „ქერა სკვითები“ შესევიათ:

„სხვა სურათები... დაირის ხმა, ლხინი, ცეღური
და მოგონებებს სიყვარულით გავეკიდები,

⁵ გ. გამყრელიძე. გვიანი რთველი... გვ. 37.

⁶ გ. გამყრელიძე. გვიანი რთველი... გვ. 24.

⁷ გ. გამყრელიძე. გვიანი რთველი... გვ. 23.

⁸ გ. გამყრელიძე. გვიანი რთველი... გვ. 24.

და ვხდები ისევ სევდიანი და უბედური,
თითქოს ჩემს სულსაც შეესივნენ ქერა სკვითები“.⁹
(„ჩვენი მხარე“).

„ქერა სკვითების“ იდეოლოგიაც მიუღებელია გიორგი გამყრელიძისთვის. რევოლუციურ-კომუნისტური იდეალებისადმი მისი ნეგატიური დამოკიდებულება მეტად ფრთხილად, როგორც იტყვიან, სტრიქონებს შორის ცნაურდება ქართველი მამულიშვილისა და ეროვნული მოღვაწის შალვა ამირეჯიბისადმი მიძღვნილი ლექსის ლირიკული გმირის სიტყვებში. მას, როცა ის სამშობლოს ტოვებს და ემიგრაციაში მიემგზავრება, შოპენის მშვენიერი მუსიკა ჩაესმის, რაც სამშობლოსა და მშობლიურ ბუნებასთან ჰარმონიის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ. შემდეგ მოულოდნელად ამ ჰარმონიას არღვევს და გაისმის რევოლუციური ჰიმნის ჰანგები, ახალ დროების შესატყვისი და ამაოების გამომხატველი.

„უცბათ მომესმა გრამაფონის ხმა ჩახლეჩილი,-
ვიღაც სულელი ამღერებდა „მარსელიეზას.“
და ეს მოტივი ახალ ყოფნის აზრით მღვრეული,
შესტროფოდა ახალ აღტაცებას, ახალ დროებას,
შორს, ერთ გორაკზე სჩანდა ციხე ჩამონგრეული
და მყუდრო ჭაღას შესჩიოდა ამაოებას.“¹⁰
(„დამშვიდობება“ (ემღენება შალვა ამირეჯიბის ხსოვნას)).

კომუნისტური ტერორისა და რეპრესიების მიუღებლობა სჩანს ასევე ლექსში „პაოლო იაშვილის ხსოვნას“, სადაც პაოლოს თვითმკვლელობას ის „შხამიან და წამებულთ გზაზე“ წასვლას უწოდებს.¹¹

⁹ გ. გამყრელიძე. *გვიანი რთველი...* გვ. 33.

¹⁰ გ. გამყრელიძე. *გვიანი რთველი...* გვ. 34.

¹¹ მაია ცერცვაძე. *ემიგრანტი პოეტი გიორგი გამყრელიძე და „ცისფერყან-წელები“*. X საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები - მოდერნიზმი ლიტერატურაში, გარემო,

მძაფრი ნოსტალგიური განცდების გამომხატველია ლექსი „ცრემლები ზვარში“, რომელშიც მტრის მიერ აოხრებულ სამშობლოსთან ერთად დასეტყვილი და ნამეხარი კენახის სურათიც პოეტურად არის დახატული. საგულისხმოა, რომ კენახი აქ მამულის ალეგორიაა, ხოლო მისი დამპყრობლები „ყაჩაღების“ სახელით იხსენიებიან:

„დაბინდულ სმარაგდს შეეპარა ქარვა ყვითელი,
ბორიო ქარმა ფრთა მედგარი გაშალა ველში,
დამწიფდა ციციქა, საფერავი და რქაწითელი
და მე წავედი მამიჩემის კენახის რთველში.
მე მივდიოდი წინაპართა გათელილ კვალით,
შორეულ ზღაპარს შრილებდნენ ცაცხვის რტოები,
მწიფე მტკვნებში მზე ჭვიოდა და უფლის თვალი
და მე მინდოდა, რომ ამეჭრა აკიდოები.
მაგრამ მემკვიდრე ყაჩაღებმა დამჭრეს კენახში
და მძიმე, მძიმე იარებით დასერეს მკერდი.
დარაზეს კარი, არ დამტოვეს საყვარელ ბაღში
და უბედური სხვის ბაღჩაში მწარედ ავმღერდი“.¹²

ლექსი მთავრდება სტრიქონებით:

„დედაო ღვთისავ! დაიფარე ჩვენი მამული
და გაახარე მამიჩემის დამცნილი ვაზი“.¹³

აღსანიშნავია, რომ ამ ორ დამამთავრებელ ტაეპს გრ. რობაქიძე გამოყოფს ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ რეცენზიაში და მათ საუკეთესო „აკიდოებს“ უწოდებს.¹⁴

საკუთარი შემოქმედებით მოგერილი სიხარული ვერ აქარგებს პოეტის გაუსაძლის სევდას. მას მუდმივად გულს უკლავს

სახელები, თემები“, მასალები (ნაწილი II), თბილისი, 2016, 28-20
სექტემბერი, გვ. 231-232.

¹² გ. გამყრელიძე. *კვიანი რთველი...* გვ. 78.

¹³ გ. გამყრელიძე. *კვიანი რთველი...* გვ. 78.

¹⁴ გრ. რობაქიძე. *ნაწერები...* გვ. 302.

ღამონებული საქართველოს ტრაგიკული ბედი და იმ დიდ ტკივილს, რომ ასე იგვიანებს მისი თავისუფლება, ასეთი ხატოვანებით გადმოგვცემს:

„და თუმცა შეეუქე პირიმზეს ტანი,
ღვალს ჩავაქსოვე ოქრო ნაჭედი,
მაგრამ ქაჯებს ჰყავთ ისევ ნესტანი
და იალბუზზე მოსჩანს ქაჯეთი“.¹⁵

(„მე შავი ზღისკენ გავყვები ქარებს“)

გიორგი გამყრელიძე თავის და მის ბედქვეშ მყოფთა დიდ უბედურებად მიიჩნევს იმას, რომ შეიძლება სამშობლოში ვერ ჰპოვოს სამუდამო განსასვენებელი. ბევრი მისი გადახვეწილი წინაპრისა თუ თანამედროვის მსგავსად პოეტს მართლაც არ ეღირსა სამარედ მშობლიური მიწა. მეტიც, ის თავისი ემიგრანტი მეგობრების საფლავებს შორისაც არ არის დაკრძალული, ვთქვათ, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე - მიუნხენში განისვენებს საყვარელი და ერთგული გერმანელი მეუღლის გვერდით. მას „სამუდამო უსამშობლობა“ („კოლიბრის გული“) არგუნა ბედმა და სამშობლოს ნატვრით დაღია სული. სევდით სავსე პოეტს იმედად ისლა რჩებოდა, რომ მის პოეზიას დიდხანს ეყოლებოდა მკითხველი:

„მჯერა, ამ ლექსებს იქნებ დიდხანს შერჩეს მკითხველი,
მჯერა, ეს გულიც გადაურჩეს იქნებ ობლობას,
მაგრამ ჩემს სევდას, სიმარტოვეს, უსამშობლობას
განა ჰყავს ქვეყნად მეგობარი და გამკითხველი?“¹⁶
(„ავიღებ კალამს“).

მოხსენებაში ჩვენ შევეხეთ გიორგი გამყრელიძის პოეტური კრებულიის იმ ლექსებს, რომლებშიც ყველაზე მძაფრად და დიდი ექსპრესიით არის გადმოცემული საბჭოთა რუსეთის მიერ

¹⁵ გ. გამყრელიძე. *კვიანი რთველი...* გვ. 79.

¹⁶ გ. გამყრელიძე. *კვიანი რთველი...* გვ. 109.

საქართველოს დაპყრობის სავალალო შედეგები და მისით გამოწვეული პოეტის უმძიმესი ზვედრი და სულიერი მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ იგი თავის სათქმელს გამორჩეული ფორმით გადმოგვცემს. საინტერესოა გიორგი გამყრელიძის პოეტური კრებულის ლექსწყობისა და პოეტიკის საკითხებიც. მისი პოეზიის ერთ-ერთ სახასიათო თავისებურებას წარმოადგენს მდიდარი ეფფონია. კრებულში თავმოყრილი ლექსები გამორჩეულია ტროპიკის თვალსაზრისით, გვხვდება ორიგინალური მეტაფორები, ეპითეტები, შედარებები, ალუზიები, ციტატები, მხატვრული სახეები და სხვ., თუმცა მათი მიმოხილვა და ანალიზი სცდება ჩვენი ამჟამინდელი კვლევის ფარგლებს და მას სამომავლოდ ვიტოვებთ.

Maia Tsertsvadze

Ph.D in History

Topic of the conquest of Georgia by Soviet Russia in the Poetry by Giorgi Gamkrelidze

Resume

The report is devoted to those poems of collection of poems ‘Late Vintage’ by significant emigrant poet Giorgi Gamkrelidze in which the tragic consequences of the Russian occupation of 1921 in Georgia and the tragic fate and spirit of the poet are more sharply and expressively expressed.

Giorgi Gamkrelidze (known by the pseudonym Grigol Zodeli) (1904 - 1974) left Georgia in 1923 to study in Germany and never returned to his motherland. During the emigration the poet lived in Europe and the USA and led many-sided cultural works, wrote poems and translated poetry of prominent foreign poets from originals.

Amongst the books by Giorgi Gamkrelidze published abroad is a collection of poems ‘Late Vintage’ published in Santiago de Chile in 1960. This collection of poems attracted Grigol Robakidze’s attention. Robakidze’s critique entitled ‘Late Vintage’ by Giorgi Gamkrelidze’ was published in Paris in 1962, in the journal ‘Bedi Kartlisa’ (N39 - 40). The collection of books unites poems referring to largely similar topics permeated by the following motifs: patriotism, love of motherland and its present day, its heroic past and glorious children, the Soviet occupation of 1921 and the misfortune to it brought by the Russians (referred to as Scythians by the poet), overwhelming nostalgia.

This research enriches and broadens our knowledge of Georgian emigration and literary history.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბეჟან ბარდაველიძე. „დედავ, მოვედი გვიანი მგზავრი“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 25 აგვისტო, 1989;
2. გიორგი გამყრელიძე. გვიანი რთველი. (საარი, თბილისი, 2011);
3. გიორგი კეკელიძე. არარსებული საზღვრების გამო. ჟურნალი „სემიოტიკა“, №6, 2009;
4. გრიგოლ რობაქიძე. ნაწერები. წიგნი IV. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო ლალი ცომაიაშ. (ლიტერატურის მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 2012);
5. გურამ შარაძე. ამერიკელი ქართველები. (სამშობლო, თბილისი, 1992);
6. გურამ შარაძე. უცხოეთის ცის ქვეშ. (მერანი, თბილისი, 1991);
7. გურამ შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. III. თბილისი, 2003;

8. **მაია ცერცვაძე.** გიორგი გამყრელიძის „მოგონებები ქართველ პოეტებზე“. *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, №7-8, 2016;

9. **მაია ცერცვაძე.** ემიგრანტი პოეტი გიორგი გამყრელიძე და მისი ერთი პირადი წერილი. *ჟურნალი „ცისკარი“*, №1-2. 2014;

10. **მაია ცერცვაძე.** *ემიგრანტი პოეტი გიორგი გამყრელიძე და „ცისფერყანწელები“*. X საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები - მოდერნიზმი ლიტერატურაში, გარემო, სახელები, თემები“, მასალები (ნაწილი II), თბილისი, 2016, 28-20 სექტემბერი;

11. **რუსუდან ნიშნიანიძე.** კულტურათა გზაჯვარედინი - ამერიკაში გამოცემული გიორგი გამყრელიძის პოეტური კრებულები, 2012;

12. **რუსუდან ნიშნიანიძე.** *ტრადიცია და თავისუფლება*, II საერთაშორისო სიმპოზიუმის „ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები“, მასალები, თბილისი, სექტემბერი, ნაწილი II. 2007;

მანანა ტაბიძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი,

თინათინ თურქია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ფილოლოგიის დოქტორი

მართლწერისა და მართლმეტყველების პრობლემები უმაღლეს სკოლაში

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უკვე ორ ათეულ წელზე მეტია დაიწყო სავალდებულო კურსად აკადემიური წერის სწავლება. ამჟამად ამ კურსმა მოიცვა უმაღლესი განათლების სამივე საფეხური და, უდავოდ, მთელი რიგი სასარგებლო უნარებისა შესძინა სტუდენტებს (მომავლის სპეციალისტებს); მაგრამ, ვფიქრობთ, კურსს აღმოაჩნდა მიუღწეველი მიზნებიც, რაც ამ ოცწლიანი (პირობითად) გამოცდილების შეფასება-ანალიზის საჭიროებას აყენებს დღის წესრიგში.

ძალიან ხშირად პოლიტიკოსების, მმართველობითი სისტემის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებისა და მაღალრეიტინგიანი ჟურნალისტების წერითსა და ზეპირ მეტყველებაში უამრავი ორთოგრაფიული შეცდომა, კალკა, ლექსიკის სიმწირე, ტერმინოლოგიის არამიზნობრივი ხმარების მაგალითები გვხვდება („დავფიქსირდები“, „გავმეორდები და ვიტყვი“, „იმას იძახის, რომ ეკონომიკური კრიზისი დასაძლევია“, „ეს არ მანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან“, „ცივილურობა მოითხოვს, ერთმანეთის პატივისცემას“, „აღამიანური ინსტიტუტები ღალატობენ“, „უნდა ჩამოვყალიბდეთ მშვიდობაზე“, „გაცვალეს აზრები“ და სხვ.

სკოლა მშობლებს აბრალებს ბავშვის უწიგნურობას, მშობელი – მასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებელი – სკოლას, რომელსაც თავად გაუგზავნა დიპლომირებული პედაგოგი და ა.შ. ამ ჩაკეტილ

წრეში ტრიალს ბოლო არ უჩანს, და როგორც ჩანს, ასეა არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ მოწინავე მსოფლიოშიც.

აკადემიური წერის ამ საყოველთაო (საუნივერსიტეტო სივრცეში) კურსს ჩვენში წინ უძღოდა ე.წ. „ქართული მეტყველების კულტურის“ ან „ქართული ენის“ კურსების სავალდებულო სწავლება, შემოღებული 1978 წლიდან, როდესაც ქართული ენის (როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენის) საკონსტიტუციო უფლების დაცვის კონტექსტში, სახელმწიფო დონეზე გადაწყდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება. ამ ღონისძიებათა გატარება მაშინდელ ხელისუფლებას აიძულა ქართული ენის დასაცავად საერთო სახალხო მოძრაობამ, რომელსაც შთააგონებდა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის მისწრაფება; ქართული ენის სწავლების გაძლიერების აუცილებლობის არგუმენტებად სახელდებოდა:

ა) რუსულის, როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ენისა, და საერთო საბჭოური სივრცის კოინეს გავლენით ქართული ენის ფლობა—მოხმარების შეზღუდვა;

ბ) ნასესხობათა და ბარბარიზმების მოძალემა (მეტადრე აკადემიურ სივრცეში);

გ) ქართული ენის ხარისხოვანი შესწავლისათვის მოტივაციის დაქვეითება სამეცნიერო პროდუქციის საკავშირო სივრცეში მიმოქცევისთვის რუსულის აუცილებლობის ფონზე;

დ) საკარიერო წინსვლისთვის საქართველოშივე რუსულის ფაქტობრივი უპირატესობა ე.წ. საკავშირო წარმოება—დაწესებულებებში, პარტიისა და სახელმწიფოებრივ სხდომებსა და თათბირებზე რუსულის აქტიური გამოყენება, მოსკოვთან ანგარიშგების ვალდებულებები ყველგან და ყველაფერში;

ე) რუსული ენის როლისა და მნიშვნელობის უდიდესი პროპაგანდა;

ვ) თითქმის ორსაუკუნოვანი კოლონიალიზმის დამორგუნველი, დამაკნინებელი პრაქტიკა;

ზ) ქართველი ინტელიგენციის დაწინაურებული ნაწილის „მორგებულობა“ საბჭოთა იდეოლოგიაზე, და რუსული გავლენის უკვდავების რწმენა.

ის მწარე გამოცდილება, რომელიც საქართველომ შეიძინა რუსული კოლონიალიზმის პირობებში, მნიშვნელოვანია დღესაც, როდესაც ქართული ენის სახელმწიფო ფუნქციონირების საკითხი ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

ჩვენ ამჯერად ისეთ საგანზე ვსაუბრობთ, როგორიცაა „აკადემიური წერა“, რომელშიც ოფიციალურად მთლიანადაა ამოღებული ქართული აკადემიური სივრცისთვის დამახასიათებელი ორთოგრაფიული, სტილისტიკური და ლექსიკურ-ტერმინოლოგიური ნორმების სწავლება.

სათქმელის გადმოცემა სტუდენტისაგან მოითხოვს აღქმას, გაგებას, ანალიტიკური უნარებით შეფასებას და ამის სხვათათვის გადაცემას; ამ გზაზე კი საჭიროა:

ა) სწორი ტექნიკა (გრამატიკის, წინადადების სტრუქტურის, მართლწერის შემოწმების);

ბ) ნაშრომის სტრატეგიის დაგეგმვა;

გ) იდეის შეტყობინება ნათლად და მოკლედ;

დ) დასაბუთება; დასაბუთებადი არგუმენტის პოვნა და ჩამოყალიბება;

ე) მასალისა და წყაროების მოძიება;

ვ) იდეის ეფექტურად ორგანიზაცია.

მაგრამ თუკი სტუდენტს ნაკლულოვანი ცოდნა აქვს ამ სფეროებში, მისი მწირი გრამატიკა, მოუწესრიგებელი ტექსტი, თხრობის არათანმიმდევრულობა, წინადადების აგებაში შეცდომები, ლექსიკის არასწორი შერჩევა და ა.შ. აღარიბებს აზრსაც. როგორც მიუთითებენ, სტუდენტს არა აქვს „ცოდნა ცოდნის შესახებ“, ანუ ის ვერ იაზრებს, რას უნდა ესწრაფოდეს, რა იცოდნენ სხვებმა ამა თუ იმ საკითხზე და როგორ იცოდნენ, მათ არა აქვთ სიღრმეული კომპეტენცია.

ენობრივი შეცდომები სწავლების სამივე საფეხურზე იჩენს თავს, თუმცა ეს სამი საფეხური ენობრივი ხარვეზებს მხრივ ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თუ ბაკალავრიატის დაწყებით კურსებზე სკოლიდან გამოყოფილი ორთოგრაფიული და სტილისტიკური (შედარებით ღარიბი ლექსიკა, სიტყვის შინაარსის არასრული გააზრება, ტავტოლოგიათა სიმრავლე, სასაუბრო (მდაბიური) ენიდან აღებული ლექსიკა—ფრაზეოლოგიის „რეციდევები“...) ხარვეზები ჭარბობს, სამაგიეროდ, დამამთავრებელ კურსებსა და მაგისტრატურაში მეტია ტერმინოლოგიური შეცდომა, უცხოური სიტყვების ქართული ეკვივალენტების არცოდნა, შტამპი და კლიშე, სინონიმთა სიღარიბე; რაც შეეხება დოქტორანტურის საფეხურს, სადაც ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა პროფესიული გამოცდილების ადამიანები შეიძლება აღმოჩნდნენ, თავს იჩენს ისეთი ენობრივი ხარვეზები, როგორიცაა უცხოური ტერმინოლოგია იქ, სადაც ამის აუცილებლობა არ არის, უცხოენოვანი სინტაქსური მოდელების გავლენა, კალკა, შტამპი, ქართული ენის შესაძლებლობათა არასრულყოფილი ცოდნა და გამოყენება, ფრაზეოლოგიური შეცდომები, პარონიმული ფორმების აღრევა და ა.შ.

სამივე საფეხურს საერთო ისა აქვს, რომ შეცდომათა მეტი წილი ლექსიკა—ფრაზეოლოგიის სფეროზე მოდის, შედარებით ნაკლები — ორთოგრაფიაზე, თუმცა ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომებიც არაა ცოტა (პუნქტუაციური შეცდომა, როგორც მოგეხსენებათ, ხშირად სინტაქსურ—სტილისტიკური ბუნებისაა);

სადავო არაა, რომ აკადემიური წერის ჩვევები და კომპეტენცია საჭიროა ნებისმიერ დარგში. შესაძლოა ამან განაპირობა ის უცნაური „ინტერნაციონალიზაცია“, რომელიც აკადემიურ წერას დაემართა; იქმნება „ერთიანი ჩარჩოები“ აკადემიური ნაშრომების სტრუქტურისა. და თითქმის სრულიად უგულებელყოფილია საკუთრივ ენობრივი ცოდნა (მართლწერა, ლექსიკაზე მუშაობა,

ფრაზეოლოგიზმები, ტერმინოლოგიის გამართვა...), იქამდე, აკადემიურ წერას უკვე არაენათმეცნიერებიც ასწავლიან. უმაღლეს სკოლაში, სადაც სპეციალური კვალიფიკაციის გარეშე პედაგოგი არ დაიშვება, ნუთუ მხოლოდ აკადემიური წერა შეიძლება ასწავლოს ნებისმიერი დარგის წარმომადგენელმა. საგანმანათლებლო სივრცის გაფართოებამ და უამრავი სხვადასხვა ცოდნისა და კულტურული თავისებურების სტუდენტთა თავმოყრამ გამოიწვია აკადემიური წერის პრობლემების ისეთი სიმრავლე, რომ კურსი ყოველი ცალკეული საკითხის დამუშავებას ვეღარ მოერევს; სწორედ ამიტომ შეირჩა და დამუშავდა კურსის მხოლოდ ფორმალური მხარე, რომელიც ნაშრომის გაფორმებას უკავშირდება და რომელიც ინფორმაციის მხოლოდ სქემას იძლევა; ამავე მიზეზით, თითქმის სრულიად დაანებეს თავი ენობრივ ასპექტებს, რომელმაც სქემა უნდა გააშინაარსოს, კონტექსტურად დატვირთოს, ექსპრესია მისცეს და განათლებული ადამიანი მოგვემზადოს; და რამდენადაც უკვე წლებია მხოლოდ სქემების მცოდნე ადამიანებს ვამზადებთ, მათ უკვე ნორმადაც მიაჩნიათ თანამედროვე დარგობრივ ენათა სიმწირე.

სწორედ „ჩარჩოვანი“ სწავლების მეშვეობით ე.წ. ინტელექტუალური ენობრივი სივრციდან თანდათან გადის ლექსიკა-ფრაზეოლოგიური მრავალფეროვნება, გრამატიკული მანევრირების პოტენციალი, საკუთარი ლექსიკის საფუძველზე ტერმინოლოგიის მოძიება-შეკვების ინტერესი და უნარი, რაც ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ დარგობრივ ენებზე, არამედ მწერლობაზეც და სამოქალაქო საზოგადოების სამეცხველო ენაზეც. თანდათან ინტელექტუალურ სფეროებში მოდიან ადამიანები „ჩარჩოვანი“ ენობრივი განათლებით, რომელთაც არც კი იციათ, რა შეუძლია ენას, და ქართულ ენას კერძოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნინო მარკოზია. *ენობრივი დისკუსიები XX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში (ამავე პერიოდის პრესის მასალების მიხედვით)*, თბილისი, 2016.
2. მანანა ტაბიძე. მშობლიური ენის სწავლების პრობლემები თანამედროვე განათლების კონტექსტში, *ჰუმანიტარულ და სამართლის ფაკულტეტის შრომები*, ტ.7, 2017.
3. ი. ჯიქია *სავანმანათლებლო ტერმინოლოგია საერთაშორისო დოკუმენტაციის ქართულ თარგმანებში (ბოლონიის დეკლარაცია)*, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, (ხელნაწერის უფლებით), 2017.
4. <https://www.cmu.edu/teaching/designteach/teach/instructionalstrategies/writing/poorlyprepared.htm>
5. *The Problem and the Importance of Academic Writing* <https://www.linkedin.com/pulse/problem-importance-academic-writing-jane-copland>
6. **Ирина Борисовна Короткина.** *Теория и практика обучения академическому письму в зарубежных и отечественных университетах*, Федеральное государственное бюджетное научное учреждение «Институт стратегии развития образования Российской академии образования», На правах рукописи, Диссертация на соискание ученой степени доктора педагогических наук, Москва – 2018, http://www.instrao.ru/images/1Treshka/Aspirantura/Dissertants/Korotkina/Korotkina_IB_dis.pdf
7. **Ken Hyland, Brian Paltridge.** *Academic Discourse // The Bloomsbury Companion to Discourse Analysis*, Bloomsbury, 2011.
8. **Ken Hyland.** *Disciplinary Discourses: Social Interactions in Academic Writing*, (Longman, London, 2000);

9. **Bain A.** *English Composition and Rhetoric: A Manual.* (Classic Reprint) Forgotten Books, (2017). P. 356.
<https://archive.org/details/englishcomposit00baingooog/page/n12>
10. **Hugh Blair.** Dr. Blair's Lectures on Rhetoric
<https://books.google.ge/books?id=NgRPAAAYAAJ&pg=PA217&lpg=PA217&dq>
11. *Reference Guides to Rhetoric and Composition*, Series Editors: Charles Bazerman, Mary Jo Reiff, and Anis Bawarshi, Parlor Press Anderson, South Carolina www.parlorpress.com The WAC Clearinghouse Fort Collins, Colorado <http://wac.colostate.edu/> Parlor Press LLC, Anderson, South Carolina, USA The WAC Clearinghouse, Fort Collins, Colorado 80523-1052, 2013.
<https://wac.colostate.edu/books/reconnecting/reading.pdf>
12. **Steven Lynn.** *Rhetoric and Composition: An Introduction.* (Cambridge University Press, Cambridge, 2010).

Manana Tabidze

St. Andrew The First-Called Georgian University,
Of The Patriarchate of Georgia, Professor

Tinatina Turkia

Ilia State University, Doctor in Philology

Problems of verbal and writing communication in schools of higher education

Resume

Georgian educational system has adopted the course of “Academic writing” more than twenty years already, it covers every level of education and there is no doubt that it has given many useful skills to students (specialists of future), even though we think that course has some unfulfilled goals which have to be analyzed. Our society, mostly every part of it high ranked journalists, representatives of political establishment communication language is full with different mistakes.

Orthography, flaws in lexicology, using the wrong unreasonable terminology

School blames parents, parents – point out on teachers; universities address schools, on the other side they are responsible for certified specialists and so on, it is a closed circle and there is no end and this is a problem not only for us but for all world as it appears.

The essential course of “Academic Writing” was preceded by the courses like: “culture of Georgian speech” and “Georgian language”, it was declared mandatory since 1978, when the right of Georgian language as an state republic status was determined on state level, the government then, was forced to do so, by the general public movement of Georgian people.

The bitter experience we got under colonial regime of Russia is very important, as functioning of Georgian as a state language faces new challenges today.

Today we are discussing “Academic writing” and this subject has fully rejected to teach norms of Georgian language which are common for our academic sphere, it’s style, orthography and lexicology.

To be able to communicate student must have ability to perceive , understand, analyze and to transfer the knowledge to others so needs to : a) right techniques; b) plan the strategy of the work ; c) state the idea shortly and clearly ; d)state the opinion and find and establish proper arguments; e) look for materials ; f) to organize the idea effectively and when the knowledge of the student is not enough, has the poor vocabulary , is weak at grammar, is not good at orthography, has mistakes building up the sentences and etc. weakens the conception as well. As it is said, “students don’t have the knowledge about the knowledge”, in other words they don’t know what to learn, what was the experience, that’s why the information they have is superficial. Mistakes appear at every level of education system, but they differ in few ways. Bachelors mostly have poor vocabulary, orthography, stylistic flaws, examples of tautology; and at the last

years of the first stage and in masters the mistakes and flaws are related mostly to terminology, no enough number of synonyms, no Georgian equivalents. And at the last level of doctoral degree where the people already have professional knowledge but still problems related to terminology, phraseology, syntax; using the foreign terms instead of Georgian words, wrong forms of paronyms.

The common for all three levels are that mistakes are mostly connected to lexical and phraseology field, less with orthography, but it can't be called meaningless (it is mostly characterized with syntax and style). There is no need to argue that learning "academic writing" is useful for every field and may be this is the reason that teaching this subject has become strangle "international". They create some kind of united frames, structures which can be appropriate to any style and linguistic norms are rejected all the way, and the subject is taught by those who are not linguistics. Is this the only subject which can be taught by anybody? As the course has widen it was not able to work on every part of it, and mostly focused on formal side and for the same reason they left aside linguistic aspects, which is responsible to bring alive standard schemes. As this is a norm already for years that's why get used to poorness of our language in every field. Gradually the people who have this kind of "framed" education express themselves on very low level, this has the influence on everything even on literature, on verbal communication of society which has no idea how strong the abilities of Georgian language are.

ტარიელ ფუტყარაძე,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი

მიხეილ ლაბაძე
ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველ-
ოლოგიის ცენტრი

ტაოდან შუა თურქეთში ქართველთა გადასახლების შესახებ

ისტორიული საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეებიდან შუა ოსმალეთში ქართველთა მასობრივი გადასახლება მოხდა მუჰაჯირობის დროს; კერძოდ, რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ ორივე სახელმწიფოს ხელს აძლევდა ქართველთა აყრა ისტორიული საცხოვრისიდან: რუსეთს ამ მიწებზე მისთვის სანდო ხალხის - კაზაკების, სომხების, რუსების... ჩამოსახლება უნდოდა, ოსმალეთს კი შუა თურქეთში მუშახელი ესაჭიროებოდა; შესაბამისად, მუსლიმანთა დაცვის საბაბით, ოსმალეთმა გზა გაუხსნა გამუსლიმანებულ ქართველებს, რომელთაც, თავის მხრივ, მიზანმიმართულად ავიწროებდნენ რუსი მოხელეები.

აჭარიდან (ქობულეთიდან, მაჭახელას ხეობიდან), აფხაზეთიდან, ისტორიული ლივანიდან, იმერხევიდან და ლაზეთიდან წასული მუჰაჯირების შესახებ ბევრი ცნობა თუ გამოკვლევა მოგვეპოვება; ტაოდან გადასახლებულთა შესახებ კი მონაცემები მწირია.

ტაოდან მუჰაჯირობის კონტექსტში საყურადღებოა თურქი ისტორიკოსის, იუსუფ ზია ქარაასლანის ცნობა; კერძოდ, ის წერს: თანამედროვე იუსუფელის ილის ტერიტორიის უკიდურესი ჩრდილო მხარე (სადოვრები) – 1878 წელს, სან-სტეფანოს ზავის შედეგად რუსულ-ოსმალურ სასაზღვრო ზონად იქცა. ამის გამო,

მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლებმა, რომლებსაც უშუალოდ შეეხოთ სასაზღვრო ზონაში მოქმედი შეზღუდვები, საკუთარი ნებით გამოთქვეს სადმე შუა ოსმალეთში გადასახლების სურვილი ხელისუფლებამ მათი მოთხოვნა მაშინვე დააკმაყოფილა და ყველანი საკუთარივე ხარჯით გადაიყვანა ბურსის ახლოს.¹

სხვა თურქი ისტორიკოსის, ულქუ ონალის ცნობით, ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დასრულებამდე - 1877 წელს, ართვინის და არტანუჯის მუსლიმი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მშობლიური მხარე დატოვა და ოსმალთა კონტროლირებად მხარეში - აქამინდელი იუსუფელის ილის (რაიონის) ტერიტორიაზე, სოფ. ოშნაქს შეაფარა თავი. აქ ისინი ზავის დადებამდე იმყოფებოდნენ, ხოლო შემდეგ კი, როცა შეიქნა იმის საშიშროება, რომ ეს მიწებიც შეიძლებოდა, რუსეთს გადასცემოდა, სოფ. ოშნაქში დაბანაკებულმა მუჰაჯირებმა თხოვნით მიმართეს ოსმალ ხელისუფლებს, რომ ამ უკანასკნელთ გამოეყოთ მათთვის სამოსახლო ტერიტორია სადმე შიდა ოსმალეთში. მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ეს ხალხი გადაასახლეს ოსმალეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში - სტამბოლის და იზმიტის მიდამოებში, სადაც მათ „იუსუფელელი მუჰაჯირები“ ეწოდათ იმის გამო, რომ იუსუფელიდან ჩამოსახლდნენ.²

ქართულ წყაროებში ტაოელ ქართველთა მუჰაჯირობის შესახებ არაფერია ნათქვამი. ფაქტი ახსნადია: ტაო არ გადასულა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში და არც შესაბამისი დოკუმენტაცია შენახულა.

¹ Yusuf Ziya Karaaslan, “93 Harbi Sonrası Kafkasya’da Bursa’ya Kitlesel Göç Hareketleri: Odunluk Örneği”/Odryses’ten Nilüfer’e, uluslararası Nilüfer simpozyumu, 13-15 kasım, Nilüfer, Bursa, Türkiye, pp. 401-416.

² Ülkü onal, “Artvin muhacirlik hatıraları“, Ankara, 2010, pp.43. (თურქ ისტორიკოს ულქუ ონალის წიგნის მიმოხილვის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე www.08haber.com/haberGoster.php?hid=4716. დამოწმებულია 01.05.2019.

ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი იოსებ ყიფშიძე (1882-1919) თავის „საანგარიშო მოხსენებაში ჭანეთში მივლინებისა 1917 წლის ზაფხულს“ აღნიშნავს,³ რომ მას ვიწეს თემის სოფელ სუმლაში, - ფაცა-ორდუ-სინოპისკენ მუჰაჯირად გადახვეწილი ლაზების მიერ მიტოვებულ სამოსახლოებზე - უნახავს ტაოს სოფ. ხევეგიდან გადმოსული ტაოელები, რომელთაც აქ „ვაკუჭილების“ სახელით იხსენიებდნენ. ყიფშიძე ასახელებს ორ ინფორმანტს: 11 წლის მურათ გულსუნსა და 50 წლის ხასან თათაროღლის სუმლაში,⁴ ამ უკანასკნელის შთამომავლები დღემდე თათაროღლებად იწოდებიან (მაგალითად 2005 წელს, ჩვენი ინფორმანტი იყო სევეგი თათაროღლი). მუჰაჯირობიდან ლაზთა უკან დაბრუნების შემდგომ, ისინი სუმლაში დარჩენილან.

ჩვენი მასალების მიხედვით, ტაოდან თურქეთის შუა რაიონებში ქართველობა გადასახლდა კომპაქტურად დასახლდა გასულ საუკუნეშიც; კერძოდ, ნაკლებმოუსავლიანი სოფელ ბალხიდან (იუსუფელის რაიონი) მოსახლეობა გადავიდა ამასიის მხარის ქართულ სოფლებში.

³ *ენიკის მოამბე*, ტ. I, 1937, გვ. 145-177.

⁴ *ენიკის მოამბე*, ტ. I, 1937, გვ. 153.

Tariel Putkaradze

St. Andrew The First-Called Georgian University,
Of The Patriarchate of Georgia, Professor

Mikheil Labadze

PhD of philology, Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia,
The Kartvelology Centre of the School of the Humanity and law

About the resettlement of Georgians from Tao to the Middle of Turkey

Resume

The massive resettlement of Muslim Georgians from the south and southwestern part of Georgia to the Ottoman Empire occurred during the processes of Muhajeret (In Turkish: Muhacirlik); In particular, after the Russo-Ottoman wars, both states allowed the Georgians to evade the historic housing: Russia wanted to settle the reliable people - Cossacks, Armenians, Russians... - in this land, and the Ottoman Empire in the Middle East needed pro-ottoman population; Consequently, under the pretext of the protection of Muslims, the Ottomans have opened the way for Muslim Georgians who have been intentionally harassed by Russian officials.

In the context of the Muhajeret from Tao, is noteworthy a reference to the Turkish historian **Yusuf Ziya Karaaslan**; In particular, he writes: “In 1878, The extreme northeastern part of the modern Yusufeli lands became the Russian-Ottoman border zone. Because of this, the residents of nearby villages who directly contacted the border zone limit their willingness to move to the Ottoman Empire. So the government immediately satisfied their demands and took them to their own expense at the bourse.”⁵

⁵ **Yusuf Ziya Karaaslan**, “93 Harbi Sonrası Kafkasya’dan Bursa’ya Kitleli Göç Hareketleri: Odunluk Örneği”/Odryses’ten Nilüfer’e, uluslararası Nilüfer simpozyumu, 13-15 kasım, Nilüfer, Bursa,Türkiye, pp. 401-416.

ქართული უნივერსიტეტის II სამეცნიერო კონფერენცია

Second Scientific Conference of the Georgian University

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
თბილისი 2021

Publishing House "Georgian University"
Tbilisi 2021